საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№236 (12 306)
6 ოქტომბერი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

დღეს, 15:00, გლდანში ამერი-დინამო

## შეიცვლება ლიდერი?



2

მიმდინარე სეზონში ეს მეორე დიდი მნიშვნელობის მატჩია. პირველი "ოლიმპი"-"დინამო" იყო. "ამერისა" და "დინამოს" დედაქალაქური დერბი ყოველთვის იწვევდა უდიდეს ინტერესს და სასწორზე დღესაც ძალიან ბევრი რამ იდება. გამარჯვების შემთხვევაში, "დინამო" ერთპიროვნულ ლიდერობას გაიმყარებს, "ამერს" კი კიდევ ერთი წარუმატებლობა საჩემპიონო შანსის დაკარგვად შეიძლება დაუჯდეს. თუ გლდანელებმა ივარგეს, ოქროსთვის ბრძოლა საგრძნობლად დაიძაბება და შესაძლოა, "ამერის" მოგებამ ცხრილის პირველ საფეხურზე "ზესტაფონი" აიყვანოს. ერთი სიტყვით, საკვანძო ტურია. ცენტრალური მატჩის მონაწილე გუნდების თავკაცებს წინასამატჩო ბლიც ინტერვიუები ჩამოვართვით.

იტალია-საქართველოს წინ

## იქნებიან პანუჩი, დელ პიერო და მატერაცი?

ზუსტად ერთი კვირა და იტალია საქართველოს გენუაში, "ლუიჯი ფერარიზე" უმასპინძლებს. რაც უფრო ნაკლები დრო რჩება ამ თამაშამდე, თემა უფრო და უფრო იწევს წინა პლანზე. **კლაუს ტოპმიოლერისგან** განსხვავებით, "სკუადრა აძურის" მწვრთნელ **რობერტო დონადონის** ნაკრების შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია. შესაბამისად, იტალიელი რეპორტიორები 13 ოქტომბრის მატჩის ირგვლივ ჯერჯერობით, მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის ცნობებით შემოიფარგლებიან.

ამ რამდენიმე კვირის წინათ გავრცელებული ცნობის თანახმად, **მარკო მატერაცის** ტრავმაზე გამცნეთ. მაშინდელი მონაცემებით მატერაცი ოქტომბერში სანაკრებო მატჩებს გამოტოვებდა. თუმცა გუშინ მატერაციზე სხვა შინაარსის ცნობები გავრცელდა.

*"მარკო მატერაცი შესაძლოა, მოედანს მოკლე ხანში დაუბრუნდეს. ის უკვე გამოჯანმრთელდა და ვარჯიშსაც შეუდგა. შესაძლოა მატერაციმ 13 ოქტომბერს საქართველოს ნაკრებთან მატჩშიც ითამაშოს. ინტერის" სამედიცინო შტაბი და თავად ფეხბურთელი ოპტიმისტურადაა განწყობილი"*, - წერდა გუშინ იტალიური "სპორტალი".

3



IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

## მეოთხედფინალის ორი დღე

**ავსტრალია VS ინგლისი**



ლოტე ტუკირი და მეტ დანინგი, ავსტრალია



ჯონი ვილკინსონი, ჯოშ ლუსი და მაიკ ქეთი, ინგლისი

**ზელანდია VS საფრანგეთი**



დანიელ კარტერი, ზელანდია



სებასტიან შაბალი, ბერნარ ლაპორტი და ჟულიენ ბონერი, საფრანგეთი

**სამხრეთი აფრიკა VS ფიჯი**



ბრაიან ჰაბანა, სამხრეთი აფრიკა



იფერეიმი რაუაკა და აკაპუსი ქერა, ფიჯი

**არგენტინა VS შოტლანდია**



მარიო ლედესმა და ფელიპე კონტეპომი, არგენტინა



ქრის პატერსონი, შოტლანდია

13

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

www.pfl.ge

უმაღლესი ლიგა. VIII ტური

## მესხეთი-მერანი 2:1

5.10. ახალციხე. მ. იაძე
500 მაყურებელი

1:0 ჟვანია (13. ლეკიშვილის პასით), 2:0 ინასარიძე (65 გვირჯიშვილის პასით), 2:1 ქობალია (78. გოჩაშვილის პასით)

მესხეთი: სომხიშვილი – თურმანიძე, ჟვანია, ნადირაშვილი, ძამსაშვილი – მ. თაყაძე, ზ. ჩხეტიანი, ლეკიშვილი, ინასარიძე (78. მ. ღონღაძე) – კაიდარაშვილი (85. კევლიშვილი), გვირჯიშვილი.

*სათადარიგოები: ძამუნაშვილი, აფრიამაშვილი, გ. სუდაძე, მეტრეველი.*

მერანი: თევდორაძე – ჯანგიძე, გიგაური, თ. კობიაშვილი, სარალიძე – ა. კალაძე, ავალიანი (74. ქობალია), ბესარაშვილი (56. ცისკარაული), ტყეშელაშვილი, ბ. ნოზაძე (74. ქემაშვილი) – გოჩაშვილი.

*სათადარიგოები: მამარდაშვილი, ბურჯანაძე, დეისაძე, ხუჭუა.*

გაფრთხილება: თაყაძე (40), გიგაური (67), სარალიძე (70), სომხიშვილი (78), ღონღაძე (89).

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

**7.** პირველად მასპინძლები დაემუქრნენ სტუმართა კარს, მაგრამ კაიდარაშვილის დარტყმული მიზანს ასცდა.

**13.** 1:0 - პირველი ვერა, აი, მეორე მომენტი კი შეირგეს მესხებმა – ლეკიშვილის პასი ჟვანიამ დააფასა და თევდორაძე უშანსოდ დატოვა.

**14.** გოჩაშვილის დარტყმული მიზანს ასცდა.

**18.** ახალციხელები მინიმალურ უპირატესობას არ დასჯერდნენ და ანგარიშის გაზრდაზე იწყეს ზრუნვა. გვირჯიშვილმა ძლიერად დაარტყა, მაგრამ სტუმრები მეორე გოლისგან ხარიხამ იხსნა.

**38.** სტუმართა მორიგი კუთხური კინალამ გოლით დასრულდა. გიგაურის თავურისას მეკარე სომხიშვილმა "მკვდარი ბურთი" მოიგერია.

**55.** ინასარიძეს ჰქონდა ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ მის დარტყმულს სტუმართა მეკარე თევდორაძე გადაეფარა.

**56.** თბილისელებმა გოჩაშვილი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანეს. მან მახვილი კუთხიდან კი დაარტყა, მაგრამ ბურთი გარედან მოხვდა ახალციხელთა კარის ბადეს.

**62.** თავდასხმაში მოთამაშე გვირჯიშვილს შეეძლო ანგარიში გაეზარდა, მაგრამ კვლავ თევდორაძემ იმარჯვა.

**65.** 2:0 - გვირჯიშვილის პასით ინასარიძემ იხეირა და "მესხეთის" ორი ბურთით დააწინაურა.

**78.** 2:1 - სტუმრებმა მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლეს. გოჩაშვილის გადაცემით ქობალიამ ივარგა და საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა.

# მერანი ახალციხეში გაჩერდა

მერვე ტური ახალციხეში დაიწყო, დანარჩენი 6 მატჩი დღეს და ხვალ გაიმართება. უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა "მესხეთმა" სეზონი კარგად დაიწყო, მერე ცოტა მოუკლო, ბოლო მატჩებში ქომაგი ვერაფრით გაახარა. გუშინ კი მორიგი გამარჯვება მიითვალა. **კობა თედიაშვილის** გუნდისგან განსხვავებით, "მერანს" არც დასაწყისი უვარგოდა და არც გაგრძელება. აუტსაიდერმა მორიგი მარცხი იწვნია და ისევ დაკარგა ქულები. გუშინდელი მოგებით ახალციხელებმა 14 ქულა დააგროვეს და მეშვიდედან მეოთხე ადგილზე ალზევდნენ, თუმცა შესაძლოა დროებით, რადგან დღეს-ხვალ კიდევ 6 მატჩია და ვინ იცის რამდენად შეიცვლება სატურნირო მდგომარეობა.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, სანახაობრივად ისეთი ვერ გამოდგა, როგორიც წინა შეხვედრები იყო. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მასპინძლებმა სტუმრებზე უკეთ ითამაშეს, მაგრამ ძალიან დიდი უპირატესობაც არ ჰქონდათ. დედაქალაქელებმა კონტრშეტევებზე ააწყვეს თამაში და მასპინძელთა კართანაც არაერთხელ დაარღვიეს სიმშვიდე, მაგრამ ერთ გოლზე მეტის გატანა ვერ შეძლეს. "მერანს" მეტის გატანაც შეეძლო, მაგრამ ახალციხელთა მეკარე სომხიშვილმა ორი "მკვდარი ბურთი" აილო.

მატჩის სტარტზე მასპინძლები დომინირებდნენ. ისინი სწრაფი გოლით დაწინაურდნენ, მე-13 წუთზე ჟვანიამ გამოიჩინა თავი. ამან სტუმრებიც გამოაცოცხლა და თამაშმა გარდამავალი ხასიათი მიიღო, მაგრამ შესვენებამდე აღარაფერი შეცვლილა. მეორე ნახევარი კვლავ ახალციხელებმა დაიწყეს აქტიურად და 65-ე წუთზე ინასარიძის გოლით ორბურთიანი ფორაც შეიქმნეს. "მერანმაც" გაიბრძოლა, მაგრამ 78-ე წუთზე ქობალიას მიერ გატანილი ბურთის გარდა ვერაფერს გამორჩნენ.

**მალხაზ მიქელაძე**
**ახალციხიდან**

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 7 | 7 | 0 | 0 | 22-2 | 21 |
| 2. ზესტაფონი | 7 | 6 | 1 | 0 | 16-3 | 19 |
| 3. ბორჯომი | 7 | 4 | 2 | 1 | 10-4 | 14 |
| 4. მესხეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 10-9 | 14 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 1 | 2 | 10-7 | 13 |
| 6. ამერი | 7 | 4 | 0 | 3 | 14-8 | 12 |
| 7. მგლები | 7 | 4 | 0 | 3 | 8-6 | 12 |
| 8. ოლიმპი | 7 | 3 | 1 | 3 | 5-6 | 10 |
| 9. სიონი | 7. | 2 | 2 | 3 | 7-11 | 8 |
| 10. სპარტაკი | 7 | 2 | 2 | 3 | 3-7 | 8 |
| 11. ლოკომოტივი | 7 | 2 | 0 | 5 | 5-12 | 6 |
| 12. დილა | 7 | 1 | 0 | 6 | 5-12 | 3 |
| 13. მერანი | 8 | 1 | 0 | 7 | 3-19 | 3 |
| 14. ბათუმი | 7 | 0 | 1 | 6 | 2-14 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 5 |
| აკირემი (დინამო) | 5 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 4 |
| გ. ნოდ. ქელიძე (ზესტაფონი) | 4 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 4 |
| შ. ჯიქია (ბორჯომი) | 4 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 4 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 4 |

### დღეს

| | |
|---|---|
| 16:00 | მგლები-ბათუმი |
| 16:00 | დილა-ოლიმპი |
| 16:00 | ამერი-დინამო |

### ხვალ

| | |
|---|---|
| 16:00 | ზესტაფონი-ბორჯომი |
| 16:00 | ვიტ ჯორჯია-სპარტაკი |
| 16:00 | ლოკომოტივი-სიონი |

## ტურის მატჩი. ამერი-დინამოს წინ



# გიორგი ჩიხრაძე: შეიძლება, ყველაფერი ერთმა შეცდომამ გადაწყვიტოს

- ტრადიციულად, მატჩის წინა დღეს შეკრებაზე ვიმყოფებით. მცხეთაში, სასტუმრო "მცხეთა პალასში" ვართ და მოახლოებულ დაპირისპირებას დიდი იმედით ველით. სეზონი წარუმატებლად დავიწყეთ, მაგრამ ბოლო მატჩები მაღალ დონეზე ჩავატარეთ და ვფიქრობ, მცირე ჩავარდნა უკვე დაძლეულია. ყველაფერს უფრო ნათლად "დინამოსთან" შეხვედრა გამოაჩენს.

**- თამაშისთვის ყველა ფეხბურთელი მწყობრშია?**

- ზაფხულში დაშავებული ბესიკ ჩიმაკაძისა და რატი წინამძღვრიშვილის გარდა, ვახტანგ ხვადაგიანმა და მიხეილ კობაურმაც მიიღეს ტრავმები და "დინამოსთან" ვერ დაგვეხმარებიან. გარკვეული პრობლემები აქვს დიმიტრი ტატანაშვილსაც, მისი თამაში სათუოა.

**- ჩავარდნა ახსენეთ და როგორ ფიქრობთ, რატომ გაანიავა "ამერმა" ამდენი დაუგეგმავი ქულა?**

- "ბელხატოვთან" ბრძოლებმა გუნდი ფიზიკურადაც და მორალურადაც გადაღალა. ამას ჩემპიონატის პირველ ტურში "ლოკომოტივთან" განცდილი დასანანი მარცხი მოჰყვა და ჩვენს მექანიზმში რაღაც მოიშალა. საბედნიეროდ, ბოლო შეხვედრებში "ამერმა" მაღალი დონის ფეხბურთი ითამაშა და სატურნირო მდგომარეობა მცირედით გამოისწორა.

**- "დინამოსთან" "ამერს" ურიგო ბალანსი არ აქვს......**

- დიახ, "დინამოსთან" თამაში არ გვიჭირს, გლდანში კი ამ გუნდს ყოველთვის განსაკუთრებული წარმატებით ვეთამაშებით. იმედია, ეს ტრადიცია გაგრძელდება.

**- "დინამოს" დღევანდელ ფორმას როგორ შეაფასებთ?**

- დუშან უპრინის გუნდს ჩემპიონატში ჯერ ქულა არ დაუკარგავს და ერთპიროვნულად ლიდერობს. ეს ყველაფერზე ნათლად მეტყველებს, ევროთასებზე განცდილი წარუმატებლობის შემდეგ, "დინამომ" საკუთარი თამაში იპოვა და ჩემპიონატისბ ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია.

**- სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, "დინამოსთან" ფრე "ამერისთვის" დიდი ვერაფერი შენაძენი იქნება...**

- უკვე იმდენი ქულა დავკარგეთ, დროა, ლიდერებთან ჩამორჩენის აღმოფხვრას შევუდგეთ. არ ვიცი, დინამოელებს მისაღებად რა შედეგი მიაჩნიათ, ჩვენ კი მხოლოდ გამარჯვება დაგვაკმაყოფილებს.

**- როგორი შინაარსის თამაშს ელით?**

- არ გამოვრიცხავ, რომ მატჩი უხვგოლიანი გამოდგეს, "ამერიცა" და "დინამოც" ხომ შემტევ ფეხბურთს თამაშობენ. თუმცა უფრო მგონია, რომ გულშემატკივარი ბევრ საგოლე მომენტს ვერ იხილავს. წარმატებას კი ის გუნდი მიაღწევს, რომელიც საგოლე შანსს ან მეტოქის შეცდომას უკეთ გამოიყენებს. შესაძლოა, ყველაფერი ერთმა შეცდომამ გადაწყვიტოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# დუშან უპრინი: შეცდომის ფაქტორი გადამწყვეტი იქნება

**- როგორ ემზადება "დინამო" "ამერთან" მნიშვნელოვანი მატჩისთვის?**

- მზადება ჩვეულებრივ მიმდინარეობს. მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს, ძლიერ მეტოქესთან.

**- ბოლოს ჩატარებულ მატჩებში "დინამოს" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა. მათი მდგომარეობა როგორია?**

- დიახ, ბოლო თამაშებში მერებაშვილმა, აკირემიმ და სპასოევიჩმა ტრავმის გამო ვერ ითამაშეს. სამწუხაროდ, აკირემის თამაში საეჭვოა.

**- "ამერზე" რას გვეტყოდით?**

- მართალია ჩვენმა მეტოქემ რამდენიმე ქულა დაკარგა, მაგრამ ბოლო მატჩები მაღალ დონეზე ჩაატარა. სატურნირო ცხრილში ჩვენს შორის სხვაობა 9 ქულაა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. გიორგი ჩიხრაძის გუნდი მაღალი კლასის გამოცდილი ფეხბურთელებითაა დაკომლექტებული. გუნდის ძირითადი ბირთვი კარგა ხანია ერთად თამაშობს. ასე რომ, შაბათს რთული და დაძაბული მატჩი გველის.

**- თქვენი აზრით, ამ მატჩის მოგებისთვის რა ფაქტორები იქნება გადამწყვეტი?**

- გადამწყვეტი იქნება შეცდომის ფაქტორი. რომელი გუნდიც უფრო ნაკლებ შეცდომას დაუშვებს და მეტად იქნება მობილიზებული, გამარჯვება მას დარჩება.

**დავით ცაბაძე**



დუშან უპრინი

ზესტაფონი-ბორჯომის წინ

# მეორე ცენტრი ზესტაფონია

"ზესტაფონი"-"ბორჯომის" დაპირისპირებაც ძალიან ბევრ შეკითხვას გასცემს პასუხს. სამცხელებმა ამ სეზონში უკვე არაერთი ძლიერი გუნდი გაამწარეს და არც ზესტაფონიდან აპირებენ ხელცარიელად დაბრუნებას. ფეროელთა გეგმებში კი ქულების დაკარგვა ამჯერადაც არ შედის.

**სერგო ფუტკარაძე ("ზესტაფონის" პრესსამსახურის უფროსი):** "კვირას ჩემპიონატის ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩი გვაქვს. "ბორჯომი" მესამე ადგილზეა და ამით ყველაფერია ნათქვამი. მეტოქე ძლიერია, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ღირსეულ ბრძოლაში გავიმარჯვებთ. დარწმუნებული ვარ, რომ გულშემატკივარი უშეღავათო დაპირისპირებას იხილავს".

**ვლადიმერ ხაჩიძე ("ბორჯომის" მთავარი მწვრთნელი):** "ზესტაფონი" საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, მაგრამ ჩვენ საკუთარი მიზნები გვაქვს და ამ ტურშიც გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ყველა გუნდთან უკომპლექსოდ, ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე ვიბრძვით და თუ ვინმე გვაჯობებს, ღმერთმა ხელი მოუმართოს".

**ლევან ჯანეზაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



რობერტო დონადონი

ევრო 2008. იტალია-საქართველო

# დონადონი ნაკრებს ხვალ დაასახელებს

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე კი **რობერტო დონადონის** გუნდის განრიგი მოვიძიეთ.

**7 ოქტომბერი**

*იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი რობერტო დონადონი საქართველოსთან 13 ოქტომბრისა და სამხრეთ აფრიკასთან (ამხანაგური) 17 ოქტომბრის მატჩებისთვის ნაკრებში გამოძახებულთა შემადგენლობას დაასახელებს.*

**8 ოქტომბერი**

*20:00 სთ. ნაკრების შეკრება კოვერჩანოს ტექნიკურ ცენტრში.*

**9 ოქტომბერი**

*10:30 სთ. ვარჯიში (მასმედიისთვის დასწრება შესაძლებელია)*

*13:15 სთ. საათიანი მონაკვეთი მასმედიის წარმომადგენლებისთვის ფეხბურთელებთან გასაუბრებისთვის.*

*16:00 სთ. ვარჯიში (მასმედიისთვის დახურულია)*

**10 ოქტომბერი**

*10:30 სთ. ვარჯიში (მასმედიისთვის დასწრება შესაძლებელია)*

*13:15 სთ. საათიანი მონაკვეთი მასმედიის წარმომადგენლებისთვის ფეხბურთელებთან გასაუბრებისთვის.*

*16:00 სთ. ვარჯიში (მასმედიისთვის დახურულია)*

**11 ოქტომბერი**

*13:15 სთ. საათიანი მონაკვეთი მასმედიის წარმომადგენლებისთვის ფეხბურთელებთან გასაუბრებისთვის.*

*16:00 სთ. ვარჯიში (მასმედიისთვის დასწრება შესაძლებელია)*

**12 ოქტომბერი**

*10:45 სთ. კოვარჩანოდან გენუაში ავტობუსით გამგზავრება.*

*17:30 სთ. გენუაში, "ლუიჯი ფერარის" სტადიონზე ვარჯიში. წვრთნის დამთავრების შემდეგ მასმედიელებს ფეხბურთელებთან სასაუბროდ დრო გამოეყოფათ.*

**13 ოქტომბერი**

*20:50 სთ. გენუაში "ლუიჯი ფერარიზე" საქართველო-იტალიის ეროვნული ნაკრებების მატჩი.*

**14 ოქტომბერი**

*10:00 რობერტო დონადონის პრესკონფერენცია "ლუიჯი ფერარის" საპრესკონფერენციო დარბაზში.*

როგორც ხედავთ, დონადონი საქართველოსთან და სამხრეთ აფრიკასთან მატჩებისთვის ნაკრების შემადგენლობას კვირას, 7 ოქტომბერს დაასახელებს, მანამდე კი პრესა დონადონის საკვირაო ჩამონათვალზე მარჩიელობს.

ერთ-ერთი იტალიური ვებგვერდის ცნობით, რობერტო დონადონი **პანუჩისა** და **დელ პიეროს** ნაკრებში გამოძახებაზეც ფიქრობს და ამ საკითხს კვირას წერტილს დაუსვამს.

იმავე ვერსიით, დონადონი საქართველოსა და სამხრეთ აფრიკასთან მატჩებისთვის გუნდში ახალწვეულებსაც გამოიძახებს – **კომოტო, დომიცი, პ. კანავარო, მორეტი, ნოჩერინო, მონტოლივო, მუტარელი, ფოგია, სემიოლი, მიკოლი...** დონადონის სიაში, სავარაუდოდ, ამ ჩამონათვალიდან ერთი-ორი ფეხბურთელი მაინც მოხვდება. თუმცა იქვე დონადონის სიტყვები მოჰყავთ, სადაც მწვრთნელი ამბობს, რომ საქართველოსთან მატჩში ის ექსპერიმენტებს არ მიმართავს და ყველაფერს გააკეთებს სამი ქულის მოსაპოვებლად.

ჩვენი ნაკრები გენუაში ორშაბათს შეიკრიბება და იტალიელთა მსგავსად მატჩის წინა დღეს ივარჯიშებს "ლუიჯი ფერარიზე", მანამდე კი სხვაგან ნაივარჯიშებს, კერძოდ სად, ჯერჯერობით უცნობია.

იტალია-საქართველოს მატჩი თბილისის დროით 22:50 სთ-ზე დაიწყება. ამ მატჩის ბილეთის მინიმალური ღირებულება 10 ევროა, მაქსიმალური (ტრიბუნაზე და არა სხვადასხვა კატეგორიის ლოჟაში) ფასი კი 60 ევრო გახლავთ.

**დავით ცაბაძე**

# ჩვენი ნაკრები ევროპაში

კარგა ხანია, გერმანული სატრანსფერო საიტის, "ტრანსფერმარკეტის" მონაცემები არ გამოგვიქვეყნებია. როგორც გახსოვთ, ეს ვებ-გვერდი სისტემატურად აშუქებს სატრანსფერო ამბებს და ევროპაში მოასპარეზე ფეხბურთელთა უმრავლესობის შესახებ საინტერესო ცნობებს აქვეყნებს. თავს ვერ დავდებთ, რომ ვებგვერდის ადმინისტრაცია ასპროცენტიან ინფორმაციას ფლობს, მაგრამ მის მიერ გამოქვეყნებული საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრთა ღირებულებები მაინც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული. ბუნებრივია, ჩვენი ნაკრების მხოლოდ იმ წევრთა მონაცემებს გთავაზობთ, რომლებიც საიტზე არიან მოხსენიებულნი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | |
|---|---|
| გიორგი ლომაია (უკლუბო) | 550 000 ევრო |
| ნუკრი რევიშვილი (რუბინი) | 650 000 |
| გრიგოლ ჭანტურია (ზესტაფონი) | 175 000 |
| ლაშა სალუქვაძე (რუბინი) | 1 000 000 |
| მათე ღვინიანიძე (მიუნხენი) | 600 000 |
| ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექ.) | 2 500 000 |
| გიორგი შაშიაშვილი (შტურმი) | 750 000 |
| დავით კვირკველია (მეტალ. ზ.) | 450 000 |
| ილია კანდელაკი (კარლ ცაისი) | 550 000 |
| გიორგი ონიანი (კარლ ცაისი) | 50 000 |
| ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბ.) | 1 000 000 |
| ალ. ამისულაშვილი (სპარტაკი ნ.) | 700 000 |
| კახა კალაძე (მილანი) | 5 600 000 |
| დავით მუჯირი (კრილია) | 2 600 000 |
| გოგიტა გოგუა (სატურნი) | 1 000 000 |
| ჯაბა კანკავა (დნეპრი) | 200 000 |
| ლევან ცქიტიშვილი (უკლუბო) | 600 000 |
| ლევან კობიაშვილი (შალკე) | 6 500 000 |
| ლადო ბურდული (ზარია) | 400 000 |
| დავით სირაძე (პადერბორნი) | 300 000 |
| გიორგი დემეტრაძე (არსენალი კ.) | 900 000 |
| ალექს.ი იაშვილი (კარლსრუე) | 1 200 000 |
| მიხეილ აშვეთია (უკლუბო) | 900 000 |



კობიაშვილი ყველაზე ძვირადღირებული ქართველი ფეხბურთელია

ლეგიონერები

# ასათიანი წარმატებულ ევროსეზონს გეგმავს




მალხაზ ასათიანი

დანიური "მიდტიულანდის" დამაჯერებელი ძლევით, მოსკოვის "ლოკომოტივმა" უეფას თასის ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვა. მართალია, მეტოქე არცთუ ძლიერი ჰყავდათ, მაგრამ რკინიგზული კლუბის მწვრთნელები და ფეხბურთელები აღფრთოვანებას ვერ მალავენ. განმეორებით მატჩში "ლოკომ" დანიელებს 2:0 მოუგო. მისი მთავარი მწვრთნელის, **ანატოლი ბიშოვეცის** თქმით, ეს ამ სეზონში გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა იყო. კომენტარი ფეხბურთელებმაც გააკეთეს, მათ შორის **მალხაზ ასათიანმაც**.

*"მიხარია, რომ პროგრამა-მინიმუმი შევასრულეთ და ჯგუფურ სტადიაზე გავალწიეთ. ბოლო წლებში "ლოკომოტივი" ევროთასებზე არცთუ წარმატებით გამოდის და იმედი მაქვს, ამ სეზონში გაცილებით უკეთეს შედეგს ვაჩვენებთ. არასტაბილურად განვლილი ბოლო პერიოდის მიუხედავად, მჯერა, რომ ჩვენს გუნდს უეფას თასზე არაერთი ეტაპის გადალახვა შეუძლია. ჯგუფის თამაშების დაწყებამდე კი მთლიანად რუსეთის ჩემპიონატზე უნდა გადავერთოთ. პრემიერლიგაში სახარბიელო შედეგი არ გვაქვს, რაც ძალიან მაკვირვებს. ძლიერ გუნდებს შედეგიანად ვეთამაშებით, საშუალოებთან კი ძალიან ბევრ ქულას ვკარგავთ. ამ ტურში "ზენიტს" ვმასპინძლობთ და წაფორხილების უფლება აღარ გვაქვს"*, - ამბობს ასათიანი.

იმედია, "ზენიტთან" მატჩში მას არაფერი დაუშავდება და საქართველოს ნაკრები მოახლოვებული ოფიციალური შეხვედრების წინ ლიდერის გარეშე არ დარჩება. აქვე გეტყვით, რომ "ლოკომოტივის" გულშემატკივართა გამოკითხვებში მალხაზი ერთ-ერთი ლიდერია - იმის მიუხედავად, რომ მძიმე ტრავმის გამო, თითქმის წელიწადი გაუცდა, მას შანსი აქვს, "ლოკომოტივის" წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

გუშინ ევროპის სტადიონებზე მორიგი ტურის პირველი მატჩები გაიმართა, რომელშიც ქართველმა ლეგიონერებმაც იასპარეზეს. მეორე ბუნდესლიგაში ქართულ დერბის ველოდით, მაგრამ არ შედგა.

იენაში "კარლ ცაისმა" მიუნხენ 1860"-ს უმასპინძლა, მატჩი სტუმრებმა 2:0 მოიგეს. სტუმართა სასტარტო შემადგენლობაში კვლავ იყო **მათე ღვინიანიძე**, რომელიც დაცვის ცენტრში მარჯვნივ იდგა და ამჯერადაც საიმედოდ გამოიყურებოდა. 42-ე წუთზე "კარლ ცაისის" მორიგი შეტევა გოლით დასრულდებოდა, მათე ღვინიანიძეს რომ არ ემარჯვა. უფრო მეტიც, მათე დაცვაში საიმედო თამაშის გარდა, შეტევაში ჩართვაზეც არ ამბობდა უარს. 52-ე წუთზე ღვინიანიძე შეტევაში ჩაერთო და იენელთა მეკარე **პერსენიც** შეაწუხა. ქართველი მცველი 85-ე წუთზე **შუკალამ** შეცვალა.

რაც შეეხება მასპინძლებს, "კარლ ცაისში" ქართველებს არ უთამაშიათ. **გიორგი ონიანი** და **ილია კანდელაკი** შეხვედრას სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდნენ თვალს.

ამ მოგებით "მიუნხენ 1860"-მა 18 ქულა დააგროვა და გათამაშების ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობს. მიუნხენელებს ქულით ჩამორჩება **ოთარ ხიზანეიშვილის** "ფრაიბურგი", რომელიც ორშაბათს, 8 ოქტომბერს "აახენს" სტუმრად ეთამაშება. მარცხის შემდეგ "კარლ ცაისს" კვლავ 5 ქულა აქვს და ცხრილში ბოლოდან მესამე, მე-16 ადგილზეა. გათამაშების ცხრილის ფსკერზე და უკანასკნელ საფეხურზეა **დავით სირაძის** "პადერბორნი", რომელიც ხვალ, 7 ოქტომბერს "ზანქტ პაულს" სტუმრად ეთამაშება.

# იენაში მათემაც მოიგო

## შაშიაშვილის უგოლო ფრე



გიორგი შაშიაშვილი

გუშინ, კიდევ ერთმა ქართველმა ლეგიონერმა იასპარეზა. ავსტრიულ ბუნდესლიგაში **გიორგი შაშიაშვილის** "შტურმმა" მეორეადგილოსან "მატერსბურგს" უმასპინძლა. მატჩი ფრედ, 0:0 დასრულდა. გიორგი შაშიაშვილი გრაცელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და შეხვედრაც ჩაამთავრა. მოპოვებული ქულის შემდეგ "შტურმი" 21 ქულით მეხუთე ადგილზეა.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკლუბო რეიტინგი

# საქართველო საბჭოელებში ბოლოა

მსოფლიო ფეხბურთისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ სექტემბრის საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა.

პირველი ათეული ასე გამოიყურება

| | | |
|---|---|---|
| 1.(1.) | სევილია (ესპანეთი) | 285,0 |
| 2.(6.) | კოლო-კოლო (ჩილე) | 275,0 |
| 3.(3.) | სანტოსი (ბრაზილია) | 272,0 |
| 4.(4.) | ბოკა ხუნიორსი (არგენტ) | 268,0 |
| 5-6.(2.) | ჩელსი (ინგლისი) | 262,0 |
| 5-6 (5.) | მანჩესტერი (ინგლ.) | 262,0 |
| 7. (7.) | მილანი (იტალია) | 248,0 |
| 8. (9.) | რომა (იტალია) | 242,0 |
| 9. (10.) | ინტერი (იტალია) | 239,0 |
| 10. (7.) | ლივერპული (ინგლ) | 237,0 |

საქართველოდან ამჯერად 350 საუკეთესო კლუბში მხოლოდ ორი კლუბი თბილისის "ამერი" და 'დინამო" მოხვდნენ. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ჩვენები ერთ პოზიციაზე გალაგდნენ. ორივეს 319-321 პოზიცია მიაკუთვნეს. 'დინამომ" მდგომარეობა 6 საფეხურით გაიუმჯობესა და 325-ე ადგილიდან წინ დაიძრა. საქართველოს თასის მფლობელმა კი 17 ადგილით უკან დაიხია.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების საუკეთესო კლუბები შემდეგი თანამიმდევრობით განლაგდნენ:

| | | |
|---|---|---|
| 17.(24.) | შახტარი (უკრაინა) | 205,5 |
| 57.(69.) | სპარტაკი (რუსეთი) | 139,5 |
| 59. (98.) | ლევადია (ესტონეთი) | 138,5 |
| 131.(129.) | შერიფი (მოლდოვა) | 102,0 |
| 144.(139.) | ბატე (ბელორუსი) | 97,5 |
| 192.(191.) | ფახტაკორი (უზბ.) | 84,5 |
| 200. (217.) | კაუნასი (ლიტვა) | 82,0 |
| 236-240. (168.) | მეტალურგსი (ლატვ.) | 77,0 |
| 275.(267.) | მიკა (სომხეთი) | 73,0 |
| 319-321. (325.) | "დინამო" (საქართ.) | 67,0 |
| 319-321. (302.) | 'ამერი" (საქართვ.) | 67,0 |

დიდი ხანია, საქართველოს საუკეთესო გუნდი 350 გუნდში მოხვედრილ პოსტსაბჭოელებში უკანასკნელ ადგილზე არ დაშვებულა. ყოველივე ევროთასებზე ჩვენი გუნდების უსუსური გამოსვლის შედეგია. აქვე იმასაც აღვნიშნოთ, რომ საუკეთესოებში არც ერთი აზერბაიჯანული კლუბი არ მოხვდა. საკმაოდ მოულოდნელი ამბავია.

350 საუკეთესო კლუბში ყოფილი საბჭოეთიდან გუნდები შემდეგი რაოდენობით მოხვდნენ:

| | |
|---|---|
| რუსეთი | 6 |
| უკრაინა | 4 |
| ლიტვა | 3 |
| ესტონეთი | 3 |
| მოლდოვა | 3 |
| საქართველო | 2 |
| უზბეკეთი | 2 |
| სომხეთი | 2 |
| ლატვია | 1 |
| ბელორუსი | 1 |
| აზერბაიჯანი | 0 |
| ტაჯიკეთი | 0 |
| ყირგიზეთი | 0 |
| ყაზახეთი | 0 |
| თურქმენეთი | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**


ალექს მაკლიში

მეტოქე

# ალექს მაკლიშმა შემადგენლობა დაასახელა

შოტლანდიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ალექს მაკლიშმა** ის შემადგენლობა გამოაცხადა, რომელსაც 13 და 17 ოქტომბერს, შესაბამისად უკრაინასა და საქართველოსთან გასამართი შესარჩევი მატჩებისთვის უხმო. სკოტთა თავკაცის განკარგულებაში 24 ფეხბურთელია.

მეკარეები: კრეიგ გორდონი ("სანდერლენდი"), დევიდ მარშალი ("ნორვიჩი"), ალან მაკგრეგორი ("რეინჯერსი").

მცველები: გრემ ალექსანდერი ("ბარნლი"), გარი კოლდუელი ("სელტიკი"), კრისტიან დეილი ("ვესტ ჰემი"), ალან ჰატონი ("რეინჯერსი"), იან მაკიველი ("დერბი"), სტივენ მაკმანუსი ("სელტიკი"), გარი ნეისმიტი ("შეფილდ იუნ."), დევიდ ვეირი ("რეინჯერსი").

ნახევარმცველები: სკოტ ბრაუნი ("სელტიკი"), ბარი ფერგიუსონი ("რეინჯერსი"), პოლ ჰარტლი ("სელტიკი"), ლი მაკკალოჰი ("რეინჯერსი"), სტივენ პირსონი ("დერბი"), ბარი რობსონი ("დანდი იუნ."), გარი ტილი ("დერბი").

თავდამსხმელები: კრეიგ ბიტი ("ვესტ ბრომვიჩი"), კრის ბოიდი ("რეინჯერსი"), ჯეიმს მაკფადენი ("ევერტონი"), შონ მელოუნი ("ასტონ ვილა"), კენი მილერი ("დერბი"), გარი ოკონორი ("ბირმინგემი").

## კალაძეს შევჩენკოს ნოსტალგია სჭირს

იტალიური საინფორმაციო სააგენტოებმა "მილანისა" და საქართველოს ნაკრების მცველ **კახა კალაძის** საუბრის ფრაგმენტები გამოაქვეყნეს. *"კახა არ მალავს შევჩენკოსადმი ნოსტალგიას.* ის "როსონერის" საკაბელო ტელევიზიის სტუმარი გახლდათ და სხვადასხვა თემებთან ერთად, კითხვა ანდრეი შევჩენკოს შესახებაც დაუსვეს.

*"რა თქმა უნდა, ანდრეისთან თამაშის სურვილი გამაჩნია. ერთგვარი ნოსტალგიაც გამიჩნდა და ძალიან მინდა, ისევ დაგვიბრუნდეს. თუმცა არა მგონია, მისი დაბრუნება ანჩელოტის გეგმებში იყოს"*, - გაამხილა ქართველმა ლეგიონერმა.

**მერაბ მამულაშვილი**

# კირიაკოვი, ონოპკო და ძმები ოჩამჩირეში

## დარასელიას პატივი მშობლიურ ქალაქშიც მიაგეს

ქართული ფეხბურთის ოქროს გოლის ავტორი **ვიტალი დარასელია** აფხაზეთშიც გაიხსენეს. ცნობილი ნახევარმცველი ოჩამჩირეში დაიბადა და გაიზარდა. ქალაქის სტადიონზე გამართული შეხვედრა საინტერესო ფორმულირებით მონათლეს - აფხაზი და საბჭოთა ვეტერან ფეხბურთელთა მატჩი.

თამაში, ტრადიციის თანახმად, ფრედ, 4:4 დასრულდა. საბჭოთა კავშირის ნაკრებს წარმოადგენდნენ **ალექსანდრ ბუბნოვი, სერგეი კირიაკოვი, დმიტრი კუზნეცოვი, ვიქტორ ონოპკო, ვალერი ბროშინი, სერგეი გრიშინი, სერგეი კორნილცევი, დმიტრი ანანკო, ვალერი მასალიტინი, ევგენი ლოსევი** და რაც ყველაზე საინტერესოა, თბილისის "დინამოს" ყოფილი წევრი და თბილისში დაბადებულ-გაზრდილი **დიმა კუდინოვი**, რომელიც ამჟამად რუსეთში, ბავშვთა ფეხბურთში საქმიანობს. უცნაურია, რომ იგი თბილისურ მატჩში არ მონაწილეობდა, აფხაზეთში თამაშს კი დათანხმდა.

აფხაზი ვეტერანები უმთავრესად თბილისის "დინამოში" ნათამაშევი ხალხით დააკომპლექტეს - **ახრიკ ცვეიბა, როომან ხაგბა, იური და თენგიზ ლოგუები, თამაზ ენიკი, ჯუმა კვარაცხელია, გიორგი ჩალიგავა, რობერტ ბოსტანჯიანი, ბესლან ნანბა, საიდ თარბა.**

არანაკლებ საინტერესოა, რომ ინტერნეტ-სააგენტო "კავკაზსკიი უზელ" ინფორმაციის ადგილად არსებული ქვეყნის არარსებულ ნაწილს ასახელებს - აფხაზეთი, რუსეთის ფედერაცია. ეტყობა, რუსები აფხაზეთს უკვე თავისად თვლიან და გაილაღეს.

სტადიონის რადიოქსელში რეპორტაჟი **ვლადიმერ პერეტურინს** მიჰყავდა. საბჭოთა კავშირის ნაკრების ვეტერანებიდან ორ-ორი ბურთი გაიტანეს ვალერი მასალიტინმა და სერგეი კირიაკოვმა, აფხაზებიდან კი თამაზ ენიკმა (2), რომან ხაგბამ და გიორგი ჩალიგავამ.

კიდევ ერთი დეტალი: "კავკაზსკიი უზელ"-მა ერთხელაც არ ახსენა საქართველო და თბილისის "დინამო".

"შეხვედრა ცნობილი ფეხბურთელის, ვიტალი დარასელიას ხსოვნას მიეძღვნა"- ასე მშრალად და გაუგებრად წერია, ევროპელმა რომ წაიკითხოს, ვერ გაიგებს, ვინ იყო ეს კაცი, რა შუაშია აფხაზური ფეხბურთი და საბჭოთა კავშირის ნაკრები და ა.შ.

**მერაბ მამულაშვილი**


ვაჟა თარხნიშვილი

ლეგიონერი

# თარხნიშვილი შერიფში საუკეთესოა

მოლდოვის ჩემპიონ ტირასპოლის "შერიფის" კაპიტანი **ვაჟა თარხნიშვილი** ინგლისური ფეხბურთის ლეგენდის, **სტენლი მეტიუზის** გზას დაადგა. 37 წლის ქართველი ლეგიონერი არათუ ფეხბურთიდან წასვლას აპირებს, არამედ მეორე სუნთქვა გაეხსნა და გუნდის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

გამოკითხვა "შერიფის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე ჩატარდა და მისი მიზანი გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშის გამოვლენა იყო.

ტირასპოლელთა კაპიტანმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. მას გამოკითხულთა 44,3 %-მა დაუჭირა მხარი. მეორეზე გასულმა **სერგეი პაშჩენკომ** მხოლოდ 14,1 % დააგროვა, ხოლო მოლდოვის ჩემპიონატის ბოლო ორი სეზონის საუკეთესო თავდამსხმელმა **სერგეი კუჩუკმა** - 12,8 %.

ამას გარდა, ახლა მიმდინარეობს "შერიფის" ბოლო ათი წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენი კონკურსი და თარხნიშვილიც აქაც უპირობო ლიდერია. მან უკვე გამოკითხულთა 30.1 % მიიღო. მას ჩამორჩებიან მოლდოვის ნაკრების ბოლო წლების ლიდერი და რუსეთში ნათამაშევი **სერგეი როგაჩოვი** (7.0 %), ნაკრების ყოფილი წევრი **ივან ტესტიმიცანუ** (7.2 %), მოსკოვის "ლოკომოტივში" გადასული **რაზვან კოშიჩი** (15.9), "შერიფის" ყოფილი მოთამაშეები **სერგეი დადუ** (7.9 %) და **ჩიდი ოდია** (15.7 %).

**მერაბ მამულაშვილი**

## ყაზახებს მწვრთნელი შეუცვალეს

როგორც იცით, 16 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები სტუმრად ყაზახეთს ეთამაშება. გუშინდელ ნომერში უკვე გაგაცანით **პეტარ სეგრტის** მიერ გამოცხადებული შემადგენლობა. ამასობაში, ცნობილი გახდა, რომ ყაზახებმა მწვრთნელი შეცვალეს. ფინელი **იუჰა მალინენის** ადგილი **ოლეგ იაროვენკომ** დაიკავა.

ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება გასაკვირი ნამდვილად არაა. ჩვენს შესარჩევ ქვეჯგუფში მათი გუნდი ნული ქულით ბოლო, მეხუთე ადგილზეა.

**ლევან ჯანეზაშვილი**


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ინ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ იგორ ბელანოვთან

# ფეხბურთი, როგორც ცხოვრება

## არ მინდა ზომბების ყურება

ვიტალი დარასელიას 50 წლისადმი მიძღვნილ 4 ოქტომბრის მატჩისთვის რამდენიმე ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელი ჩამოვიდა თბილისში, მათგან ყველაზე სახელიანი კი იგორ ბელანოვი გახლდათ, 1986 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, "ოქროს ბურთის" მფლობელი. ასეთი ტიტული საბჭოელთაგან კიდევ ორს, ლევ იაშინსა და ოლეგ ბლოხინს მოუნაგრიათ, თუმცა ბელანოვი ალბათ, არ იყო ისეთივე ლეგენდარული ფეხბურთელი, როგორებიც იაშინი და ბლოხინი იყვნენ, მაგრამ უდავოდ გამორჩეული იყო, პირველ რიგში, თავისი სისწრაფით.

ბელანოვს მატჩის შემდეგ, რესტორან "აფხაზეთში" შევხვდი. ის რესტორნისთვის უცნაურად იყო გამოწყობილი - "ადიდასის" სპორტული კოსტიუმი ეცვა, ზურგზე საბჭოთა კავშირის უშველებელი გერბით დამშვენებული. საბჭოთა ნაკრებს ასეთი ფორმა 1988 წელს ეცვა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რომელიც დასავლეთ გერმანიაში გაიმართა. ცხადია, ბელანოვს არ ეშლება, სად რა უნდა ჩაიცვას - იმ ეპოქაში ის ვარსკვლავი იყო, ყველასგან გამორჩეული, არაორდინალური და ალბათ, ასეთად სურდა ყოფნა თბილისურ ბანეტზეც.

რას საქმიანობს ახლა იგორ ბელანოვი? მასთან ინტერვიუ ამ კითხვით დავიწყეთ.

- ჩემს მშობლიურ ქალაქ ოდესაში ვცხოვრობ, მაქვს ბავშვთა საფეხბურთო სკოლა, კიდევ ბიზნესშიც ვსაქმიანობ.

**- ძალიან კარგ ფორმაში ხართ, ეს დღეს მოედანზეც გამოჩნდა. ფეხბურთს კიდევ თამაშობთ მოყვარულთა დონეზე?**

- დიახ, ჩვენი გუნდიც გვყავს. მე ხალხი მიცნობს და მინდა, რომ კარგად გამოვიყურებოდე. მოკლედ, ვვარჯიშობ და ბევრს ვმოძრაობ.

**- კიევის "დინამოში" ოდესის "ჩერნომორეციდან" მოხვდით. ალბათ, დაუვიწყარია პირველი ნაბიჯები ვალერი ლობანოვსკის გუნდში. როგორ მოახერხეთ სწრაფად ადაპტირება კიევის "დინამოში"?**

- მეორე თამაშს ვატარებ "დინამოში", მოსკოვის "დინამოს" ვეთამაშებით და პენალტი ავიკიდე. ოლეგ ბლოხინი თანაგუნდელებთან არჩევს, თუ ვინ უნდა დაარტყას 11-მეტრიანი. ამასობაში ავიღე ბურთი, დავდე ნიშნულთან და გავიტანე. პენალტი მე მოვიპოვე და მევე უნდა დავარტყა, აქ იმისთვის მოვედი, რომ გოლები გავიტანო - ეს არ მითქვამს, მაგრამ ამით ამის თქმა მინდოდა. ეს რომ არ მექნა, კიევის "დინამოში" ვერ ვითამაშებდი.

**- რა შეგძინათ ვალერი ლობანოვსკისთან მუშაობამ?**

- ის, რომ ფეხბურთი ისეთივეა, როგორც ცხოვრება. მისგან ვისწავლე, როგორ გავმხდარიყავი ისეთი ფეხბურთელი, რომელიც რაღაცას მიაღწევს.

**- ლობანოვსკიზე ბევრი ლეგენდა დადის. მაინც, როგორი მწვრთნელი და პიროვნება იყო?**

- პიროვნება, რომელმაც ფეხბურთისთვის თავი გადადო. ის ძალიან ძლიერი ფსიქოლოგი იყო. შეეძლო ყველას ინდივიდუალურად მისდგომოდა, მაგრამ არ დაუშვებდა იმას, რომ ვილაცას თავის ნებაზე ეტარებინა გუნდი.

**- 1986 წელს თასების თასი მოიგეთ, მერე კი იყო მსოფლიოს ჩემპიონატი მექსიკაში, სადაც საბჭოთა კავშირის გუნდს ალბათ, უფრო მეტისთვის უნდა მიეღწია, მაგრამ მერვედფინალში ბელგიასთან 3:4 წააგო. ლობანოვსკი ამ მარცხს გარკვეულწილად არაობიექტურ მსაჯობას აბრალებდა, მაგრამ ალბათ, იყო სხვა მიზეზებიც...**

- მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ძალიან მძლავრად დავიწყეთ. პირველ შეხვედრაში უნგრეთს 6:0 მოვუგეთ, თითქოს თავიდანვე გვინდოდა გვეჩვენებინა ჩვენი სიძლიერე. მაგრამ ბელგიასთან მატჩში გამოჩნდა, რომ ძალები ვერ დავზოგეთ, ჩვენი ნახევარდაცვა, ფაქტობრივად, გადამწვარი იყო. საბჭოთა ნაკრებში მაშინ ძალიან ბევრი კიევის დინამოელი თამაშობდა, იმ გუნდის ფეხბურთელები, რომელმაც იმავე სეზონში თასების თასი მოიგო. მოკლედ, მექსიკაში გადაღლილობამ არ გაგვიშვა მერვედფინალის იქით.

**- ორი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატში ფინალამდე გახვედით, საბჭოთა ნაკრების მწვრთნელი მაშინაც ლობანოვსკი იყო და უკვე გამოცდილებაც გქონდათ, თუ როგორ უნდა გეთამაშათ მაღალი რანგის ტურნირზე, მაგრამ...**

- ფინალში რომ გავედით, ეს უკვე დიდი მიღწევა იყო. ჰოლანდიელების დამარცხებაც არ იყო შეუძლებელი, მაგრამ...

**- 0:2-ზე პენალტი ვერ გამოიყენეთ. 11-მეტრიანს უმეტესად ისე ასრულებდით, რომ კარის შუაში ურტყამდით, ალბათ, იმის იმედით, მეკარე რომელიმე კუთხეში გადახტებაო. ასე დაარტყით მაშინაც და... თუმცა გჯეროდათ, რომ 0:2-ზე თამაშის შემობრუნებას შეძლებდით?**

- ეს მატჩი მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა, სადაც ტრიბუნა მოედნიდან შორს, სარბენი ბილიკების იქითაა. კარს რომ ავხედე, ისეთი სივრცე დავინახე, ძალაუნებურად გავიფიქრე, ბურთი არ უნდა ავწიო, თორემ კარს გადავაცილებ-მეთქი. ჰოდა არ დავარტყი მაღალი და მარჯვენა კუთხეში გადამხტარმა ვან ბროკელენმა ფეხით მოიგერია ბურთი. თუ ერთხელაც ნახავთ იმ მატჩის ჩანაწერს, იქ ისიც ჩანს, რომ პენალტის გარდა, კიდევ გვქონდა საგოლე მომენტები მე და მიხაილიჩენკოს. 0:2-ზე კი თამაშის შემობრუნების იმედი მართლაც გვქონდა, ფეხბურთი ისეა, როგორც ცხოვრება, არავინ იცის, რა დროს რა მოხდება.

**- ყველაფერი ალბათ, მაინც მარკო ვან ბასტენის მიერ მეორე ტაიმში, 1:0-ზე გატანილმა გოლმა გადაწყვიტა - რას დაარქმევდით ამ გოლს?**

- ასიდან ასი რომ დაერტყა, იმ პოზიციიდან ვან ბასტენი მხოლოდ ერთს თუ გაიტანდა. მე ფეხბურთელი ვიყავი და მერწმუნეთ, რომ ეს ასეა.



იგორ ბელანოვი

**- 1989 წელს მიონხენგლადბახის "ბორუსიაში" გადახვედით, თუმცა იქ თქვენი კარიერა წარმატებული არ გამოდგა. საერთოდაც, მაშინდელი კიევის "დინამოს ფეხბურთელებმა ევროპულ გუნდებში წარმატებული თამაში ვერ მოახერხეს - რითი ახსნიდით ამას?**

- "გლადბახში" რომ წავედი, 31 წლის ვიყავი, ეს მაშინ უკვე სოლიდური ასაკი იყო ფეხბურთელისთვის. თანაც ბუნდესლიგის მაჩანჩალა გუნდში აღმოვჩნდი, კარგ გუნდში რომ მივსულიყავი, ბევრად უკეთესადაც წარიმართებოდა ჩემი კარიერა, მაგრამ მაშინ ჩვენ საბჭოთა მოქალაქეები ვიყავით და ფაქტობრივად, არ შეგვეძლო გუნდის არჩევა - გვითხრეს, აქ წახვალთ და მორჩა. სად გვყავდა მაშინ ფეხბურთელებს აგენტები?..

**- ახლა, რა ხდება კიევის "დინამოში", რატომ დათმო ამ გუნდმა პოზიციები ევროსარბიელზე?**

- ეს იმ ხალხის ბრალია, ვის ხელშიც არის ახლა გუნდი. რა საჭიროა ამდენი ლეგიონერი? რა არის ეს, მოდა? ამ ჩემპიონთა ლიგაში "დინამო"-"სპორტინგს" ვუყურე და კარგად დავინახე, რომ დინამოელ ფეხბურთელებს თვალებში ცეცხლი არ ენთოთ. ასეთი ფეხბურთელი ადამიანი კი არა, ზომბია.

**- უკრაინულ ფეხბურთში არც თუ პატარა ფული ტრიალებს, მაგრამ უკრაინა მაინც ღარიბია მაღალი კლასის ფეხბურთელებით...**

- ესეც გარკვეულწილად ლეგიონერთა სიუხვითაა გამოწვეული, მაგრამ მთავარი პრობლემა ის ხალხია, ის ბიზნესმენები, რომლებიც გუნდის საქმეებს მართავენ და ხშირად შემადგენლობასაც კი ადგენენ.

**- დაბოლოს, სისწრაფეზე საგანგებოდ მუშაობდით თუ ეს ღმერთისგან გქონდათ?**

- ეს ღმერთისგან მოდის, თუმცა, ალბათ, გენებშიც მაქვს - ბაბუაჩემის მამაც ფეხბურთელი იყო და როგორც მეუბნებიან, საკმაოდ სწრაფიც.

**დავით თავართქილაძე**



## ქართველ ფეხბურთელთა უმაღლეს დონეზე მომზადება არგენტინაში

### მარადონას სამშობლოში

ქართველ ფეხბურთელებს მოამზადებენ შემდეგი კვალიფიციური სპეციალისტები:

მთავარი მწვრთნელი: ედუარდო ემილიო დელგადო, "ველეს სარსფილდის", "სან ლორენსოსა" და "როსარიო სენტრალის" ყოფილი ფეხბურთელი.

მწვრთნელი: რაულ დე ლა კრუს ჩაპარო, "რივერ პლეიტის" ყოფილი ფეხბურთელი;

მწვრთნელი: ოსკარ ოლივერა, ლა პლატის "გიმნასია და ესგრიმას" ყოფილი ფეხბურთელი;

ფიზმომზადების სპეციალისტი: კარლოს გონსალესი.

16-დან 20 წლამდე ასაკის პერსპექტიულ ფეხბურთელებს, რომელთაც სურთ, ჯერ აიმაღლონ საფეხბურთო დონე, ხოლო შემდეგ გარკვეული პერიოდი ითამაშონ არგენტინის საფეხბურთო გუნდებში, მიმდინარე წლის ოქტომბერში გაემგზავრებიან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში, სადაც პროვინციებთან ერთად 300-ზე მეტი საფეხბურთო კლუბი ფუნქციონირებს.

არგენტინაა ერთადერთი ქვეყანა, სადაც ახალგაზრდულ საფეხბურთო გუნდებს შორის, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო მეტი შეჯიბრებები იმართება, რაც ქართველ ფეხბურთელებს საშუალებას მისცემს, გაიუმჯობესონ ტექნიკა და გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები.

მომზადების პერიოდი 6 თვიდან ერთ წლამდეა. მომზადების პერიოდში ფეხბურთელებზე მოხდება დაკვირვება. მომზადების შემდეგ, ისინი მივლენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში და ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს.

ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების, ავიაბილეთების, ბინის, კვების, შიდა ტრანსპორტის და არგენტინის ვიზის ხარჯებს არგენტინის მხარე არ უზრუნველყოფს და გაღებულ უნდა იქნას მსურველთა, ან მათი სპონსორების მიერ.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადნენ არგენტინის წარმომადგენელთან, მისამართზე: ლეონიძის ქ №4 (ყოფილი კიროვის ქ. თავისუფლების მოედანთან, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მიღება იწარმოებს ყოველდღე 13-დან 14 საათამდე არგენტინის წარმომადგენელთან საქართველოში, მხოლოდ წინასწარ ჩაწერით, შემდეგ ტელეფონზე: 899 23-55-20. ტელეფონის საშუალებით დაწვრილებითი ცნობები არ მიიღება! საბუთების გასაფორმებლად და არგენტინის ვიზების მისაღებად მსურველები უნდა გამოცხადდნენ სასწრაფოდ!!!

## ეროვნული სტადიონი ქუჩის ფეხბურთს უმასპინძლებს

ეროვნული სტადიონის დირექციამ ქუჩის ფეხბურთის ტურნირი საქართველო-უკრაინის მატჩამდე ჩაატარა. გამარჯვებული ბოლნისის "ყვინჩილა" გახდა.

სტადიონის დირექცია კიდევ აპირებს შეჯიბრების გამართვას, ამჯერად 10 წლამდე ბავშვებში. სტადიონის სპორტისა და მასობრივი ღონისძიებების სამსახურის უფროსი მალხაზ ნორაკიძე ამბობს: "ჩვენ საგანგებოდ შევიძინეთ ქუჩის ფეხბურთის ტურნირის ჩასატარებლად მცირე ზომის (22X10) მოედანი. შეჯიბრება 10-14 ოქტომბერს გაიმართება, განცხადებებს კი 8 ოქტომბრის ჩათვლით მივიღებთ. მსურველებმა მონაწილეთა დაბადების მოწმობები და მოსწავლეთა ბარათები უნდა წარმოადგინონ. განაცხადში 7 ფეხბურთელის შეყვანა შეიძლება."

ტურნირში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ მალხაზ ნორაკიძეს - 898 31 77 72

ეროვნული ბიბლიოთეკა


წავა დელ პიერო მილანში?

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სენსაცია: კარლო ანჩელოტი დელ პიეროს არ გამორიცხავს

შესაძლოა, "იუვენტუსის" სიმბოლო **ალესანდრო დელ პიერო** "მილანში" აღმოჩნდეს. ეს ინფორმაცია გუშინ პირველად "ჩენელ 4-მა" გაავრცელა. ამ სკანდალურ-სენსაციური ტრანსფერის საფუძველი შეიძლება გახდეს დელ პიეროსა და "იუვენტუსს" შორის ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით წარმოქმნილი გაუგებრობა, რაც ორივე მხარეს ძალიან აწუხებს. ორი დღის უკან, ერთ-ერთ მასალაში ვწერდით, რომ "იუვეს" ხელმძღვანელობა აცნობიერებს კაპიტნის დაკარგვის საფრთხეს, თუმც კომპრომისზე წასვლას არ ჩქარობს. მით უფრო, არ ჩქარობს თავად ალექსიც, რადგან "იუვედან" წასვლის შემთხვევაში მას უამრავი მთხოვნელი გამოუჩნდება...

ცნობილია, რომ "მილანი" არასოდეს ამბობს უარს ასაკოვან ფეხბურთელებზე და ცხადია, არც დელ პიერო იქნება გამონაკლისი. ამასთან, ერთ-ერთი კონკურენტისგან ესოდენ მნიშვნელოვანი ფეხბურთელის გადაბირება "როსონერისთვის" ერთგვარი ფსიქოლოგიური გამარჯვებაც იქნება. "მილანი" არ იტყვის უარს ამ გარიგებაზე იმ მარტივი მიზეზის გამოც, რომ შესაძლოა, დელ პიერო მთლად უფასოდ ჩაუვარდეს ხელთ. მოსალოდნელია, რომ "იუვე" და მისი კაპიტანი კონტრაქტის გაწყვეტაზე შეთანხმდნენ, ან კიდევ, ახალი წესების თანახმად, ხელშეკრულებით დარჩენილი ერთი წელიწადი თავად ფეხბურთელმა გამოისყიდოს.

"მილანში" დელ პიეროს შესაძლო გადაბარგების თაობაზე აგორებული სპეკულაცია **კარლო ანჩელოტის** ერთმა კომენტარმაც გაამძაფრა. აი, რა თქვა კარლეტომ "სელტიკთან" მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე: *"დელ პიერო ჩვენთან? არანაირი საფუძველი არ არსებობს, რომ ეს უარვყოთ, მით უმეტეს, თუკი ალექსი "მილანში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადმოვა".*

მიუხედავად იმისა, რომ დელ პიერო "იუვეს" ტიფოზთა უმრავლესობის კერპია, მას რამდენჯერმე მაინც უსტვინეს ტრიბუნებიდან. თავად კი კლუბზეა ნაწყენი იმის გამო, რომ მის მესვეურთაგან საკადრის პატივისცემას ვერ გრძნობს. ამ მომენტისთვის, ალექსის ძმა სტეფანო, რომელიც ამავდროულად მისი აგენტიცაა, "იუვენტუსის" უფროსებთან მოლაპარაკებებს აგრძელებს. ალბათ, ამ დღეებში ბევრი რამ გაირკვევა.

CALCIO

იტალია. სერია A. VII ტურის წინ

# სასიცოცხლოდ აუცილებელი უსიცოცხლოთათვის

**დღეს**

**ატალანტა-უდინეზე**
**ინტერი-ნაპოლი**

**ხვალ**

**კატანია-ლივორნო**
**ფიორენტინა-იუვენტუსი**
**ჯენოა-კალიარი**
**პალერმო-რეჯინა**
**პარმა-რომა**
**სიენა-ემპოლი**
**ტორინო-სამპდორია**
**ლაციო-მილანი**

დღეს, სერია A-ს მორიგი ტური კალჩოს ევროკრახის ფონზე იწყება. ხუთშაბათს, უეფას თასზე მონაწილე 4 იტალიური კლუბიდან 3 გავარდა. გადარჩა მხოლოდ "ფიორენტინა" და ისიც ბეწვზე: "იებმა" მხოლოდ პენალტების სერიაში შეძლეს ჰოლანდიური "გრონინგენის" დამარცხება. და თუ გადავხედავთ, ვისთან (შვეიცარიის, დანიისა და ჩეხეთის არაფრისმთქმელი კლუბები) წააგო დანარჩენმა სამმა, ნათელი გახდება, რომ "ინტერის", "მილანის", "იუვენტუსის", "რომასა" და ჰა-ჰა "ლაციოს" იქით სრული სიბნელეა. არადა, ამ გავარდნილი კლუბებიდან უმრავლესობას კიდევ აქვს იმის პრეტენზია, რომ ამ სეზონის ბოლოს ჩემპიონთა ლიგის ზონაში უნდა მოხვდეს.

მაინც რა შეიძლება იყოს ამ კრახის მიზეზი, მით უმეტეს, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა. ჩვენი აზრით, მიზეზი ისაა, რომ იტალიელები ზედმეტად მათემატიკურ და დაშტამპულ ფეხბურთს თამაშობენ. ისინი ვერ არგებენ გასალებს კონტინენტურ ბურთაობას, თორემ ძნელია, ამტკიცო, რომ "ოლბორგს" უფრო მაღალი რანგის შემსრულებლები ჰყავს, ვიდრე "სამპდორიას", ან "ბოლესლავის" ერთი რომელიმე მოთამაშე თუნდაც ერთ პალერმოელს სჯობს...

მოდით, ფიასკოს მიზეზები თავად იტალიელებმა გაარკვიონ, ჩვენ კი დაინტერესებულ მკითხველს ტურისწინა ამბებზე მოვუთხროთ. უქმეები "ატალანტა"-"უდინეზეს" მატჩით იხსნება. ბერგამოელებმა სეზონის პირველი თამაში წინა უიქენდზე წააგეს. ამიტომ, დღეს საკუთარი კედლების იმედი ექნებათ, რათა ეს პატარა წყენა დაივიწყონ. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ "უდინეზეს" ამ სტადიონზე 11 წელიწადია, არ წაუგია, და თანაც, "ატალანტას" დღეს თავისი ლიდერის, დისკვალიფიცირებული **კრისტიანო დონის** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. ამას გარდა, **ლუიჯი დელ ნერის** კიდევ სამი მნიშვნელოვანი ფიგურა დააკლდება. უდინელებს კვლავ არ ეყოლებათ **ჯამპიერო პინცი** და **კრის ობოდო**.

შაბათსვე, "ინტერი" "ნაპოლს" უმასპინძლებს. **რობერტო მანჩინის** აფიქრებს **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ტრავმა, რის გამოც, შეიძლება, არ გარისკოს და შვედი დროებით სკამზე დასვას. ასეთ შემთხვევაში, წინა ხაზზე **ადრიანოსა** და **ერნან კრესპოს** დუეტი შეიძლება ვიხილოთ. დისკვალიფიკაცია აქვს ბრაზილიელ მარჯვენა მცველ **მაიკონს**, ხოლო **მარკო მატერაცი, ოლივიე დაკური** და **პატრიკ ვიეირა** ტრავმებს იშუშებენ. "ნაპოლის" მხრიდან დასჯილია ნახევარმცველი **მანუელე ბლაზი**, თუმცა **ედოარდო რეიას** მისი შეცვლა არ გაუჭირდება.

კვირას დღის მთავარი მატჩი "ფიორენტინა"-"იუვენტუსია". მასპინძელს ამ სეზონში ჯერ არ წაუგია. თუმცა ეს მას ფავორიტის როლში მაინც ვერ ჩააყენებს. ტურინელთა უპირატესობა იმაშია, რომ მთელი კვირა ჰქონდათ წვრთნისა და ძალების აღდგენისთვის, მაშინ, როცა "ვიოლამ" მომქანცველი ბრძოლა გადაიტანა უეფას თასის საპასუხო მატჩში. **ჩეზარე პრანდელის** არ ეყოლება წამყვანი მცველი **დარიო დაინელი**, რომელმაც ტრავმა მიიღო. "იუვენტუსის" პრობლემებიც უცვლელი რჩება. კვლავ დაშავებულია **მაურო კამორანეზი**, ხოლო საყრდენი ნახევარმცველი **კრისტიანო ძანეტი** ერთმატჩიან სასჯელს მოიხდის.

3 ტურის შემდეგ "რომა" ერთპიროვნულად ლიდერობდა სერია A-ს, მაგრამ მომდევნო სამ შეხვედრაში დაკარგული 7 ქულის გამო, "ჯალოროსი" ახლა მისთვის შეუფერებელ მეოთხე ადგილზეა. "პარმა" კი ის გუნდია, რომელსაც ბოლო წლების განმავლობაში პერმანენტული კრიზისი სტანჯავს. ისე, ექსპერტებს თუ დავუჯერებთ, დღევანდელი გუნდი ძველთან შედარებით უფრო ბრძოლისუნარიანია და "რომას" დიდი სიფრთხილე მართებს. აქვე გავიხსენოთ, რომ შარშან დედაქალაქელებმა "ენიო ტარდინიზე" 4:0 მოიგეს. "პარმას" საბრძოლო შემადგენლობა ეყოლება, "რომას" კი დისკვალიფიცირებული **ლუდოვიკ ჟიული** და ტრავმირებული **როდრიგო ტადეი** დააკლდება.

"ჯენოა", რომელმაც ზედიზედ ორი მატჩი მოიგო, "კალიარის" მასპინძლობს. ორივე გუნდს ჰყავს ტრავმირებულები, მაგრამ ეს დანაკლისი მძიმე არ არის და მეტოქეებს გამარჯვებისთვის ბრძოლა შეუძლიათ.

უეფას თასიდან გავარდნის შემდეგ, "პალერმო" ყველა ღონეს იხმარს, რათა ჯავრი "რეჯინაზე" იყაროს. შარშანდელი შეხვედრა სიცილიაზე უხვგოლიანი გამოდგა და მასპინძელთა გამარჯვებით, 4:3 დასრულდა. რეჯოკალაბრიული კრებული ერთ-ერთია იმ ოთხ გუნდს შორის, რომელთაც ჯერ არც ერთი მატჩი არ მოუგიათ. მას დაცვის მთავარი ფიგურა **ფრანჩესკო მოდესტო** დააკლდება. **სტეფანო კოლანტუონოს** კი ძირითადი მეკარის **ალბერტო ფონტანასა** და ნახევარმცველ **ფაბიო კაზერტას** გარეშე მოუწევს ძირითადი შემადგენლობის შერჩევა.

"ტორინო"-"სამპდორია" **ვალტერ ნოველინოსთვის** წარსულთან შეხვედრას ნიშნავს. მისმა ყოფილმა "სამპმა" ბოლო შეხვედრაში დიდი ანგარიშით (3:0) სძლია კარგ ფორმაში მყოფ "ატალანტას", თავად კი ახალ გუნდთან ერთად ჯერ მოგება არ აქვს. ზედიზედ 4 სასტარტო ფრის შემდეგ, "ტორომ" ორი მატჩი წააგო და აუტსაიდერებს შორის გამწესდა. ნოველინოს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. ტრავმის გამო მას 5 (!) წამყვანი მოთამაშე არ ეყოლება. შედარებით ნაკლებად მოუწევს თავის მტვრევა ნოველინოს სეხნიასა და კოლეგა **ვალტერ მაძარის**, რომელმაც **კრისტიანო ძენონისა** და **პიეტრო აკარდის** შემცვლელები უნდა მონახოს.

მოუგებელი "სიენა" მიიღებს "ემპოლის", რომელმაც გამარჯვების გემო მხოლოდ წინა ტურში გაიხსენა. კიდევ ერთი წარუმატებლობა და მასპინძელთა მწვრთნელ **ანდრეა მანდორლინის**, შეიძლება, ჩემოდნების ჩალაგება მოუწიოს. ისე, უეფას თასიდან ნაადრევი გავარდნისა და შესაძლო საკვირაო მარცხის გამო, მადლობას არც **ლუიჯი კანის** ეტყვიან, მიუხედავად იმისა, რომ კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან ნდობა მას გაცილებით მეტი აქვს.

უმუშევრად დარჩენის საფრთხე ემუქრება "ლივორნოს" მწვრთნელ **ფერნანდო ორსისაც**, რომელსაც "კატანიაში" რთული ტესტი აქვს ჩასაბარებელი. ამავე დროს, ის დისკვალიფიცირებული გახლავთ და თამაშს ტრიბუნიდან მიადევნებს თვალ-ყურს. სიტუაციას ისიც ართულებს, რომ "ლივორნოს" დაცვაში ორი მთავარი ფიგურა აკლია, **სიმონე პავანისა** და **ფაბიო გალანტეს** სახით, ნახევარდაცვაში კი დისკვალიფიცირებულია **მასიმო ლოვიზო**. "კატანიას" ტრავმის გამო განელი შუახაზელი **მარკ ედუსეი** დააკლდება.


კარლო ანჩელოტი: გამოღვიძების დროა

დაბოლოს, ტური კვირა ღამეს "ლაციო"-"მილანით" დასრულდება. ისინი სატურნირო ცხრილში მეზობლად არიან და მაჩვენებლებიც თითქმის იდენტური აქვთ, გარდა ერთისა: უსიცოცხლო "მილანს" 8 გოლი აქვს გატანილი, "ლაციალეს" კი 7. მაგრამ უცნაური ისაა, რომ ამ 8 მილანური გოლიდან ფორვარდებს არც ერთი არ გაუტანიათ, "ბიანკოჩელესტეში" კი სიტუაცია საპირისპირო გახლავთ. "სელტიკთან" ლიგაში წაგების შემდეგ, **კარლო ანჩელოტისთვის** "ოლიმპიკოზე" მოგება სასიცოცხლოდ აუცილებელია, თორემ კრ-იზისი, შეიძლება, კიდევ უფრო გაღრმავდეს. **დელიო როსის პრობლემა** ფორვარდ **ტომაზო როკის** ტრავმაა. მას **სტივენ მაკინვა** შეცვლის. არ იქნება მარჯვენა ნახევარმცველი **ვალონ ბეჰრამიც**. უფრო მეტი თავსატეხი აქვს ანჩელოტის, რომელსაც ტრავმების გამო **კლარენს ზეედორფი** და **კახა კალაძეც** გამოაკლდნენ. ჯერ ვერ ითამაშებს **რონალდო**, რომელიც ინდივიდუალურად ვარჯიშს ახლახან შეუდგა. თავდასხმაში უფრო **ალბერტო ჯილარდინოს** უნდა ველოდოთ, ვიდრე **ფილიპო ინძაგის**, თუმცა, პრინციპში, რა მნიშვნელობა აქვს...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 6 | 4 | 2 | 0 | 14-4 | 14 |
| 2. იუვენტუსი | 6 | 4 | 1 | 1 | 15-6 | 13 |
| 3. ფიორენტინა | 6 | 3 | 3 | 0 | 12-6 | 12 |
| 4. რომა | 6 | 3 | 2 | 1 | 12-8 | 11 |
| 5. ნაპოლი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-4 | 10 |
| 6. პალერმო | 6 | 3 | 1 | 2 | 9-9 | 10 |
| 7. უდინეზე | 6 | 3 | 1 | 2 | 8-10 | 10 |
| 8. ატალანტა | 6 | 2 | 3 | 1 | 8-8 | 9 |
| 9. ჯენოა | 6 | 2 | 3 | 1 | 6-7 | 9 |
| 10. სამპდორია | 6 | 2 | 2 | 2 | 5-6 | 8 |
| 11. მილანი | 6 | 1 | 4 | 1 | 8-6 | 7 |
| 12. ლაციო | 6 | 1 | 4 | 1 | 7-6 | 7 |
| 13. კალიარი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 14. პარმა | 6 | 1 | 3 | 2 | 7-8 | 6 |
| 15. კატანია | 6 | 1 | 3 | 2 | 4-6 | 6 |
| 16. ემპოლი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-7 | 5 |
| 17. ტორინო | 6 | 0 | 4 | 2 | 6-9 | 4 |
| 18. სიენა | 6 | 0 | 3 | 3 | 4-9 | 3 |
| 19. რეჯინა | 6 | 0 | 3 | 3 | 4-12 | 3 |
| 20. ლივორნო | 6 | 0 | 2 | 4 | 6-16 | 2 |

ელექტრონული ბიბლიოთეკა



რა დაემართა დიდას?

ინციდენტის კვალდაკვალ

# აგვიხსენით დიდას საქციელი!

## უეფა მილანისგან განმარტებას ითხოვს

"სელტიკი"-"მილანის" მატჩის მიწურულს, ერთ-ერთი გლაზგოელი ფანი მოედანზე შეიჭრა, სტუმართა მეკარე **დიდას** მიუახლოვდა, სახეზე ხელი შეახო და მოპირდაპირე ტრიბუნისკენ გაიქცა. დიდა მყისვე გამოუდგა თავხედ ქომაგს, თუმცა ორიოდ წამში მოწყვეტით დაეცა. ცოტა ხანში ის მოედნიდან საკაცით გაიყვანეს.

გუშინ, უეფას სადისციპლინო კომისიამ ამ საკითხზე იმსჯელა. აღნიშნა, რომ "სელტიკის" მხარემ დაარღვია წესდების მე-6 და მე-11 მუხლები, რაც მას სტადიონზე იდეალური წესრიგის დამყარებას ავალდებულებდა. დარღვევა სახეზეა და სკოტები მკაცრად დაისჯებიან, შეიძლება, თვით სტადიონის დისკვალიფიკაციითაც კი.

რაც შეეხება დიდას. უეფამ ეპიზოდის ჩანაწერი ნახა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ "მილანის" მეკარემ მძიმე ტრავმის იმიტაცია გაითამაშა. ახლა, კომისია კლუბისგან ახსნა-განმარტებას ელოდება. შესაბამისად, საქმეს 11 ოქტომბერს დაუბრუნდებიან და სასჯელებსაც საბოლოო განხილვის შემდეგ ჩამოარიგებენ.

ალიარება

# ან ბარსაში ვითამაშებ, ან რეალში!

## კაკას ესპანური სურვილები და ახალი ტიტული

**კაკამ** ესპანურ პრესას გაუმხილა, რომ პრიმერა დივიზიონში თამაში სურს. ეს მოხდა პირველად, მას შემდეგ, რაც ამ ზაფხულს "რეალში" მის შესაძლო გადაბარგებაზე დიდი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი. მაშინ, "მილანის" ვარსკვლავმა წერტილი დასვა და ყველას მოუწოდა, "როსონერის" ერთგული ვარ და ამ თემაზე სპეკულაციებს მოვრჩეთო. ახლა, ის თავად ხდება მორიგი სპეკულაციის წყარო. "როიტერთან" ინტერვიუში კაკა აღიარებს: *"ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის ის გუნდი, სადაც ახლა ვთამაშობ. "მილანი" უდიდესი კლუბია, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს "რეალში" ან "ბარსელონაში" გადასვლას ვისურვებდი".*

საგულისხმოა, რომ კაკა ამ განცხადებას აკეთებს "მილანის" ბოლოდროინდელი ჩავარდნისა და **კარლო ანჩელოტისთან** გარკვეული უთანხმოების (რასაც **ადრიანო გალიანიც** ადასტურებს) ფონზე. ეს კი "მილანისთვის" სახუმარო ამბავი სულაც არ არის.

ისევ კაკაზე ვისაუბროთ, ოღონდ უკვე არასატრანსფერო თემაზე. პროფესიონალ ფეხბურთელთა საერთაშორისო ორგანიზაციამ (FIFPro), რომელიც 45 ათასზე მეტ მოთამაშეს აერთიანებს, სპეციალური გამოკითხვის შედეგად კაკა წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. 10 გოლით ის ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირი გახდა და, რაც მთავარია, უდიდესი როლი ითამაშა "მილანის" ევროტრიუმფში. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს FIFPro-მ საუკეთესო ფეხბურთელად **რონალდინიო** მიიჩნია.

ხსენებული გამოკითხვის შედეგად დასახელდა წლის სიმბოლური ნაკრებიც, რომელმაც ასეთი სახე მიიღო: **ჯანლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი), **ალესანდრო ნესტა** (მილანი), **ფაბიო კანავარო** (რეალი), **ჯონ ტერი** (ჩელსი), **კარლეს პუიოლი** (ბარსელონა), **კრისტიანო რონალდო** (მანჩესტერი), **კაკა** (მილანი), **სტივენ ჯერარდი** (ლივერპული), **ლეონელ მესი** (ბარსელონა), **დიდიე დროგბა** (ჩელსი), **რონალდინიო** (ბარსელონა).



კაკა სურვილებს ველარ მალავს

ინგლისი

# ოუენი დაბრუნდა

## ის ითამაშებს, თუ მინიმალური შანსი ექნება...

**სტივ მაკლარენმა** მაიკლ ოუენი გამოიძახა. 27 წლის თავდამსხმელს ბოლო ტრავმის შემდეგ არ უთამაშია. არავინ იცის, მწყობრში იქნება თუ არა ის 13 და 17 ოქტომბერს, ესტონეთსა და რუსეთთან მატჩებისათვის. ამის მიუხედავად, ინგლისელთა თავკაცმა ოუენს დაუფიქრებლად უხმო. მაიკლი მისი გუნდისათვის შეუცვლელი ფეხბურთელია. ის ითამაშებს, თუ ამის მინიმალური შანსი ექნება, თანაც სანაკრებო უქმეებამდე "ნიუკასლი"-"ევერტონის" ხვალინდელი მატჩია. ოუენი ძალების მოსინჯვას ამ შეხვედრაში აპირებს. მაკლარენი: *"დაუჯერებელია, რომ მაიკლი გამოჯანმრთელდა. ორი-სამი კვირის წინ მის თამაშზე ვერცკი ვიოცნებებდით. მან მითხრა, რომ თავს შესანიშნავად გრძნობს."*



მაიკლ ოუენი

მაკლარენმა დაპირებისამებრ "ვესტ ჰემის" თავდამსხმელი **დინ ეშტონიც** გამოიძახა. განაცხადშია "ჩელსის" ნახევარმცველი **ფრენკ ლემპარდი**. ოუენისა არ იყოს, ტრავმის შემდეგ არც მისი თამაში გვინახავს. ლემპარდი "ბოლტონთან" ხვალინდელ მატჩში მონაწილეობას აპირებს. ნაკრებს დაუბრუნდა **უეინ რუნი**. ის ვიგანელ **ემილ ჰესკის** შეცვლის. რუნიმ სექტემბრის საკვალიფიკაციო მატჩებში ტერფის ტრავმის გამო ვერ ითამაშა. ჰესკი ოქტომბრის შეხვედრებს ზუსტად ანალოგიური მიზეზით დააკლდება. ნაკრებში ადგილი შეინარჩუნა ევერტონელმა მცველმა **ჯოლეონ ლესკოტმა**. სექტემბერში ის **სოლ კემპბელის** შემცვლელად გამოიძახეს. კემპბელი გამოჯანმრთელდა და ნაკრებს დაუბრუნდა, მაგრამ არა ლესკოტის ხარჯზე. მაკლარენის რჩეულთა სია ასე გამოიყურება:

**მეკარეები** - პოლ რობინსონი (ტოტენჰემი), დევიდ ჯეიმსი (პორტსმუთი), სკოტ კარსონი (ასტონ ვილა);

**მცველები** - მიკა რიჩარდსი (მანჩესტერ სიტი), ვესლი ბრაუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯონ ტერი (ჩელსი), ეშლი კოული (ჩელსი), სოლ კემპბელი (პორტსმუთი), ჯოლეონ ლესკოტი (ევერტონი);

**ნახევარმცველები**: ფილ ნევილი (ევერტონი), ნიკი შორი (რედინგი), დევიდ ბენტლ (ბლექბერნი), სტივ ჯერარდი (ლივერპული), ფრენკ ლემპარდი (ჩელსი), ჯო კოული (ჩელსი), შონ რაიტ ფილიპსი (ჩელსი), გარეთ ბერი (ასტონ ვილა), სტიუარტ დაუნინგი (მიდლსბრო), ეშლი იანგი (ასტონ ვილა);

**თავდამსხმელები** - ალან სმიტი (ნიუკასლი), მაიკლ ოუენი (ნიუკასლი), პიტერ კრაუჩი (ლივერპული), ენდი ჯონსონი (ევერტონი), ჯერმეინ დეფო (ტოტენჰემი), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), დინ ეშტონი (ვესტ ჰემი).



ზეპ ბლატერი

დისკუსია

# ფიფა უცხოელებზე ლიმიტს ითხოვს

## ბლატერის ინიციატივა ევროპულ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება, ვენგერი შეზღუდვებს მკაცრად აკრიტიკებს...

ფიფას პრეზიდენტი **იოზეფ ბლატერი** ევროკავშირთან საბრძოლველად ემზადება. მას სურს, ევროპულ კლუბებს უცხოელებზე ლიმიტი დაუწესოს. ახალი კანონის ამოქმედების შემთხვევაში, თითოეული კლუბი ვალდებული იქნება, ძირითად შემადგენლობაში მინიმუმ ექვსი ადგილობრივი ფეხბურთელი იყოლიოს. უცხოელთა რაოდენობა ხუთამდე შეიზღუდება. ფიფას პრეზიდენტის ინიციატივა პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროკავშირის შრომით კოდექსს. კოდექსის თანახმად, მშრომელებს ევროპაში თავისუფალი გაადგილების უფლება აქვთ. ეროვნული ნიშნით მათი გარჩევა დაუშვებელია. ბლატერი ამტკიცებს, რომ ფეხბურთს განსხვავებული მიდგომა სჭირდება. მისი თქმით, ფეხბურთელი ჩვეულებრივი მშრომელი არ არის. ჩვეულებრივ მშრომელებს შეუძლიათ, ინდივიდუალურად იმუშაონ. ფეხბურთს კი მინიმუმ 11 ადამიანი სჭირდება.

დაახლოებით ერთი თვის წინათ, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ გამოთქვა შეშფოთება ინგლისში უცხოელ ფეხბურთელთა რაოდენობის ზრდის გამო. ლეგიონერები ადგილობრივ მოთამაშეებს თავის გამოჩენის საშუალებას უზღუდავენ, ეს კი ინგლისის სანაკრებო ფეხბურთს სრულ კატასტროფას უქადისო, თქვეს მაშინ ასოციაციის მაღალჩინოსნებმა. მათ შეშფოთებას გულშემატკივრებიც იზიარებენ. ბიბისი-ს ბოლო გამოკითხვის თანახმად, ფანების 56 პროცენტი უცხოელებზე ლიმიტის დაწესებას ემხრობა.

"არსენალის" თავკაცი **არსენ ვენგერი** ლიმიტის კატეგორიული წინააღმდეგია. "მეთოფეების" ძირითად გუნდში უმეტესად უცხოელები თამაშობენ. საკმაოდ ხშირად "არსენალის" სასტარტო შემადგენლობაში ერთ ინგლისელსაც კი ვერ ნახავთ. ვენგერი უჩვეულოს ვერაფერს ხედავს. აი, მისი კომენტარი: *"სპორტი შეჯიბრია. შეჯიბრის ძირითადი ამოცანაა საუკეთესოს გამოვლენა. მნიშვნელობა არა აქვს, სად დაიბადე. მთავარი ისაა, ვინ ხარ. მე მწვრთნელი ვარ და ჩემი მოვალეობაა, გუნდმა მაღალი დონის ფეხბურთი ითამაშოს. მაღალი დონის მიღწევა მხოლოდ საუკეთესო ფეხბურთელებს შეუძლიათ."*

# ჰიდინკმა სია გამოაქვეყნა

მოახლოებული საკვალიფიკაციო მატჩების წინ რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გუუს ჰიდინკმა** შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახა:

**მეკარეები** - ვლადიმირ გაბულოვი (კუბანი), ვიაჩესლავ მალაფეევი (ზენიტი), ანტონ შუნინი (დინამო);

**მცველები** - ალექსეი ბერეზუცკი (ცსკა), ვასილი ბერეზუცკი (ცსკა), სერგეი იგნაშევიჩი (ცსკა), ალექსანდრ ანიუკოვი (ზენიტი), დენის კოლოდინი (დინამო);

**ნახევარმცველები** - დინიარ ბილიალეტდინოვი (ლოკომოტივი), იური ჟირკოვი (ცსკა), ივან საენკო (ნიურნბერგი), იგორ სემშოვი (დინამო), კონსტანტინ ზირიანოვი (ზენიტი), დმიტრი ტორბინსკი (სპარტაკი);

**თავდამსხმელები** - ანდრეი არშავინი (ზენიტი), პაველ პოგრებნიაკი (ზენიტი), ალექსანდრ კერჟაკოვი (სევილია), რომან პავლიუჩენკო (სპარტაკი), დმიტრი სიჩევი (ლოკომოტივი).

# სკოლარი შესუსტებული გუნდით

პორტუგალიელთა თავკაცმა **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ვერ გამოიძახა, მათ შორის, **ჟორდე ანდრადე, მარკო კანეირა, არმანდო პეტიტი, ელდერ პოშტიგა, ჟოაო ტომაში** და **პეპე**. სკოლარის სია ასე გამოიყურება:

**მეკარეები** - რიკარდო (ბეტისი), კუიმი (ბენფიკა);

**მცველები** - მიგელი (ვალენსია), ჟოზე ბოსინგვა (პორტუ), ბრუნო ალვეში (პორტუ), პაულო ფერეირა (ჩელსი), რიკარდო კარვალიო (ჩელსი), ფერნანდო მეირა (შტუტგარტი), ტონელი (სპორტინგი);

**ნახევარმცველები** - რაულ მეირელეში (პორტუ), მიგელ ველოსა (სპორტინგი), ჟოაო მოუტინიო (სპორტინგი), მანიშე (ატლეტიკო), დუდა (სევილია), დეკუ (ბარსელონა);

**თავდამსხმელები** - კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი), ნანი (მანჩესტერ იუნაიტედი), სიმაო (ატლეტიკო), რიკარდო კუარეშმა (პორტუ), ნუნუ გომეში (ბენფიკა), უგო ალმეიდა (ვერდერი).

მოსალოდნელი ტრანსფერი

# თენ კეიტი ამსტერდამიდან ლონდონში?

"ჩელსი" "აიაქსის" მთავარ მწვრთნელ **ჰენკ თენ კეიტს** ეპატიჟება. ამ ინფორმაციას ჰოლანდიური სააგენტოები ავრცელებენ. ლონდონელებმა 52 წლის სპეციალისტს მეორე მწვრთნელისა და სპორტული დირექტორის თანამდებობები შესთავაზეს. თენ კეიტს "არისტოკრატების" გენერალური მენეჯერი **ფრანკ არნესენი** შეხვდა. მოლაპარაკებების დეტალები არ გახმაურებულა. "ჩელსის" თავკაცი **ავრაამ გრანტი** სამწვრთნელო შტაბის ახლებურად მოწყობას აპირებს. მას ერთი ინგლისელი და ერთი უცხოელი თანაშემწე სჭირდება. გრანტს ინგლისელი დამხმარე უკვე ჰყავს **სტივ კლარკის** სახით.

ერთი კვირის წინათ გავრცელდა ინფორმაცია კლარკის მოსალოდნელი აბარგების შესახებ, თუმცა ეს ცნობა არავის დაუდასტურებია. უცხოელი ასისტენტის პოზიციაზე გრანტის რჩეული თენ კეიტია. ის "ბარსელონაში" **ფრანკ რიიკაარდის** თანაშემწე იყო და მასთან ერთად ესპანეთის ჩემპიონატის ტიტული და ჩემპიონთა თასი მოიპოვა. თერ კეიტმა "აიაქსს" 2006 წლის მაისში მიაშურა. ამ ხნის განმავლობაში მან ერთხელ ჰოლანდიის თასი და ორჯერ ჰოლანდიის სუპერთასი მოიგო, ჩემპიონობა კი ბურთების უარესი ბალანსის გამო გაუშვა ხელიდან. მას კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. ხელშეკრულება 2008 წლის ზაფხულში იწურება. ამსტერდამელებს მისი გაგრძელება სურს, მაგრამ მწვრთნელი ახალი კონტრაქტის გაფორმებისგან ჯერჯერობით, თავს იკავებს. "ჩელსის" სურს, რომ ამ ვითარებით ისარგებლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. IX ტურის წინ

# ჰიცტფელდს ახსოვს ჩამწარებული დებიუტი

## გასულ სეზონში, ჰანს მაიერის ნიურნბერგმა რეკორდმაისტერს 3:0 მოუგო...

| გუშინ |
| --- |
| ბორუსია-ბოხუმი |
| **დღეს** |
| შტუტგარტი-ჰანოვერი |
| შალკე-კარლსრუე |
| ჰერტა-კოტბუსი |
| არმინია-ჰამბურგი |
| ვოლფსბურგი-ჰანზა |
| დუისბურგი-ვერდერი |
| **ხვალ** |
| ბაიერნი-ნიურნბერგი |
| აინტრახტი-ლევერკუზენი |

დღეს, გელზენკირხენში წესით, ბუნდესლიგის ქართული დერბი უნდა შემდგარიყო - **ლევან კობიაშვილის** "შალკე" **ალექსანდრე იაშვილის** "კარლსრუეს" მასპინძლობს. მაგრამ, როგორც იცით, კობი ტრავმირებულია, რის გამოც ქართველთა დუელს ვერ ვიხილავთ. სამაგიეროდ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ამ სეზონში მეორედ, იაშკა ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. მიზეზი ის გახლავთ, რომ ბადენელებს **ბრედლი კარნელი** ჰყავთ დაშავებული და შესაბამისად, მარცხენა შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე მისი ერთადერთი ალტერნატივა სწორედ იაშვილია (თუ, რა თქმა უნდა, **ედი ბეკერი** ტაქტიკას არ შეცვლის). თამამად შეიძლება ითქვას, რომ "შალკე"-"კარლსრუე" ტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრაა, რადგან გელზენკირხენელები მეორე ადგილზე არიან, ბადენელები კი, მესამეზე, რასაც სეზონის დაწყებამდე ვერავინ წარმოიდგენდა. "შალკემ" ჩემპიონთა ლიგაში "რუსენბორგი" 2:0 დაამარცხა და ჩინებულ ხასიათზეა, "კარლსრუე" კი, როგორც მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენა, ზეწოლის ქვეშაა მოქცეული. ეს გუნდები ერთმანეთს ლიგის თასზეც შეხვდნენ და ის მატჩი "ხუმარებმა" 1:0 მოიგეს. "კარლსრუეს" გამთამაშებელი **ტამას ჰაინალი** ამბობს, თავისუფლად ვითამაშებთ, დაცვაში ჩადგომას არცერთი ჩვენგანი არ აპირებსო. ჰაინალი "შალკეს" კარგად იცნობს, რადგან ერთ დროს სწორედ S04-ის ღირსებას იცავდა. ბეკერის გუნდს შიშის საფუძველი არც აქვს - რაც არ უნდა იყოს, "კარლსრუეს" მიმდინარე სეზონში, სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში ყველაზე მეტი ქულა აქვს მოპოვებული.

საერთოდ, ამ ტურში სამი დერბია. პირველი (რურის მცირე) გუშინ გაიმართა, მეორეში კი, დღეს, "ჰერტა" "კოტბუსს" მასპინძლობს - გუნდს, რომელსაც ჯერ მოგება არა აქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ "ენერგის" მიმდინარე სეზონში სტუმრად ერთი გოლიც კი არ გაუტანია. მაგრამ ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ კოტბუსელებს ბერლინში მინიმუმ ერთი გოლი ყოველთვის გაჰქონდათ. "კოტბუსის" ახალი მწვრთნელი **ბოიან პრასნიკარი** დღეს გადაწყვეტს, თუ ვინ დააყენოს კარში - **ტომისლავ პიპლიცა** თუ **გერჰარდ ტრემელი**. დამაინტრიგებელი მატჩია ბილეფელდშიც, სადაც საშინელ ხასიათზე მყოფი "არმინია" "ჰამბურგს" უმასპინძლებს. ბილეფელდელებმა სეზონის იდეალურად დაწყების შემდეგ, ზედიზედ სამი თამაში წააგეს (ბურთების სხვაობით 1:13), ერთი კვირის წინათ კი, "ვერდერს" სულაც 8 გოლი გაატანინეს. "ჰამბურგს" კი სამმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და თანაც, **ჰუუბ სტევენსის** გუნდმა უეფას თასის მორიგი ეტაპი გადალახა და ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა.

უმძიმესი წნეხის ქვეშაა ჩემპიონი "შტუტგარტიც", რომელმაც ბუნდესლიგაში ცუდად ასპარეზობას ჩემპიონთა ლიგაში ნაჭამი სირცხვილიც მოაყოლა. "ბარსელონასთან" მარცხის შემდეგ, შვაბურ კლუბში სასოწარკვეთამ დაისადგურა. მაგრამ მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე** შეგირდებს აგულიანებს. კაპიტანი **ფერნანდო მეირა** კი, "ჰანოვერთან" მხოლოდ 3 ქულას ითხოვს. შესაძლოა, შვაბთათვის კარგიც იყოს ის, რომ "ჰანოვერს" სწორედ ასეთ დროს ხვდებიან, რადგან "შტუტგარტი" ამ გუნდთან ბოლოს 1971 წელს დამარცხდა.

ჩემპიონთა ლიგაში შერცხვენილი "ვერდერი" დუისბურგში ჩადის. მართალია, MSV-ს ბრაზილიელ ფორვარდ **აილტონს** მიმდინარე სეზონში ჯერ არ უთამაშია და მუდმივად სათადარიგო სკამს ხეხავს, მაგრამ "ზებრების" მთავარი მწვრთნელი **რუდი ბომერი** ადასტურებს, ძალიან დიდია იმის ცდუნება, რომ ტონი "ვერდერთან" ძირითად შემადგენლობაში ვათამაშოო. ბომერს იმედი აქვს, რომ აილტონი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ განსაკუთრებით მოტივირებული იქნება. სამაგიეროდ, 100 პროცენტით ნათელია, რომ ძალიან მოტივირებულია **ტორსტენ ფრინგსი**, რომელიც მოედანს ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. "ვერდერმა" ბოლო კვირაში ყველა გააოცა: ჯერ "არმინიას" 8:1 მოუგო, მერე კი, ყველასთვის მოულოდნელად, საკუთარ მოედანზე "ოლიმპიაკოსთან" დამარცხდა (1:3). "მუსიკოსთა" თავკაცი **თომას შააფი** დღეს ისევ ვერ დაიხმარს მეკარე **ტიმ ვიზეს**, რომელსაც კვლავინდებურად **კრისტიან ფანდერი** შეცვლის - მეკარე, რომელსაც "ოლიმპიაკოსთან" საშინლად ითამაშა.

...ძალიან დიდი ხანი გავიდა მას მერე, რაც "ვოლფსბურგის" მეკარე **სიმონ იენტცშმა** კარი მშრალად შეინახა. 10 მარტს "ვოლფსბურგმა" "შტუტგარტთან" 0:0 ითამაშა და მას მერე "მგლები" ყველა შეხვედრაში გოლს უშვებენ. მიუხედავად ამისა, **ფელიქს მაგათის** გუნდი ბოლო დროს ბევრ ქულას აგროვებს. პირველ რიგში, იმის გამო, რომ ახალწვეულებმა იმედების გამართლება დაიწყეს. ერთ-ერთი მათგანი კი **საშა რიტერია**, რომელიც "ვოლფსბურგმა" "ფრაიბურგიდან" იყიდა. რიტერი ერთადერთია მაგათის გუნდში, რომელმაც მიმდინარე სეზონის ყველა მატჩში თავიდან ბოლომდე შეუცვლელად იასპარეზა. "მგლები" დღეს "ჰანზას" მასპინძლობენ - გუნდს, რომელმაც პირველი ხუთი მატჩის წაგების შემდეგ, ზედიზედ სამი თამაში მოიგო ("დუისბურგთან", ბერლინში და "შტუტგარტთან"). **ფრანკ პაგელსდორფი** საგონებელშია - დიდი შანსია, რომ დღეს "ჰანზას" ტრავმის გამო კაპიტანი **ენრიკო კერნი** გამოაკლდეს.

ხვალ კი, მიუნხენში ბავარიული დერბია: "ბაიერნი"-"ნიურნბერგი". რეკორდმაისტერის კარს კვლავ **რენზინგი** დაიცავს (**კანი** ტრავმირებულია). ვერ ითამაშებენ **ლუკას პოდოლსკი** და **მიროსლავ კლოზეც**. "ნიურნბერგის" ფანებმა სპეციალური მაისურები შეუკვეთეს, რომლებზეც ამ გუნდების ბოლო დაპირისპირების შედეგია დაფიქსირებული: 2 თებერვალს "ნიურნბერგმა" "ბაიერნს" 3:0 მოუგო და სხვათა შორის, ის მატჩი **ოტმარ ჰიტცფელდის** დებიუტი გახლდათ. მაშინ რეკორდმაისტერს გოლები **შროთმა, ვიტეკმა** და **საენკომ** გაუტანეს. მაგრამ ამათგან, დღეს მხოლოდ რუსი ითამაშებს (შროთი მიუნხენ 1860-ში გადავიდა, ვიტეკი კი ტრავმირებულია). ტურის ბოლო შეხვედრაში კი, ფრანკფურტის "აინტრახტი" "ლევერკუზენს" მასპინძლობს, რომელმაც ასევე გააღწია უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე.




2 თებერვალს ჰანს მაიერმა ოტმარ ჰიცტფელდს დებიუტი ჩაუმწარა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1. ბაიერნი | 8 | 6 | 2 | 0 | 22-3 | 20 |
| 2. შალკე | 8 | 4 | 4 | 0 | 15-6 | 16 |
| 3. კარლსრუე | 8 | 5 | 0 | 3 | 11-11 | 15 |
| 4. ლევერკუზენი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-4 | 14 |
| 5. ვერდერი | 8 | 4 | 2 | 2 | 18-13 | 14 |
| 6. ჰამბურგი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-7 | 14 |
| 7. ჰანოვერი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-13 | 13 |
| 8. აინტრახტი | 8 | 3 | 3 | 2 | 9-7 | 12 |
| 9. ჰერტა | 8 | 4 | 0 | 4 | 11-12 | 12 |
| 10. შტუტგარტი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-12 | 10 |
| 11. არმინია | 8 | 3 | 1 | 4 | 12-21 | 10 |
| 12. ჰანზა | 8 | 3 | 0 | 5 | 10-13 | 9 |
| 13. ბორუსია (დ) | 8 | 3 | 0 | 5 | 12-16 | 9 |
| 14. ვოლფსბურგი | 8 | 2 | 3 | 3 | 12-13 | 9 |
| 15. ბოხუმი | 8 | 2 | 3 | 3 | 11-13 | 9 |
| 16. დუისბურგი | 8 | 2 | 0 | 6 | 9-13 | 6 |
| 17. ნიურნბერგი | 8 | 1 | 3 | 4 | 9-13 | 6 |
| 18. კოტბუსი | 8 | 0 | 3 | 5 | 5-18 | 3 |



ლიოვი ყველაზე მეტად ფრინგსის დაბრუნებამ გაახარა

გერმანიის ნაკრები

# ვერდერის ტრიო ბუნდესგუნდში

## ლიოვი ლემანს ძველებურად ენდობა და შალკელ ჯერმეინ ჯონსსაც აკვირდება...

გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგ ორ შეხვედრას ირლანდიასთან (13 ოქტომბერს) და ჩეხეთთან (17 ოქტომბერს) გამართავს. გუშინ, ბუნდესგუნდის მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** იმ ფეხბურთელების სია გამოაქვეყნა, რომლებიც ამ შეხვედრებისთვის მოემზადებიან. აღსანიშნავია, რომ იოგის სიურპრიზი აღარ შემოუთავაზებია - ბუნდესმწვრთნელი ისევ იმ შემადგენლობას ენდობა, რომლითაც წინა მატჩებში გადიოდა ფონს. თუმცა ლიოვს არაერთ წამყვან ფეხბურთელზე უწევს უარის თქმა. ასე, მაგალითად, ტრავმების გამო ბუნდესგუნდს **მიროსლავ კოზე, ფილიპ ლამი, კრისტიან პანდერი** და **თომას ჰიტცლშპერგერი** ვერ დაეხმარებიან. როგორც იცით, დიდი ხნის ტრავმირებულია ბუნდესკაპიტანი **მიხაელ ბალაკიც**.

სამაგიეროდ, გერმანიის ნაკრებს "ვერდერის" ტრიო უბრუნდება. ახლახან გამოჯანმრთელებულები, **ტორსტენ ფრინგსი, ტიმ ბოროვსკი** და **კლემენს ფრიტცი** გამოძახებულთა სიაში, რა თქმა უნდა, მოხვდნენ. იოგიმ იცის, რომ ხსენებული ტრიო ჯერ კარგ ფორმაში ვერ იქნება, მაგრამ ბუნდესმწვრთნელის თქმით, ფრინგსი, ბოროვსკი და ფრიტცი ნაკრებისთვის იმდენად მნიშვნელოვანი ფეხბურთელები არიან, რომ მათი განაცხადს მიღმა დატოვება არ შეიძლებოდა. *"გერმანიის ნაკრები ამ ფეხბურთელების გარეშე წარმოუდგენელია. ეს განსაკუთრებით ფრინგსზე ითქმის, რომელიც ბოლო წლებში ბუნდესგუნდის შეუცვლელი ფიგურა და უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. მე დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ტორსტენს რომ ეთამაშა, იტალიასთან მოგების ორჯერ მეტი შანსი გვექნებოდა. მიხარია, რომ ფრინგსი გამოჯანმრთელდა,"* - აღნიშნა ლიოვმა.

სიაშია **მარიო გომესიც**, რომელმაც ტრავმა ასევე ცოტა ხნის წინათ მოიშუშა. ბალაკის არყოფნაში, გერმანიას კვლავ ლევერკუზენელი **ბერნდ შნაიდერი** უკაპიტნებს, რომლისთვისაც ირლანდიასთან მატჩი, მე-80 სანაკრებო შეხვედრა იქნება. ნიშანდობლივია ისიც, რომ მიუხედავად სათამაშო პრაქტიკის არქონისა, ლიოვი **იენს ლემანს** მაინც ძველებურად ენდობა. გერმანიაში დიდი ხანია მიდის დისკუსია იმის შესახებ, რომ დროა, იოგიმ ლემანის შემცვლელი მონახოს, მაგრამ ბუნდესმწვრთნელი შეუვალია და კვლავ ენდობა მეკარეს, რომელმაც ლონდონის "არსენალის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. *"მართალია, იენსი არ თამაშობს, მაგრამ ჯანმრთელია და გუნდთან ერთად ვარჯიშობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ცუდ ფორმაში არ არის. ლემანის შეცვლის საფუძველი, ჯერჯერობით, არ არსებობს, მას ძველებურად ვენდობი. შესაბამისად, ირლანდიასთან და ჩეხეთთან, ჩვენი გუნდის კარს სწორედ ლემანი დაიცავს,"* - აცხადებს ლიოვი.

*"თუ ვინმეს ჰგონია, რომ ცუდ ფორმაში ვარ, ძალიან ცდება. მონდომება არ მაკლია და ფიზიკური მონაცემებიც მაძლევს იმის საშუალებას, რომ გერმანიის კარი საიმედოდ დავიცვა. სათამაშო პრაქტიკის არქონა დროებითია. დარწმუნებული ვარ, რომ "არსენალის" სასტარტო შემადგენლობას ძალიან მალე დავუბრუნდები,"* - ეს კი თვითონ ლემანის სიტყვები გახლავთ.

შემადგენლობის გამოცხადების შემდეგ, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, ლიოვმა ფეხბურთელთა გაფართოებულ სიაზე ისაუბრა და ჟურნალისტებს ამცნო, რომ ამ სიაში, საიდანაც მოთამაშეები ევროპის ჩემპიონატისთვის შეირჩევიან, "შალკეს" საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსიცაა**. ეს უკანასკნელი გელზენკირხენულმა კლუბმა გასულ ზაფხულს ფრანკფურტის "აინტრახტიდან" შეიძინა და ჯონსი დღესდღეობით შესანიშნავ ფორმაშია. ბუნდესლიგაში უმაღლეს დონეზე ჩატარებული მატჩების შემდეგ (საყრდენის პოზიციაზე ტრავმირებული **ლევან კობიაშვილი** შეცვალა), 25 წლის შუამარბმა ჩემპიონთა ლიგაშიც გამოიჩინა თავი - ოთხშაბათს მან "რუსენბორგს" გოლი გაუტანა. შესაბამისად, გერმანიაში არავის უკვირს ის ფაქტი, რომ ფეხბურთელით, რომელსაც "შალკეს" მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა** გუნდის ახალი მეომარი უწოდა, გერმანიის ნაკრების თავკაციც დაინტერესდა.

*"ერთი რამის თქმა დანამდვილებით შემიძლია: ჯონსი ფეხბურთელთა იმ გაფართოებულ სიაშია, სადაც ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის კანდიდატები არიან. სხვებთან ერთად მასაც გულმოდგინედ ვაკვირდები. სხვათა შორის, ამ ფეხბურთელით ჯერ კიდევ მაშინ ვიყავი დაინტერესებული, როცა ის "აინტრახტში" თამაშობდა და აშკარაა, რომ "შალკეში" ჯერმეინმა უდიდესი პროგრესი განიცადა,"* - განაცხადა ბუნდესმწვრთნელმა.

სამაგიეროდ, გერმანიის ნაკრებში მოხვედრის იმედი ვერ ექნება კიდევ ერთ შალკელ საყრდენს, **ფაბიან ერნსტს**, რომელიც ასევე ჩინებულ ფორმაშია. აი, ლიოვის მოსაზრება: *"ჩვენ გვყავს ფრინგსი, როლფესი და ჰიტცლშპერგერი, ასე რომ, ერნსტზე ამ ეტაპზე ნაკლებად ვფიქრობ. ფაბიანი ის ფეხბურთელია, რომელიც გამოძახების შემთხვევაში აუცილებლად უნდა ათამაშო, გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში კი უდიდესი კონკურენციაა."*

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად, გერმანიის ნაკრებს დარჩენილ შეხვედრებში, მხოლოდ და მხოლოდ, 1 ქულის აღება სჭირდება, რაც იოგის სამწყსოსთვის პრობლემა არ უნდა იყოს. ამრიგად, ბუნდესგუნდი, ალბათ, პირველი იქნება, ვინც შვეიცარია-ავსტრიის საგზურს გაიფორმებს. გერმანიის ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** ტიმო ჰილდებრანდი (ვალენსია), იენს ლემანი (არსენალი).

**მცველები:** გონსალო კასტრო (ლევერკუზენი), არნე ფრიდრიხი (ჰერტა), მანუელ ფრიდრიხი (ლევერკუზენი), კლემენს ფრიტცი (ვერდერი), მარსელ იანსენი (ბაიერნი), პერ მერტეზაკერი (ვერდერი), კრისტოფ მეტცელდერი (რეალი).

**ნახევარმცველები:** ტიმ ბოროვსკი (ვერდერი), რობერტო ჰილბერტი (შტუტგარტი), ტორსტენ ფრინგსი (ვერდერი), დავიდ ოდონკორი (ბეტისი), სიმონ როლფესი (ლევერკუზენი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), პიოტრ ტროხოვსკი (ჰამბურგი).

**თავდამსხმელები:** მარიო გომესი (შტუტგარტი), პატრიკ ჰელმესი (კიოლნი), შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), კევინ კურანი (შალკე), ლუკას პოდოლსკი (ბაიერნი).

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. VII ტურის წინ

# პუიოლი და მილიტო ერთად?

**დღეს**

ვალენსია-ესპანიოლი

**ხვალ**

ბარსელონა-ატლეტიკო
რეალი-რეკრეატივო
ოსასუნა-ვილიარეალი
სევილია-დეპორტივო
სარაგოსა-ლევანტე
ბილბაო-ალმერია
მურსია-ბეტისი
მალიორკა-ხეტაფე
რასინგი-ვალიადოლიდი

"ლაციოსთან" მატჩში მიღწეული ფრის შემდეგ ჟურნალისტებმა **ბერნდ შუსტერის** კედელთან მიყენება სცადეს, მაგრამ გერმანელმა სპეციალისტმა აგრესიულად განწყობილი მედიელები გამყინავი ცივსისხლიანი პასუხით მოიცილა თავიდან. მისი თქმით, გასვლით შეხვედრაში საყაიმო შედეგი სულაც არ არის კატასტროფა. თუმცა სამეფო კლუბის თავკაცმა შეგირდების მისამართით ერთი საყვედური მაინც თქვა, მთავარ მწვრთნელს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ გუნდმა საჭირო მომენტში თამაშის მოკვლა შეძლოს. ალბათ, ხვდებით, რაც იგულისხმება. რომაულ შეხვედრაში "რეალი" ორჯერ დაწინაურდა, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო. გერმანელი ფიქრობს, რომ ზოგჯერ წინ გასვლის შემდეგ ფეხბურთელებმა კრეაციულ თამაშზე უარი უნდა თქვან და ანგარიშის შენარჩუნებაზე იზრუნონ. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ეს მსოფლმხედველობა სამეფო კლუბის საფეხბურთო გემოვნებას 100 პროცენტით ეწინააღმდეგება. ალბათ, ამის გამოა, რომ ბერნდ შუსტერს კრიტიკოსები ერთიორად მოუმრავლდა.

პრიმერა დივიზიონის მომდევნო ტურში "რეალს", წესით, ანგარიშის შენარჩუნებისთვის ზრუნვა არ უნდა დასჭირდეს. მადრიდელები საკუთარ მოედანზე შეუდარებლად მოკრძალებული შესაძლებლობების მქონე "რეკრეატივოს" უმასპინძლებენ. უელსელებთან მატჩის წინ დედაქალაქელებს **კრისტოფ მეტცელდერი** დაუბრუნდათ. გერმანელმა მცველმა ტრავმა მოიშუშა და ბოლო ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა. გერმანელს თითქმის ერთი თვე გაუცდა, მაგრამ ესპანელი ჟურნალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ იძულებითი შვებულება მას პრაქტიკულად, არ დატყობია. ვარჯიშზე კრისტოფი ფანტასტიკურად გამოიყურებოდა. მეტცელდერისგან განსხვავებით, 30 მილიონად შეძენილი **პეპეს** გამოჯანმრთელებას საშველი ვერა და ვერ დაადგა. ექიმების ვარაუდით, მის რეაბილიტაციას კიდევ სულ მცირე ერთი კვირა დასჭირდება. საეჭვოა რობინიოს თამაში. ბრაზილიელმა "ხეტაფესთან" მატჩში ქუსლი იტკინა. მას დღემდე არ უვარჯიშია.

მეშვიდე ტურის ცენტრალური შეხვედრა "კამპ ნოუზე" გაიმართება. "ბარსელონა" "ატლეტიკოს" უმასპინძლებს. ბოლო წლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ "როხიბლანკო" კატალონიური გრანდისთვის ერთ-ერთი უხერხული მეტოქეა. "კამპ ნოუზე" დედაქალაქელები მასპინძლებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიან ხოლმე. სხვათა შორის, გასული სეზონის მინურულს **ფრან რიიკაარდის** ბიჭებმა "ატლეტიკო" "ვისენტე კალდერონზე" 6:0 გაანადგურეს. **ხავიერ აგირე** აცხადებს, რომ მის შეგირდებს ეს შეურაცხყოფა არ დავიწყებიათ და შურისძიებას შეეცდებიან. სტუმრები მთელ იმედს **სერხიო აგუეროზე** ამყარებენ. ახალგაზრდა არგენტინელი ფორვარდი შესანიშნავ ფორმაშია. მადრიდელთა ფორვარდის, **ლუის გარსიას** პირდაპირი მოვალეობა გოლების გატანაა, თუმცა გამოცდილი ესპანელი თავდამსხმელი ფსონს სწორედ აგუეროზე ჩადის: *"სერხიო გენიოსია. დარწმუნებული გახლავართ, ის კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო შეხვედრას ჩაატარებს და "ბარსელონას" უამრავ თავსატეხს გაუჩენს. მას შეუძლია, შეხვედრის ბედი მარტომ გადაწყვიტოს. მჯერა, სწორედ ასე მოხდება და აგუერო სამ ქულას მოგვიტანს."*

ბუნებრივია, "ბარსელონას" აბსოლუტურად განსხვავებული გეგმები აქვს. "შტუტგარტთან" საჩემპიონთა ლიგო მატჩის მოგებით გახარებული კატალონიელები "ატლეტიკოსთან" დაპირისპირებას ჩინებული განწყობით ხვდებიან. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რიიკაარდი ძირითად შემადგენლობაში **კარლეს პუიოლსა** და **გაბრიელ მილიტოს** ერთად დააყენებს. მოგეხსენებათ, ჰოლანდიელ მწვრთნელს საამისო ფუფუნება წლეულს ჯერ არ ჰქონია. "შტუტგარტთან" **რაფა მარკესმა** მარჯვენა ფეხის ტრავმა მიიღო. პუიოლის ძირითადში დაბრუნებამ აქტუალობა სწორედ ამის გამო შეიძინა. დაგვეთანხმებით, სადებიუტო წარუმატებლობების შემდეგ კატალონიელებმა თამაშის ხარისხი მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს, თუმცა რიიკაარდს ბედნიერად ცხოვრების საშუალება მაინც არ ეძლევა. პრობლემებს მას გახშირებული ტრავმები უქმნის. "ბარსას" ლაზარეთში ამჟამად ერთბაშად ოთხი წამყვანი მოთამაშე მკურნალობს. უდავოა, რომ **სამუელ ეტოოს, ჯანლუკა ძამბროტას, იაია ტურესა** და რაფა მარკესის არ ყოფნა გუნდისთვის ძალიან მძიმე დარტყმაა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 6 | 5 | 1 | 0 | 14-3 | 16 |
| 2. ვილიარეალი | 6 | 5 | 0 | 1 | 9-5 | 15 |
| 3. ვალენსია | 6 | 5 | 0 | 1 | 9-7 | 15 |
| 4. ბარსელონა | 6 | 4 | 2 | 0 | 13-4 | 14 |
| 5. ატლეტიკო | 6 | 3 | 2 | 1 | 11-4 | 11 |
| 6. ესპანიოლი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 10 |
| 7. მალიორკა | 6 | 2 | 2 | 2 | 9-8 | 8 |
| 8. მურსია | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| 9. სარაგოსა | 6 | 2 | 2 | 2 | 8-9 | 8 |
| 10. რეკრეატივო | 6 | 2 | 2 | 2 | 7-8 | 8 |
| 11. რასინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 3-7 | 8 |
| 12. ალმერია | 6 | 2 | 1 | 3 | 7-7 | 7 |
| 13. სევილია | 5 | 2 | 0 | 3 | 11-9 | 6 |
| 14. ოსასუნა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-5 | 5 |
| 15. ბეტისი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-8 | 5 |
| 16. ბილბაო | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| 17. ვალიადოლიდი | 6 | 1 | 2 | 3 | 8-13 | 5 |
| 18. დეპორტივო | 6 | 1 | 2 | 3 | 3-8 | 5 |
| 19. ხეტაფე | 6 | 0 | 2 | 4 | 3-9 | 2 |
| 20. ლევანტე | 6 | 0 | 1 | 5 | 3-14 | 1 |



რაული ისევ ნაკრებს მიღმა დარჩა

ესპანეთის ნაკრები

# ესპანეთის ნაკრები

## არაგონესი რაულს ისევ არ სწყალობს

**ლუის არაგონესმა** ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი შეხვედრის წინ ესპანეთის ნაკრების შემადგენლობა გამოაქვეყნა. "სელექსიონი" 13 ოქტომბერს დანიის ეროვნულ გუნდთან უმნიშვნელოვანეს დაპირისპირებას გამართავს. ოთხი დღის შემდეგ კი ფინელებთან ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. ბუნებრივია, ესპანურ საფეხბურთო საზოგადოებას დღეს ყველაზე მეტად დანიასთან მატჩი აინტერესებს. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ ლუის არაგონესი ამჯერად მაინც მოეგებოდა გონს და **რაულს** ნაკრებში უხმობდა. დიდი მოლოდინის მიუხედავად, ასაკოვანმა მწვრთნელმა საკუთარ ამპარტავნებასა და სიჯიუტეს ვერ გადააბიჯა და გონსალეს ბლანკო კვლავ "სელექსიონის" მიღმა დატოვა. სიმართლე გითხრათ, ბატონი არაგონესის ჯიუტი ხასიათი უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება. დღითიდღე ვრწმუნდებით, რომ ეს კაცი რაულის უგულველყოფით საკუთარი პერსონის შეუმცდარობის დამტკიცებას ცდილობს. როცა მან გონსალეს ბლანკოზე უარი თქვა, საზოგადოებისა და პრესის უდიდესი კრიტიკა დაატყდა თავს. მართალია, "რეალის" კაპიტანი მაშინ ძალიან შორს იყო ოპტიმალური ფორმისგან, მაგრამ ხალხი მაინც ითხოვდა, რომ ესპანური ფეხბურთის სიმბოლო ქვეყნის უმთავრეს გუნდში ყოფილიყო. დაგვეთანხმებით, რაულმა მას შემდეგ ძალიან მოუმატა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახლა ის ევროპის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა. სენიორ ლუისი კი მაინც არ წყალობს. დიახ, უდავოა, არაგონესი ცდილობს დაამტკიცოს, საკვალიფიკაციო ეტაპს ამ კაცის გარეშეც დავძლევთო. ანუ, "სელექსიონის" თავკაცი დაშვებულ შეცდომას არ აღიარებს. უფრო მეტიც, ის ისევ აცხადებს, რომ რაული ნაკრებში თამაშს არ იმსახურებს. ჟურნალისტიკური ეთიკიდან გამომდინარე, მწვრთნელის კომპეტენციაში ჩარევა, რა თქმა უნდა, დაუშვებელია, მაგრამ იმის თქმა მაინც შეგვიძლია, რომ არაგონესის სიჯიუტე ძალიან გამაღიზიანებელი გახდა. უბრალოდ ძნელია, ამ ადამიანს გაუგო. განა, ბევრი ჰყავს რაულის დონის ფეხბურთელი?!

პრინციპული დაპირისპირების წინ ესპანეთის ეროვნულ გუნდში რამდენიმე სიახლეა. ტრავმით განპირობებული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ "სელექსიონს" **კარლეს პუიოლი** დაუბრუნდა. სხვათა შორის, სპეციალისტებმა არაგონესს ეს ნაბიჯიც დაუწუნეს. მათი აზრით, "ბარსელონის" კაპიტანი შორსაა სასურველი კონდიციებისგან და ის ჯერ არ უნდა გამოეძახათ. მთავარი სიახლე კი მაინც **რიერასა** და **ალბიოლის** გამოჩენაა. ესპანეთის ნაკრებში ისინი კარიერის განმავლობაში პირველად მოხვდა. "სელექსიონის" სრული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები** - კასილიასი (რეალი), რეინა (ლივერპული).

**მცველები** - სერხიო რამოსი (რეალი), მარჩენა (ვალენსია), პუიოლი (ბარსელონა), კაპდევილა (ვილიარეალი), ალბელდა (ვალენსია), რიერა (ესპანიოლი), პერნია (ატლეტიკო).

**ნახევარმცველები** - ფაბრეგასი (არსენალი), ინიესტა (ბარსელონა), ჩავი (ბარსელონა), ანგულო (ვალენსია), ხოაკინი (ვალენსია), სილვა (ვალენსია), პაბლო (ატლეტიკო), ალბიოლი (ვალენსია).

**თავდამსხმელები** - ლუის გარსია (ესპანიოლი), ფერნანდო ტორესი (ლივერპული), ვილია (ვალენსია).

რეალი

# ვან ნისტელროის კონტრაქტს უგრძელებენ

## მიატოვიჩმა აღიარა, რომ ჰოლანდიელთან მხოლოდ სამწლიანი ხელშეკრულების დადება შეცდომა იყო...



რუუდ ვან ნისტელრო

**რუუდ ვან ნისტელროიმ** გასულ სეზონში ყველა ტურნირის ჯამში 33 გოლს მოუყარა თავი. ჰოლანდიელმა ფორვარდმა მიმდინარე სეზონიც ფანტასტიკურად დაიწყო. ის პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში გოლს გოლზე იტანს. აქედან გამომდინარე, **პრედრაგ მიატოვიჩმა** ვან ნისტელროისთან კონტრაქტის გახანგრძლივება გადაწყვიტა. სამეფო კლუბის გენერალური მდივანი ამ საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტს შეხვდა. მიატოვიჩის ინიციატივა **რამონ კალდერონმა** უყოყმანოდ გაიზიარა. გადაწყდა, რომ ჰოლანდიელს ახალ ხელშეკრულებას სანაკრებო პაუზის შემდეგ შეთავაზებენ. 13 ოქტომბერს ჰოლანდიის ეროვნული გუნდი რუმინეთს ეთამაშება, 17-ში კი სლოვენიას. სწორედ ამ ორი დაპირისპირების შემდეგ რუუდი მადრიდში დაბრუნდება და ხელმძღვანელობის წინადადებას მოისმენს...

აღსანიშნავია, რომ ამჟამად მოქმედ კონტრაქტს 2009 წლის 30 ივნისს ეწურება ვადა. მიატოვიჩმა ამ თემასთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: *"მსურს გულწრფელად ვაღიარო, რომ თავის დროზე სერიოზული შეცდომა დავუშვით. ისეთი მაღალი დონის ფორვარდთან, როგორიც რუუდ ვან ნისტელროოია 2006 წელს ცხადია, მხოლოდ სამწლიანი ხელშეკრულება არ უნდა გაგვეფორმებინა. ჩვენ მისი ასაკი გვაშინებდა, თუმცა ცხოვრებამ დაგვანახა, რომ სერიოზული შეცდომა დავუშვით. არა უშავს, მთავარია, შეცდომა დროულად გააცნობიერო, გააანალიზო და მის გამოსასწორებლად ყველაფერი იღონო. პრეზიდენტს კონკრეტული წინადადებით შევხვდი. სენიორ კალდერონი ძალიან გახარებული დარჩა. მზად ვართ, რუუდთან თანამშრომლობა ერთი წლით გავახანგრძლივოთ. ბუნებრივია, უკეთესი საკონტრაქტო პირობებით. მართალია, უშუალოდ ჰოლანდიელთან ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, წინააღმდეგი არ იქნება. ვიცი, რომ მას "სანტიაგო ბერნაბეუზე" სურს კარიერის დასრულება."*

მართლაც, ვან ნისტელროი წინააღმდეგი სულაც არ არის. პირიქით, გაზეთებში გავრცელებულმა ინფორმაციამ ჰოლანდიელი ძალიან გაახარა: *"ერთი შეხედვით უჩვეულო და უცნაურია, რომ ჩემთან დაკავშირებულ სიახლეს გაზეთების ფურცლებიდან ვიგებ, მაგრამ ეს არავითარი პრობლემა არ არის. სანაკრებო შეხვედრების შემდეგ მადრიდში ორმაგი ენთუზიაზმით დავბრუნდები. უკვე შემიძლია განვაცხადო, რომ შეთავაზებას დავთანხმდები. მიუხედავად იმისა, რომ პირობებს ჯერ არ გავცნობივარ, "რეალში" კიდევ ერთი წლით დარჩენის შესაძლებლობას ხელიდან არ გავუშვებ."*

ბარსელონა

# ეტოოს ავარია შეემთხვა

**სამუელ ეტოო** დიდ უბედურებას გადაურჩა. მოგეხსენებათ, კამერუნელ ფორვარდს სერიოზული ტრავმა აწუხებს, რის გამოც ვარჯიშსაც კი ვერ ახერხებს. თამაშზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. აქედან გამომდინარე, ეტოოს თავისუფალი დრო თავზე საყრელად აქვს. აფრიკელი ცდილობს, მოცალეობის ჟამს მაქსიმალურად გაერთოს და მეგობრებთან ერთად ყოფნით გული იჯეროს. გუშინ სამუელმა მთელი სალამო უახლოესი ადამიანების გარემოცვაში გაატარა. საღამოს კი შინ ბრუნდებოდა. უსიამოვნო ინციდენტი კამერუნელს სწორედ მაშინ შეემთხვა. ეტოო ავტოსადგომზე მანქანის გაჩერებას ცდილობდა, როცა ის მოტოციკლეტისტს დაეჯახა. გაირკვა, რომ ავარია ფეხბურთელის ბრალი არ იყო. შემთხვევა გადაუღებელი წვიმისგან დაზიანებულმა მიწის საფარმა და მოტოციკლეტისტის დაუდევრობამ განაპირობა. ასე იყო თუ ისე, მან საკმაოდ სერიოზული ტრავმები მიიღო. აღსანიშნავია, რომ "ბარსას" ფორვარდი სასწრაფო დახმარების მანქანას არ დაელოდა და დაშავებული მოქალაქე საავადმყოფოში პირადად მიიყვანა. მოგვიანებით, პოლიციამ შემთხვევა საგულდაგულოდ გამოიძია და ეტოო მთლიანად გაამართლა.

ინგლისი. პრემიერლიგა. IX ტური

# მანჩესტერი, ლიდერი ერთი დღით?

## ნიუკასლი ოუენით და ჩელსი დროგბას გარეშე...

**დღეს**

მანჩესტერ იუნ.-ვიგანი
ასტონ ვილა-ვესტ ჰემი

**ხვალ**

არსენალი-სანდერლენდი
რედინგი-დერბი
ბლექბერნი-ბირმინგემი
ბოლტონი-ჩელსი
ლივერპული-ტოტენჰემი
მანჩესტერ სიტი-მიდლსბრო
ნიუკასლი-ევერტონი
ფულჰემი-პორტსმუთი

ინგლისში ინტენსიურად საუბრობენ "არსენალის" მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ. ვნებათაღელვა გუნდის თამაშზე არ აისახება. "მეთოფეები" დამაჯერებლად ლიდერობენ ჩემპიონატს, თუმცა დღეს, როცა "მანჩესტერ იუნაიტედი" "ვიგანს" შეხვდება, ცხრილში, შეიძლება, "ეშმაკები" დაწინაურდნენ - მინიმუმ ერთი დღით მაინც.

ლონდონელებს პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მეათე თამაშის მოგება შეუძლიათ. მათი სტუმარია **როი კინის** "სანდერლენდი". "არსენალი" ისე თამაშობს, რომ მიმომხილველებს 2003-04 წლების გუნდი ახსენდებათ. სამი წლის წინათ "მეთოფეებმა" ინგლისის ჩემპიონატი ისე მოიგეს, რომ ერთი თამაშიც არ წაუგიათ. იმდროინდელ "არსენალს" "უძლეველები" შეარქვეს.

გამოჯანმრთელდნენ **აბუ დიაბი, ჟილბერტო სილვა** და **თეო უოლკოტი**. ისინი ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ მზად არიან. "არსენალს" ყველა საკადრო პრობლემა ჯერ არ მოუგვარებია. **ედუარდო, იენს ლემანი, ვილიამ გალასი, ტომაშ როსიცკი** და **ალექს სონგი** იძულებით შვებულებაში იმყოფებიან.

"სანდერლენდს" ნახევარმცველი **დიკსონ ეტუჰუ** უბრუნდება. მან ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა. **ენდი კოული** წვივს იტკიებს. სხვადასხვა სიმძიმის ტრავმები აქვთ **რასელ ანდერსონს, კარლოს ედვარდსს, კირან რიჩარდსონს, დინ უაითჰედსა** და **სტანისლავ ვარგას**. "არსენალისა" და "სანდერლენდის" წყვილში უპირობო ფავორიტად მასპინძლები ითვლებიან.

როი კინის ყოფილი კლუბი "მანჩესტერ იუნაიტედი" "ვიგანს" მიიღებს. "ეშმაკებს" შესუსტებული შემადგენლობის გამოყვანა მოუხდებათ. ნახევარდაცვის ცენტრში, შეიძლება, **რაიან გიგზი** და **ანდერსონი** ვიხილოთ. **ოუენ ჰარგრივსი** და **მაიკლ ქერიკი** დაშავებულები არიან. **ვესლი ბრაუნს** მუხლი აწუხებს. მისი ასპარეზობა საეჭვოა. **ედვინ ვან დერ სარმა**, მოგეხსენებათ, ფეხის თითი მოიტეხა და "რომასთან" მატჩი გაუცდა. მის ნაცვლად ისევ **ტომაშ კუშჩაკი** ითამაშებს. სტუმრებს თავდამსხმელი **ანტუან სიბირსკი** ჰყავთ დაშავებული. **დენი ლანდზაატმა** ნატკენი თვალი მოიშუშა და მინდორზე გასასვლელად მზადაა. გამოჯანმრთელდა გარემარბი **ანტონიო ვალენსიაც**, რომელსაც მუხლი აწუხებდა.

საკმაოდ რთული თამაში აქვს "ლივერპულს". მერსისაიდელებმა ჩემპიონატი დამაჯერებლად დაიწყეს, მაგრამ მერე მოუკლეს. შუა კვირაში ისინი ჩემპიონთა ლიგის საშინაო მატჩშიც დამარცხდნენ ("მარსელთან" 0:1). ამჯერად, "ენფილდ როუდს" "ტოტენჰემი" ესტუმრება. ლონდონელებს ცხრილში შეუფერებელი პოზიცია უკავიათ. მიმომხილველები ყოველ თამაშს ელიან მათი კრიზისის დასრულებას. წინა ტურში "ტოტენჰემმა" ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა. ის "ასტონ ვილასთან" 1:4-ს აგებდა, მაგრამ თამაში 4:4 დაასრულა. "მამლებს" **მარტინ იოლის** ხელმძღვანელობით ინგლისის დიდი ოთხეულის კლუბები სტუმრად არასოდეს დაუმარცხებიათ. ვნახოთ, მოახერხებენ თუ არა ისინი ამ უსიამოვნო ტრადიციის დასრულებას. "ტოტენჰემს", შეიძლება, **ჯერმეინ ჯენასი** დაუბრუნდეს. მწყობრში არიან **დიმიტარ ბერბატოვი** და **პასკალ შიმბონდა**. **აარონ ლენონს** მუხლი გაუსივდა, მაგრამ ექიმები თამაშის ნებას რთავენ. დისკვალიფიკაციის შემდეგ ძირითად შემადგენლობას უბრუნდება **ტეემუ ტაინიო**. სასჯელი მოიხადა ლივერპულელმა **ჯერმეინ პენანტმაც**. დაშავებულია **ფაბიო აურელიო**. სამაგიეროდ, განაცხადში მოხვდნენ **ხავიერ მასკერანო, დირკ კუიტი, ალვარო არბელოა, ჯონ არნე რიისე, რაიან ბაბელი** და **ანდრეი ვორონინი**.

**ავრაამ გრანტმა** ჟურნალისტების ოდნავი მოწონება დაიმსახურა. შუა კვირაში მან სტუმრად "ვალენსიას" მოუგო. გადამწყვეტი გოლი **დიდიე დროგბამ** გაიტანა. ხვალ ბოლტონში კოტდივუარელი თავდამსხმელი ვერ ითამაშებს. ერთი კვირის წინ, "ფულჰემთან" მატჩისას მას წითელი ბარათი აუფრიალეს და დასჯილია. "არისტოკრატები" ბოლო წლებისათვის უჩვეულო, მერვე ადგილზე იმყოფებიან. მათ "არსენალისგან" შვიდი ქულა აშორებთ, თანაც მათზე ერთი თამაშით მეტი აქვთ. გრანტის შეგირდებს სამი ქულა ჰაერივით სჭირდებათ. ქულების განიავება დაუშვებელია. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ **ფრენკ ლემპარდის** დაბრუნებას ელიან.საეჭვოა **მიკაელ ესიენისა** და **შონ რაიტ-ფილიპსის** ასპარეზობა. მათ წვივისა და მუხლის ტრავმები ჯერ არ მოუშუშებიათ. სასჯელს იხდის **ჯონ ობი მიკელი**. "ბოლტონს" **მიკელ ალონსო** არ ეყოლება. **ივან კამპო** ძირითადში სათამაშოდ მზადაა. მწყობრში არიან მასპინძელთა სხვა ლიდერებიც - **ნიკოლა ანელკა, ელ ჰაჯი დიუფი, გარი სპიდი, კევინ ნოლანი** და **რიკარდო გარდნერი**. ასე რომ, "არისტოკრატებს" იოლი გასეირნება სულაც არ ელით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

არისტოკრატებს დიდიე დროგბა გამოაკლდებათ

"მანჩესტერ სიტი" "მიდლსბროს" უმასპინძლებს და საუკეთესო ოთხეულში პოზიციების განმტკიცებას შეეცდება. კვლავ ვერ ითამაშებს იტალიელი თავდამსხმელი **როლანდო ბიანკი**. **სვენ გორან ერიქსონს** კიდევ ორი ფორვარდი აკლია - **დარიუს ვასელი** და **ვალერი ბოჟინოვი**. კარს, ალბათ, ისევ **ჯო ჰარტი** დაიცავს. წინა ტურში ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების გოლკიპერმა დამაჯერებლად ითამაშა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **კასპერ შმაიხელს** კვლავ თადარიგში ვიხილავთ. "მიდლსბროს" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ **მიდო** და **თუნჯაი სანლი** სამედიცინო ტესტებს წარმატებით გაივლიან და ითამაშებენ. თუ ასე არ მოხდება, მათ **დონ გუკ ლი** და **ტომ კრედოკი** შეცვლიან. რივერსაიდელებს სათადარიგო მეკარე **ბრედ ჯოუნსიც** დაშავებული ჰყავთ, მაგრამ ის განაცხადში იქნება.

"ნიუკასლი" **მაიკლ ოუენის** დაბრუნებას ელოდება. საზარდულის ოპერაციიდან ერთი კვირის შემდეგ ფორვარდი მინდორზე გასასვლელად მზადაა. გუშინ **სტივ მაკლარენმა** ის ინგლისის ნაკრების შემადგენლობაშიც კი შეიყვანა. ჯორდებს კვლავ ვერ დაეხმარება **ჯოი ბარტონი**, რომელმაც ორიოდე დღის წინათ სარეზერვო გუნდში ითამაშა. გამოჯანმრთელდა ბრაზილიელი მცველი **კლაუდიო კასაპა**. ევერტონელთაგან საეჭვოა ინგლისის ნაკრების თავდამსხმელის **ენდი ჯონსონის** ასპარეზობა. შეიძლება, ძირითადში ვიხილოთ **ვიქტორ ანიჩებე**, რომელიც ხუთშაბათს უეფას თასზე, **იაკუბუ აიეგბენის** ნაცვლად შეცვლაზე შევიდა და გამარჯვების გოლი გაიტანა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 7 | 6 | 1 | 0 | 16-4 | 19 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 8 | 5 | 2 | 1 | 7-2 | 17 |
| 3. მანჩესტერ სიტი | 8 | 5 | 1 | 2 | 11-6 | 16 |
| 4. ლივერპული | 7 | 4 | 3 | 0 | 12-2 | 15 |
| 5. ევერტონი | 8 | 4 | 1 | 3 | 10-8 | 13 |
| 6. პორტსმუთი | 8 | 3 | 3 | 2 | 15-12 | 12 |
| 7. ბლექბერნი | 7 | 3 | 3 | 1 | 7-5 | 12 |
| 8. ჩელსი | 8 | 3 | 3 | 2 | 7-8 | 12 |
| 9. ასტონ ვილა | 7 | 3 | 2 | 2 | 11-8 | 11 |
| 10. ნიუკასლი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-8 | 11 |
| 11. ვესტ ჰემი | 7 | 3 | 1 | 3 | 9-7 | 10 |
| 12. ვიგანი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-8 | 8 |
| 13. ბირმინგემი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-10 | 8 |
| 14. მიდლსბრო | 8 | 2 | 2 | 4 | 9-13 | 8 |
| 15. სანდერლენდი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-13 | 8 |
| 16. ფულჰემი | 8 | 1 | 4 | 3 | 12-14 | 7 |
| 17. რედინგი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-18 | 7 |
| 18. ტოტენჰემი | 8 | 1 | 3 | 4 | 14-16 | 6 |
| 19. ბოლტონი | 8 | 1 | 2 | 5 | 9-13 | 5 |
| 20. დერბი | 8 | 1 | 2 | 5 | 5-21 | 5 |




ემანუელ ადებაიორი

ინტერვიუ ემანუელ ადებაიორთან

# მაისში გამოჩნდება, ვინ იყო მართალი

## ტოგოელ თავდამსხმელს ტიერი ანრის მემკვიდრის სტატუსზე პრეტენზია არ აქვს...

**ტიერი ანრის "ბარსელონაში" გადასვლის შემდეგ, მიმოხილველთა ერთმა ნაწილმა "არსენალი" საერთოდ ჩამოწერა. "მეთოფეებს" ოთხეულში მოხვედრასაც კი აღარ უწინასწარმეტყველებდნენ. ეჭვები უსაფუძვლო აღმოჩნდა. "არსენალმა" დაამტკიცა, რომ ერთი ფეხბურთელის გუნდი არ იყო. ანრის ფუნქციები რამდენიმე ახალგაზრდა თავდამსხმელმა, მათ შორის, ტოგოელმა ემანუელ ადებაიორმა გაინაწილა. მან პრემიერლიგის შვიდ მატჩში ხუთი გოლი შეაგდო. ადებაიორი საუკეთესო ლონდონურ სეზონს ატარებს. მას ძალიან მოუხდა ფრანგი ვარსკვლავის ჩრდილიდან გამოსვლა. ამიტომ ESPN-მა ლონდონში საკუთარი კორესპონდენტი ბრუნო სალა მიავლინა და ადებაიორთან ინტერვიუს მომზადება დაავალა.**

**- სეზონის წინ "არსენალს" ყოველი მხრიდან აკრიტიკებდნენ. შვიდი ტურის შემდეგ გუნდს 19 ქულა აქვს და ინგლისის ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს. კრიტიკოსებს სამაგიეროს ხომ არ უხდით?**

- შეიძლება, ასეც ითქვას. კარგად მახსოვს, სეზონის დაწყებამდე, ერთ ექსპერტსაც ვერ ნახავდით, რომელიც "მანჩესტერ იუნაიტედის", "ლივერპულის" ან "ჩელსის" გვერდით დაგვაყენებდა. მათ სკეპტიციზმს არ ვიმჩნევდით და მუხლჩაუხრელად ვაგრძელებდით შრომას. არ დაგიმალავთ, ძალიან მინდოდა, ამ ადამიანებისთვის გვეჩვენებინა, რომ მწარედ ცდებოდნენ. "არსენალს" შესანიშნავი ბიჭები ჰყავს. გუნდი სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს. მჯერა, ამ სეზონში ერთი ტიტულის მოპოვება მაინც შეგვიძლია. პროგნოზები არ მაინტერესებს. მთავარია, რას მივაღწევთ მოედანზე. მაისში გამოჩნდება, ვინ ცდებოდა და ვინ იყო მართალი.

**- გასულ სეზონთან შედარებით თვალშისაცემია ის, რომ "არსენალი" საკუთარი კედლების უპირატესობას მაქსიმალურად იყენებს. გუნდის საშინაო სტატისტიკა შთამბეჭდავია. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა?**

- უფრო თავდაჯერებულნი გავხდით. ჩემი აზრით, გასულ სეზონში საკუთარი ძალების რწმენა გვაკლდა. ჩემპიონატის პირველ ტურებში ორი თუ სამი ფრე ვითამაშეთ. მოგვეჩვენა, რომ დაკარგული ქულების ანაზღაურება შეუძლებელი იყო. არ ვიცოდით, რა გველონა და ვნერვიულობდით. მიმდინარე სეზონს ბევრად უფრო თავისუფლად ვატარებთ. ვფიქრობთ მხოლოდ კონკრეტულ მატჩზე, კარგად ვიცით, რა შეგვიძლია და აუღელვებლად ვთამაშობთ. ჩვენი მიზანი ყოველთვის ერთია: მეტოქეს უნდა შევუტიოთ და გავიმარჯვოთ. ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს შორის საოცარი ერთსულოვნებაა.

**- თქვენი აზრით, "არსენალი" ჩემპიონატის ფავორიტია?**

- ჩემპიონობაზე საუბარი ნაადრევად მიმაჩნია. იქამდე გრძელი გზა გვაქვს გასავლელი. მიზნისკენ აუჩქარებლად მივიწევთ. ყოველი მატჩი წინ გადადგმული ერთი ნაბიჯია. ქულებს ვაგროვებთ და თან ფასდაუდებელ გამოცდილებას ვიძენთ. თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რა ევალება მატჩის ამა თუ იმ მონაკვეთში. "არსენალის" კოზირი ბურთის კონტროლია. როცა ჩვენ გვაქვს, საქმეს საგრძნობლად ვიიოლებთ, მეტოქეს კი ბევრ თავსატეხს ვუჩენთ.

**- მოდით, გულწრფელად ვთქვათ, ტიერი ანრის წასვლამ გულშემატკივრები და ზოგიერთი ფეხბურთელი საგონებელში ჩააგდო. თქვენ რა იფიქრეთ? ნუთუ, უარესის მოლოდინი არ გქონდათ?**

- არ დაგიმალავთ, ტიერი რომ წავიდა, ეჭვებმა შეგვიპყრო. ის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, გუნდის ნამდვილი თილისმა. "არსენალის" წარმატებასა და წარუმატებლობას პირდაპირ მას უკავშირებდნენ. თუ გუნდი ცუდად ითამაშებდა, ამას ტიერის აბრალებდნენ. წარმომიდგენია, როგორი წნეხის ქვეშ უხდებოდა ყოფნა, მაგრამ არ მახსოვს, ამის გამო პრეტენზია გამოეთქვას. ის პასუხისმგებლობას არასოდეს გაქცევია. წლეულს "არსენალის" გასახდელში გამოკვეთილი ვარსკვლავი აღარ გვყავს. პასუხისმგებლობას თანაბრად ვინაწილებთ. ჩვენ ყველა ერთ ნავში ვსხედვართ.

**- არ გეშინოდათ, რომ არსენ ვენგერი ახალ კონტრაქტს არ გააფორმებდა?**

- დიახ, ეს საფრთხეც რეალური იყო. არსენის წასვლა "არსენალს" საბოლოოდ დააჩოქებდა. მადლობა ღმერთს, მწვრთნელი დარჩა. ის საქმეს შეუდარებლად აკეთებს.

**- ტიერი ანრის მემკვიდრედ რობინ ვან პერსისა და ედუარდოს მიიჩნევდნენ. გული ხომ არ გწყდებოდათ, ყურადღებას რომ არ გაქცევდნენ?**

- მგონი, ეს ფეხბურთელის ცხოვრების ნაწილია. ადამიანები მსჯელობენ ისე, როგორც მათ სურთ. სხვათა შორის, დღესაც ვან პერსისა და ედუარდოზე უფრო მეტს ლაპარაკობენ. რა შემიძლია, გითხრათ? არც არაფერი. ფულს ლაპარაკისთვის არ მიხდიან. ჩემი მოვალეობა თამაშია. ვნახოთ, რას იტყვიან სეზონის შემდეგ. მაშინ გამოჩნდება, ვინ ყოფილა ანრის მემკვიდრე. სიმართლე გითხრათ, ამ საუბარში ვერავითარ აზრს ვერ ვხედავ. ჩვენ ახალგაზრდები ვართ. თამაში გვწყურია და გვინდა, ბევრი ჯილდო მოვიპოვოთ. არა მგონია, რომელიმე ჩვენგანის მიზანი ის იყოს, რომ "ახალი ტიერი" უწოდონ. კითხვებით თავს არ ვილლი. ფეხბურთში სიამოვნებას ვეძებ. მაგალითად, "ტოტენჰემს" ძალიან ლამაზი გოლი გავუტანე. რა შეედრება იმ გოლით მიღებულ სიამოვნებას? სრული ბედნიერებისთვის იმ საღამოს "არსენალმა" სამი ქულაც აიღო.

**- ტრავმისგან საბოლოოდ განიკურნეთ?**

- იმ დღის გახსენებაც კი არ მსურს. თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. ავსტრიულ შეკრებაზე დიდი ენთუზიაზმით გავემგზავრე და... დავშავდი. ვიცოდი, რომ სეზონის პირველი მატჩების გამოტოვება მომიწევდა. მოსამზადებელი ეტაპის უმეტესი ნაწილიც უსაქმოდ გავატარე, მაგრამ მადლობა ღმერს, ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. 100 პროცენტით მზად არ ვარ. კვირაში სამ მატჩს ვერ ვითამაშებ, მაგრამ ცოტა ხანში ამასაც მოვახერხებ.

**- შარშანდელი მუნდიალის შემდეგ ტოგოს ეროვნულ ნაკრებში აღარ თამაშობთ. რა ხდება და აპირებთ თუ არა გადაწყვეტილების შეცვლას?**

- ყველაფერი პრემიებთან დაკავშირებულ გაურკვევლობას მოჰყვა. პრობლემები დღემდე არ გადაწყვეტილა. აფრიკელი რომ იყოთ, უკეთ გამიგებდით (იცინის). ოქტომბერში მალისთან ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს. იმედია, ჩემი თანამემამულეები გაიმარჯვებენ და აფრიკის ერთა თასის საგზურს დაეუფლებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

დადიანის მემორიალი. II ტური

# თვრამეტი

5 ოქტომბერი. რუსთავი

A ჯგუფი

**დინამო-ავიამშენი 61:72**

17:22, 15:18, 10:20, 19:12

დინამო: გულისაბედაშვილი (15 ქ. 9 მ), ჟღენტი (6 ქ. 7 პ), კუჭავა (3 ქ), ნანიტაშვილი (2 ქ), დევიძე, მაისურაძე (9 ქ), ათანელიშვილი (18 ქ. 6 მ), ახალკაცი (6 ქ), ფაიქრიძე (2 ქ)

ავიამშენი: ბერაია, შანიძე (3 ქ), ბარბაქაძე (6 ქ), ხოშტარია (4 ქ), ნიკოლაძე (10 ქ), კვიმსაძე (3 ქ), ტულუში (12 ქ), იმნაძე (7 ქ), მინაშვილი (18 ქ), როდუმტა (9 ქ. 14 მ)

მსაჯები: ხ. გაბედავა, მ. ანდღულაძე

B ჯგუფი

**მაკაბი-თსუ 76:92**

16:28, 21:18, 22:22, 15:24

მაკაბი: კულუაშვილი (12 ქ), დ. ბერიშვილი (5 ქ), სორდია (4 ქ), დოლიძე (3 ქ), გ. შერმადინი (18 ქ. 13 მ), ვაშაკიძე (3 ქ), ხიზანიშვილი (2 ქ), კორკოტაძე (11 ქ), ს. შერმადინი (16 ქ. 8 მ)

თსუ: არჩივიძე (12 ქ), ფანჩულიძე (16 ქ), ჩიტაშვილი (9 ქ), მათიაშვილი (13 ქ. 8 მ. 5 ჩ), კოხრეიძე, მამაცაშვილი (6 ქ), ჯგერენაია (6 ქ), ლოსაბერიძე, კეიდია (18 ქ. 7 მ), ხეცურიანი (12 ქ), ტყეშელაშვილი

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. არეშიძე

დღეს:

**14:00 ვითა-ავიამშენი**
**16:00 თსუ-აზოტი**

გუშინ დუდუ დადიანის მემორიალზე "მაკაბიმ" თსუ-სთან წააგო და ფინალისკენ სავალი გზა გაიმრუდა. თუ დღეს "აზოტმა" რვაზე მეტი ქულის სხვაობით თსუ დაამარცხა, ფინალში რუსთაველები ითამაშებენ. ხოლო თსუ-ს გამარჯვების შემთხვევაში 2 მოგება მოუგროვდება და ჯგუფში პირველი ადგილიც მას დარჩება. თსუ-"მაკაბის" მატჩში მოხდა მცირე ინციდენტი - იჩხუბეს **ვიქტორ კოლუაშვილმა** და **შალვა კოხრეიძემ**. კოხრეიძე მსაჯებმა დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

A ჯგუფში მეორე შეხვედრა დათმო თბილისის "დინამომ" და კვირას მეხუთე ადგილისთვის მატჩში B ჯგუფის ბოლოადგილოსანს ეთამაშება. დღეს კი ნახევარფინალის დარი მატჩია - ერთმანეთს "ვითა" და "ავიამშენი" დაუპირისპირდება. გამარჯვებული კვირას 16 საათზე ფინალში ითამაშებს.

ბოლოს სათაურის შესახებ. გუშინ, საინტერესო სტატისტიკა დაფიქსირდა: ოთხივე გუნდის სნაიპერს 18-18 ქულა მოუგროვდა. "დინამოდან" 18 ქულა **რეზო ათანელიშვილმა** ჩააგდო (წინა მატჩი თითის ტრავმის გამო გამოტოვა), "ავიამშენიდან" - ახალწვეულმა **ვახტანგ მინაშვილმა**, "მაკაბიდან" - **გიორგი შერმადინმა**, ხოლო თსუ-დან - **ირაკლი კეიდიამ.**

**ვაჟა სიმონიშვილი**



ლეგიონერი

# ცქიტიშვილი სკოლაში მიდის

იტალიის ჩემპიონატის მეორე ტურში **ნიკა ცქიტიშვილის** "ტერამომ" შინ სერია A-ს ერთ-ერთი გრანდი, "რომა" 83:69 დაამარცხა. ტერამოელთა მწვრთნელმა **მასიმო ბიანკიმ** სასტარტო ხუთეულში ცენტრის პოზიციაზე ცქიტო დააყენა.

სკიტამ პირველი ორქულიანი მეშვიდე წუთზე ჩააგდო და თანაგუნდელები ოთხი ქულით წინ გაიყვანა - 18:14. მესამე პერიოდის შუაში კი მისი ზუსტი ორქულიანის შემდეგ ანგარიში 50:34 გახდა. ცქილიშვილს მეტი აღარ ჩაუგდია (სულ 4 ორქულიანი და 1 სამიანი ისროლა). სამაგიეროდ, ფარზე იშრომა კარგად და მწვრთნელმაც 23 წუთი ათამაშა. 4 ქულას ნიკამ 5 მოხსნა და თითო პასი-ჩაჭრა მიამატა.

მატჩის შემდეგ იტალიელმა ჟურნალისტებმა ქართველ ფორვარდს 6 ქულა (10-ბალიანი სისტემით) დაუწერეს. აი, როგორ შეფასდა ნიკას "რომასთან" თამაში: "ამერიკული "დენვერ ნაგეტსის" ყოფილი კალათბურთელი, ცქიტიშვილი დაცვისას დამაჯერებლად გამოიყურებოდა - კარგად კეტავდა ზონებს და ტანმაღალ რომაელებს "ტერამოს" ფარქვეშ შესვლა ძალიან უჭირდათ. იგი შეტევაშიც შედეგიანად ერთვებოდა - კალათიდან ზურგით მდგომი ბურთს რომ მიიღებდა, ან თვითონ ცდილობდა სწრაფი მოძრაობით კალათთან მიახლოვებას, ან პარტნიორებს უთავისუფლებდა პოზიციებს".

**სერია A-ს დაწყებასთან დაკავშირებით "გაზეტა დელო სპორტმა" გამოაქვეყნა ვრცელი პუბლიკაცია, რომელშიც საუბარია ჩემპიონატის მონაწილე ყველა გუნდსა და წამყვან კალათბურთელებზე. ნიკა ცქიტიშვილი მიმოხილვაში "ტერამოს" ლიდერის სტატუსით მოხვდა. ჟურნალისტმა ანდრეა ტოსიმ სკიტასადმი მიძღვნილ ქვეთავს დაარქვა - "ცქიტიშვილი სკოლაში მიდის, ყველაფერს ნულიდან იწყებს".**

- სერია A-ს წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთი მთავარი კითხვა ასე ჟღერს: "რას უნდა ველოდეთ სლოვენიაში ნასწავლი, იტალიაში გაზრდილი და NBA-ში წარუმატებლად ნათამაშები ქართველი გიგანტისგან?

ბევრი გაოგნდა, როცა ამერიკამოვლილი ნიკა ცქიტიშვილის "ტერამოში" ჩარიცხვის ამბავი შეიტყო. მათ სკიტა ასე პასუხობს: "ტერამო" ჩემთვის სკოლაში დაბრუნებას ნიშნავს - კარიერას ნულიდან ვიწყებ და წარმატების იმედიც მაქვს. ჯერ 24 წლის ვარ და მომავალზე ფიქრი ნამდვილად არ მაშინებს. ახალ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და ვფიქრობ, რომ რწმენას აღვიდგენ, თამაშს გავიუმჯობესებ და როცა სათანადოდ ვიქნები მზად, ან NBA-ში დავბრუნდები, ან ევროლიგის რომელიმე წამყვან კლუბში გადავალ. ამ ზაფხულს სხვა გუნდებიც მეპატიჟებოდნენ, მაგრამ "ტერამოს" ხელმძღვანელებმა დამარწმუნეს, რომ ძალიან ვჭირდებოდი და შესაძლებლობების გამოვლენის კარგ შანსს მომცემდნენ. მეც სწორედ ეს მინდოდა და ამიტომაც გავაფორმე კონტრაქტი დაუფიქრებლად. მართალია, NBA-ს კლუბებთან შედარებით ნაკლები ხელფასი მაქვს, მაგრამ არაერთხელ მითქვამს - იტალიაში ფულის გამო არ ჩამოვსულვარ, აქ სათამაშოდ მოვედი."

**ქართველი ფორვარდი, რომელსაც "ტერამოში" ცენტრის პოზიციაზე ათამაშებენ, მიიჩნევს, რომ 2002 წელს ამერიკაში წასვლა ნაჩქარევი ნაბიჯი იყო, მაგრამ იქვე განმარტავს:** "შეიძლება 2002 წელს დრაფტზე უარი უნდა მეთქვა, მაგრამ როცა მეხუთე ნომრად გირჩევენ და მილიონებს გპირდებიან, ძნელია უარი თქვა. ამასთან შენც იჯერებ, რომ NBA-სთვის მზად ხარ. იცით ჩემზე დიდი შეცდომა ვის მოუვიდა? - "დენვერ ნაგეტსს", რომელმაც დრაფტის პირველ წრეში ამირჩია. ამ კლუბის ხელმძღვანელობა, როგორც შემდეგ გავარკვიე, კარგად არ მიცნობდა, ეგონათ, რომ უკვე მაკგრეიდის და ბრაიანტის დონის კალათბურთელი ვიყავი. რეალურად კი რიგითი ევროპელი ბიჭი გახლდით, რომელსაც თამაში და პროფესიული ზრდა სჭირდებოდა. ნელ-ნელა მიხვდნენ, რომ NBA-ს ვარსკვლავი ჯერ არ ვიყავი და სათადარიგოთა სკამზე დამსვეს, შემდეგ ჩემდამი უნდობლობაც დაეტყოთ. ამის გამო გადავწყვიტე დავბრუნებულიყავი ევროპაში, სადაც კალათბურთელებს გაცილებით კარგად იკვლევენ და ზოგიერთ კლუბში 4-5 წლის განმავლობაში ამუშავებენ, პროფესიულად ხვეწენ და ბოლოს ილებენ ჩამოყალიბებულ კალათბურთელს. პირველად იტალიაში რომ ჩამოვედი ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. ახლა შედარებით გამოცდილი ვარ და წუთებს კი არ დავეძებ, გუნდის ლიდერობაზე ვფიქრობ."

მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

## ცინცაძეს აღარ ცვლიან

გუშინ, ესტონეთის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები გაიმართა. გიორგი ცინცაძის "ტარტუ როკმა" მუდმივ კონკურენტ "კალევს" უმასპინძლა და 72:75 დამარცხდა. სამი დღის წინ როკერებმა კალეველებთან ესტონეთის თასის ფინალიც დათმეს. ქართველი გამთამაშებელი მოედანზე საუკეთესო იყო. მან მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და მსროლელ ტანელ ტეინთან ერთად თითქმის შეუცვლელად ითამაშა. ბუმ მოედანზე 35 წუთი გაატარა, ტეინმა - 37. ცინცაძემ 9-დან 4 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი, ორივე საჯარიმო ჩააგდო და 16 ქულას 3 მოხსნა, 1 პასი და 3 ჩაჭრა მიამატა. მატჩის სნაიპერობა გიორგისთან ერთად ამერიკელმა როკერმა ბრაიან კუსვორსმა გაიზიარა. მანაც 16 ქულა ჩააგდო.

მძლეოსნობა

# აზარაშვილის სახელობის გარბენი

სეულის ოლიმპიადის პრიზიორის, მაია აზარაშვილის სახელობის საერთაშორისო გარბენს 2001 წელს საფუძველი ბორჯომში ჩაეყარა. იქ ჩატარებული რამდენიმე ასპარეზობის შემდეგ, შარშან, გარბენმა გადმოინაცვლა თბილისში და უფრო მასშტაბური გახდა. ხვალ, 7 ოქტომბერს, გარბენში მონაწილეობას მიიღებენ გერმანიის, კენიის, ეთიოპიის, ისრაელის, უკრაინის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, პოლონეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს მორბენლები.

10-კილომეტრიანი დისტანცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტიდან დაიწყება. მარშრუტი გაივლის ჭავჭავაძის და რუსთაველის გამზირებს, ბარათაშვილის ხიდს, მტკვრის მარცხენა სანაპიროდან აუხვევს მუშთაიდის პარკთან და დასრულდება ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე.

გუშინ, გარბენის მაღალ დონეზე ჩატარების ორგანიზაციული საკითხები სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან **დავით ნამგალაურთან** განიხილეს. საპრიზო ფონდი 3500 აშშ დოლარია. დეპარტამენტთან ერთად გარბენის ორგანიზატორები არიან მძლეოსნობის საქართველოს და საერთაშორისო ფედერაციები. თანაორგანიზატორებია "ზაგებისითი ჯგუფი", ეროვნული სტადიონი და მინერალური წყალი "ზონაქუა".

"გარბენს დაესწრება საერთაშორისო ფედერაციის (იააფი) დელეგატი ისრაელიდან. მისი დასკვნის შემდეგ აზარაშვილ სახელობის გარბენს მომავალი წლიდან იააფი-ს საერთაშორისო კალენდარში შეიტანენ. დღემდე ეს გარბენი მხოლოდ ევროპის კალენდარში შედიოდა ღია ასპარეზობის სტატუსით". - თქვა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **თამაზ მდინარაძემ.**

ჭადრაკი

# თბილისი-მონტე კარლო

თურქეთის ქალაქ ქემერში მიმდინარე ევროპის საკლუბო ჩემპიონატში, ქართველ ქალთა გუნდმა "ინტერპლასტ თბილისმა" მეორე და მესამე ტურებში მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვა.

მეორე ტურში, "თბილისმა" რუსული "ეკონომისტ სარატოვს" მოუგო. პირველ და მეორე დაფებზე **ლელა ჯავახიშვილმა** და **ქეთევან არახამიამ** ჭაო სიუსთან და **ელიზაბეტ პეჰცთან** ყაიმით ითამაშეს, **ნანა ძაგნიძემ** და **მაია ლომინეიშვილმა** გაიმარჯვეს, - შესაბამისად ირინა ვასილევიჩთან და მარია კურსოვასთან - 3:1

მესამე ტურში კიდევ უფრო ძლიერი კლუბი დაგვიპირისპირდა - რუსული კრასნოტურინსკი. ჩვენებურებმა 3:1 მოიგეს და რომ არა ლიდერის, **ლელა ჯავახიშვილის** მარცხი, ანგარიში გამანადგურებელი იქნებოდა: ლელამ სიუ იუჰუასთან დათმო პარტია, არახამიამ **სვეტლანა მატვეევას,** ძაგნიძემ - **ანა მუზიჩუკს** და ლომინეიშვილმა **სვეტლანა პოგონინას** მოუგეს.

სამი ტურის შემდეგ მაქსიმუმი, 6 ქულა გვაქვს და ეს მშვენიერია, მაგრამ პარტიათა ჯამის მიხედვით დაგროვილი 9 ქულით ჯერჯერობით მესამე ადგილზე ვიმყოფებით. ჩვენს წინ დამატებითი მაჩვენებლით "მონტე კარლო" (10.5) და "ჩელიაბინსკია" (9.5). შარშანდელი ევროპის ჩემპიონი - სომხური "მიკა", რომლის შემადგენლობაში **მაია ჩიბურდანიძე** და **ნინო ხურციძე** თამაშობენ, მესამე ტურში "ჩელიაბინსკთან" დამარცხდა და საჩემპიონო რბოლას ჩამორჩა, თუმცა გადაჭრით ასეთი დასკვნის გაკეთება მაინც შეუძლებელია - წინ კიდევ ოთხი ტურია და დანაკარგის ანაზღაურება შესაძლებელია.

მეოთხე ტურში "ინტერპლასტ-თბილისი" "მონტე კარლოს" ხვდება. პირველ დაფაზე თეთრებით სამთავროს წარმომადგენლები არიან, თუმცა ეს დიდ უპირატესობას არ უნდა ნიშნავდეს, მიუხედავად იმისა, რომ შემადგენლობა ძალიან სოლიდური ჰყავს...

**ზვიად შათირიშვილი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საუბრები სპორტის ისტორიაზე

# ქართული სპორტი 1981-1990 წლებში

გაგრძელება. დასაწყისი ლელო N 56, 2006.

**1986 წელს გამართული შეჯიბრებებიდან საქართველოს ათლეტებმა, როგორც შინ, ისე საერთაშორისო სარბიელზე, სპორტის უმეტეს სახეობაში წარმატებით იასპარეზეს. ნაწილზე უკვე ვისაუბრეთ. ამჯერად თხრობას სპორტის სათამაშო სახეობებით ვაგრძელებთ.**

**ფეხბურთი.** წლის სეზონი გაიხსნა მოსკოვის ოლიმპიურ სპორტკომპლექსში კიევის, მინსკის, მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა ტურნირით. ქართველებმა ფინალში ბელარუს თანაკლუბელებთან წააგეს - 1:2. შავი ზღვის სანაპიროზე წინასასეზონო შეკრებაზე თბილისის "დინამომ" ორ ჩეხურ კლუბთან ჩაატარა ამხანაგური შეხვედრა. "რუდე ზვეზდას" მოუგო 2:0, "სიგმას" - 1:0. სამტრედიელმა რკინიგზელებმა ლაიფციგის (გდრ) ლოკომოტიველებს უმასპინძლეს და დამარცხდნენ - 1:4. ლანჩხუთის "გურია" სირიაში ამხანაგურ მატჩში შეხვდა ალპოს "ჰურიას" და გაიმარჯვა - 2:1.

1986 წელს უმაღლეს ლიგაში პირველად ალზევდა ლანჩხუთის "გურია". პირველ ლიგაში ბოლოსწინა ტური "გურიამ" ბათუმში ჩაატარა და მოსკოვის "ლოკომოტივს" მოუგო - 1:0. ფაქტობრივად, ამ მოგებით, ერთი ტურით ადრე გაინაღდეს ლანჩხუთელებმა პირველობა და ადგილი უმაღლეს ლიგაში. II ლიგაში მეორე პრიზიორი გახდა სოხუმის "დინამო", მესამე ადგილზე კი გორის "დილა" გავიდა. აქვე ვიტყვით, რომ საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისის "შევარდენმა", რომელიც სპი-სთან ტანდემში გამოდიოდა. მეორე იყო წყალტუბოს "შევარდენი", მესამე - ჩხოროწყუს "სამეგრელო". რაც შეეხება სსრკ ჩემპიონატის 49-ე გათამაშებას, აქ თბილისის "დინამო" მეხუთე ადგილზე გავიდა, ქუთაისის "ტორპედოს" კი ბოლო მე-16 ადგილი ხვდა წილად. ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა, 1986 წლის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია. მარჯვენა მცველებში მეორე იყო **თენგიზ სულაქველიძე**, ცენტრალურ მცველებში პირველი - **ალექსანდრე ჩივაძე**.

რუსთავში იმ წელს ბირმის ახალგაზდულმა ნაკრებმა ამხანაგური მატჩი ჩაატარა ადგილობრივ "მეტალურგთან". მასპინძლებმა 6:0 სძლიეს მეტოქეს. უამრავი ტურნირი ტარდებოდა სხვადასხვა ასაკის ჭაბუკებისთვის. ტაშკენტში 1971-72 წლებში დაბადებულთა საკავშირო შეჯიბრებაში **ვ. ელოშვილის** შეგირდებმა 1:0 მოუგეს ფინალური მატჩი მასპინძლებს. 1973-74 წლიანებში საკავშირო ტურნირი ჩატარდა მინი-ფეხბურთში და ამ ასპარეზობას ლენინგრადმა უმასპინძლა. საქართველოს გუნდი "ბერმუხა" (მწვრთნელი **ტარიელ ბოლაშვილი**), რომელიც მხოლოდ სოფლის მოზარდი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული, პირველ ადგილზე გავიდა და მთავარ პრიზს დაეუფლა. ამავე ასაკში მოეწყო სპორტსაზოგადოება "ვოდნიკის" საკავშირო ტურნირი ქ. კალკუტაში, რომელიც ფოთის სპორტსკოლის აღსაზრდელების გამარჯვებით დასრულდა. ფოთის "ვოდნიკმა" ზელინოგრადში 1970-71-წლიანთა საკავშირო შეჯიბრებაც მოიგო. თბილისის "ნორჩი დინამოელი" (1973-წლიანები) ნალჩიკიდან შინ მთავარი პრიზით დაბრუნდა. ტარტუში 1971-72 წლიანთა საკავშირო ტურნირში თბილისის "ფეიქარმა" 5:1 აჯობა მასპინძელი ქალაქის თანატოლებს. ფოთის "კოლხეთმა" კი 1970-71-წლიანთა საკავშირო ასპარეზობაში არავის დაუთმო პირველობა ვლადიმირის ოლქის ქ. მურომში. სასწაული მოახდინეს **ნ. ამირეჯიბისა** და **ჯ. ანთაძის** აღსაზრდელებმა "იმედის თასის" საკავშირო გათამაშებაში. ჩვენმა ჭაბუკებმა ეს ავტორიტეტული ჯილდო მეოთხედ მოიგეს. ამჯერად მათ ფინალში უკრაინელ თანატოლებს სძლიეს 1:0. ეს ჯილდო მანამდე ქართველ ყმაწვილებს 1968, 1973 და 1985 წლებში ჰქონდათ დასაკუთრებული. დაბოლოს, ერევანი, 1973-74-წლიანთა საკავშირო ტურნირი და თბილისის "ნორჩი დინამოელის" გამარჯვება.

**კალათბურთი.** უფროსი ასაკის კალათბურთელებმა მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ ორ საერთაშორისო ტურნირში. ძირითადად, 1986 წელი ჭაბუკთა და ახალგაზრდების შეჯიბრებებით იყო დასამახსოვრებელი. ხსენებული ორი საერთაშორისო ტურნირიდან ერთი ალჟირში გაიმართა თბილისის "დინამოს" მონაწილეობით. საპატიო პრიზი წილად ხვდათ ქართველებს, რომლებმაც გადამწყვეტი მატჩი მოუგეს ერაყის "დარის" მინიმალური სხვაობით 106:104. მეორე ტურნირს თბილისმა უმასპინძლა. ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისის "დინამო", 2. მოსკოვის "დინამო", 3. კრაკოვის "ვისლა".

შესანიშნავად ითამაშეს მოსწავლეთა საკავშირო ტურნირში საქართველოს ჭაბუკებმა, რომლებმაც რუსეთის ძლიერ ნაკრებს აჯობეს 91:80. მოზარდ კალათბურთელთა საკავშირო ტურნირი (ქ. ხარკოვი) დაუმარცხებლად განვლო თბილისის "ნორჩმა დინამოელმა" (მწვრთნელი **ჯამლეტ ხუხაშვილი**, სკოლის დირექტორი **გივი ბიჭიაშვილი**). ფინალში მათ დაამარცხეს მოსკოვის არმიის სპორტკლუბის ჭაბუკები 77:66 და შინ მთავარი პრიზით დაბრუნდნენ. ასევე პირველობა მოიპოვეს ვორონეჟში 1973-74-წლიანთა საკავშირო ტურნირში თბილისის "დინამოს" სპორტსკოლის აღსაზრდელებმა (მწვრთნელი **მ. ასიტაშვილი**).



ალექსანდრე ჩივაძე



გიორგი ჩოგოვაძე

1970-71 წლებში დაბადებული გოგონები და ჭაბუკები პირველ ადგილზე გავიდნენ მოლდოვის ქ. ბენდერაში გამართულ ზონალურ საკავშირო პირველობაში (მწვრთნელები **თამაზ ოქრუაშვილი** და **ვაჟა ჭკუასელი**). რუსეთის ნაკრებმა კიდევ ერთი მარცხი იწვნია ქართველი თანატოლებისგან. ეს მოხდა თბილისში ნორჩ კალათბურთელთა საკავშირო ტურნირზე. გადამწყვეტი მატჩი ჩვენებმა 107:102 მოიგეს. თბილისშივე გაიმართა გოგონათა საერთაშორისო ტურნირი. აქ უძლიერესი იყო სსრკ პირველი ნაკრები, მეორე - საქართევლო, მესამე - სსრკ მეორე ნაკრები. თბილისის "დინამოს "სპორტსკოლის" ჭაბუკებმა (1971-72-წლიანები) დნეპროპეტროვსკში მასპინძლებს 87:75 სძლიეს საკავშირო ტურნირის ფინალში. ამავე ასაკში ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლების საკავშირო პირველობა მოიგო თბილისის გუნდმა (მწვრთნელები **ვ. ჭკუასელი, ა. ჩხიკვაძე, ჯ. ხუხაშვილი**). ერთი ტურნირი ჩატარდა მინი-კალათბურთშიც 1974-75 წლიანებისთვის ქ. სტავროპოლში. თბილისის "მართვემ" ფინალი 88:34 მოუგო არხანგელსკის გუნდს და პირველი ადგილი დაიკავა.

**ჩოგბურთი.** 1986 წელს პირველად ჩატარდა სსრკ ზამთრის ჩემპიონატი. ამ ტურნირში ბრწყინვალედ იასპარეზა **ლეილა მესხმა**. ერთეულთა ფინალში მან 6:2, 6:1 მოუგო მოსკოველ ნატალია ბიკოვას; წყვილთა თანრიგში მოსკოველ ელენა პროგორელოვასთან ერთად ვერცხლის მედალს დაეუფლა. ვაჟებში იგივე ჯილდოს **ვლადიმერ გაბრიჩიძე** - იოსიფ კროჩკოს (უჟგოროდი) წყვილმა დაიმსახურა. ამ დუეტმა მოიგო მოსკოვის ღია პირველობაც. მერე გაბრიჩიძე თბილისის საერთაშორისო ტურნირში **დავით კაჭარავასთან** წყვილში მეორე იყო, ერთეულთა თანრიგში კი მესამე ადგილს დასჯერდა. ეს წყვილი იმარჯვებს ტაშკენტის საერთაშორისო ტურნირში, ერთეულთა თანრიგში კი გაბრიჩიძე ვერცხლის მედალს ეუფლება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის წელიწადი ლეილა მესხის იყო. ლისაბონი. 18-წლამდელთა ევროპის პირველობა და ოქროს მედალი წყვილთა თანრიგში, ვერცხლი - ერთეულში; ნიუ-იორკი. აშშ-ს ღია პირველობა კიეველ ელენა ბრიუხოვეცთან ერთად - მეორე ადგილი; პარიზი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. ლეილა მესხი ჩემპიონის ტიტულს ეუფლება მინსკელ ნატალია ზვერევასთან წყვილში.

მოსკოვში საქართველოს ნაკრებს, სსრკ ხალხთა მე-9 სპარტაკიადაზე მესამე საპრიზო ადგილი ხვდა წილად. ნაკრებში გამოდიოდნენ: **ლეილა მესხი, ირინე მალაციძე, ირინე გერაძე, ეკა თოხაძე, ეკა ბოკუჩავა, ვლადიმერ გაბრიჩიძე, ირაკლი მეტრეველი, ვიქტორ ხურდა, დავით კაჭარავა და დავით კვარაცხელია.**

სევეროდონეცკი. 1973-74-წლიანთა საკავშირო ტურნირი. I ადგილები: **თამარ ბერიძე, ლალი გიორგაძე** და **გივი გორდაძე**. ერევანი. 1972-73-წლიანთა ასევე საკავშირო ტურნირი. აქ პირველობა მოიპოვა თბილისელმა **ალიონა ქელეხსაევამ**. მინსკი. ნორჩ ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირში პირველობას არავის უთმობს 9 წლის თბილისელი ყმაწვილი **ლევან გელაშვილი**.

**რაგბი**. თბილისის "ლოკომოტივი" 1986 წლის საკავშირო ჩემპიონატის "B" ჯგუფში მონაწილეობდა და უმაღლეს ლიგაში გადასვლა ჰქონდა დასახული მიზნად. გუნდმა პროგრამა მაქსიმუმი წარმატებით შეასრულა - საკუთარ სტადიონზე ბოლო შეხვედრაში ლვოვის "სოკოლს" უმასპინძლა და 12:0 გაიმარჯვა, რამაც თბილსელებს საბოლოო მეოთხე ადგილი და უმაღლესი ლიგის საგზური მოუტანა. ქუთაისში ადგილობრივ "მშენებელს " რუმინეთის "გროვიცა როშუ" სტუმრობდა. მასპინძლებმა მატჩი 12:0 მოიგეს.

გარდა თბილისის "ლოკომოტივისა", უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა "შევარდენმა" (მწვრთნელი **რამაზ სანებლიძე**). კარგი ახალგაზრდული გუნდი ჰყავდა "სპარტაკს". ამ სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობაზე (ქ. იოშკარ-ოლა), საქართველოს სპორტსკოლებმა ჩინებულად იასპარეზეს. ფინალურ მატჩში ჩვენებმა მოსკოველებს სძლიეს 10:7 და პირველობასთან ერთად მთავარ პრიზს დაეუფლნენ.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჭაბუკ მორაგბეთა საკავშირო შეჯიბრება "ოქროს ოვალის" პრიზზე. 1986 წლის ფინალური ტურნირი ჩატარდა თბილისში. დედაქალაქის განათლების სამმართველოს გუნდმა მშრალი ანგარიშით 23:0 დაამარცხა ლენინგრადელი თანატოლები და მთავარი ჯილდო თბილისში დარჩა.

1986 წლის 10 საუკეთესო მსაჯთა შორის საქართველოდან სსრკ რაგბის ფედერაციამ ათეულში **ზურაბ რეხვიაშვილი** და **გოჩა აბაშიძე** შეიყვანა.

**ხელბურთი**. "სწრაფი ბურთის" პრიზზე (13-14-წლიანებისთვის) თბილისში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში, როგორც ჭაბუკებში, ისე გოგონებში, პირველობა მასპინძლებს ხვდათ წილად.

**წყალბურთი**. საქართველოს ნაკრების დასაყრდენს კვლავ თბილისის "დინამო" წარმოადგენდა. ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით მინსკში ჩატარდა ტურნირი. საქართველოს ნაკრები ვერცხლის მედალს დაეუფლა. გუნდში გამოდიოდნენ **მიხეილ გიორგაძე, ალექსანდრე ბითაძე, დიმიტრი რამიშვილი, ვალერი მაჭავარიანი, გიორგი კერესელიძე, ნოდარ ჩოლარია, გიორგი გობეჯიშვილი, ირაკლი ლიპარტელიანი, ლევან წულაძე, მამუკა კელაურიძე, თეიმურაზ კობახიძე, მიხეილ ფანჩულიძე, თეიმურაზ გვალაძე**. 1984-86-წლებში საკმაოდ გაძლიერდა თბილისის არმიის სპორტული კლუბის გუნდი. სულ მალე ამ კოლექტივმა მიზნად დაისახა საკავშირო პირველობის პირველ ლიგაში გამოსვლის უფლების მოპოვება. 1986 წელს ამ უფლებისთვის ექვსი გუნდი აცხადებდა პრეტენზიას. მათ შორის უძლიერესის გამოსავლენად ქ. ვორონეჟში დაინიშნა ტურნირი. საბოლოოდ, საგზურის ბედი მასპინძელთა და თბილსელთა შეხვედრის შედეგზე იყო დამოკიდებული. მატჩი სტუმრებმა მოიგეს 7:6. თბილისში, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე მერვედ შეიკრიბნენ უძლიერესი გუნდები. სსრკ პირველი ნაკრების შემდეგ მეორე ადგილზე საქართველოს გუნდი გავიდა. თანდათან მძლავრდებოდა ქალთა წყალბურთი. საქართველოს გუნდები, მათ შორის გოგონების, ტოლს არ უდებდნენ მეტოქეებს. ქ. გორკში, ქალთა საკავშირო შეჯიბრებაში მესამე ადგილზე გავიდა თბილისის "ბურევესტნიკი". მოსკოვში კი იმავე გუნდმა, მორიგ საკავშირო ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა. თბილისელი გოგონების (1972-74-წლიანები) ორი გუნდი მონაწილეობდა თანატოლთა საკავშირო ტურნირში. ჩვენმა პირველმა გუნდმა უძლიერესის სახელი და მთავარი ჯილდო მოიპოვა, მეორე გუნდი კი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა.

წლის სპორტული შედეგების მიხედვით, სსრკ უძლიერეს წყალბურთელთა სიაში მოხვდა თბილისის "დინამოს" მეკარე მიხეილ გიორგაძე.

**ცურვა**: საკავშირო თასისთვის ბრძოლაში საქართველოდან წარმატება წილად ხვდა თბილისელ **იგორ არტიომოვს**, რომელიც მეორე იყო 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში და მესამე - 1500 მეტრზე. სსრკ ნაკრებმა ორი თბილისელი მოცურავე შეიყვანა იუნიორთა ნაკრებში გდრ-ის ნაკრებთან სამატჩო შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად. **იგორ არტიომოვმა** ბრწყინვალედ იასპარეზა და პირველობა მოიპოვა 4X200 მ ცურვაში, მისმა თანაქალაქელმა **ვლადიმერ ბეგიაშვილმა** კი 1500 მ ასპარეზობაში მესამე ადგილი დაიკავა. მატჩი ქ. კიევში გაიმართა. ქ. კუიბიშევში თავიანთი საკავშირო პირველობა ერთად გამართეს არმიის ცენტრალურმა კლუბმა და "შრომითი რეზერვების" ცენტრალურმა საბჭომ. გულაღმა ცურვაში 100 და 200 მეტრზე გამარჯვება მოიპოვა თბილისელმა **ზურაბ ლლიღვაშვილმა**.

**წყალში ხტომა.** 80-იან წლებში, წყალში ხტომაში **გიორგი ჩოგოვაძემ** წარუშლელი კვალი დატოვა. ყველაზე პოპულარული ტრადიციული შეჯიბრებები იყო გაზეთ "კომსომოლსკაია პრავდისა" და "გაზაფხულის მერცხლების" პრიზების გათამაშება. 1986 წელს გიორგი, შესაბმისად- მოსკოვსა და ალმა-ათაში, ორივე პრიზო მოიგო. ხალხთა სპარტაკიადაზე კი ოქროს მედალი მოიპოვა 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში. ამავე პროგრამაში, შემდეგ ვერცხლის მედალს დაეუფლა დასავლეთ ბერლინში გამართულ ევროპის პირველობაზე ახალგაზრდებს შორის. იმავე ტურნირში იგივე ჯილდო ერგო **დიანა მჭედლიძეს** 3-მეტრიან ტრამპლინიდან ასპარეზობაში. დავძენთ, რომ ხალხთა სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა გუნდურ ჩათვლაში.

**სინქრონული ცურვა**. სპორტის ამ სახეობის სამყარომ კარგად გაიცნო თბილისელი **ქრისტინე ფალასანიდის** ოსტატობა. საქართველოდან პირველმა მან დაიმსახურა მედალი საკავშირო სარბიელზე - მესამე იყო ახალგაზრდებს შორის. შემდეგ იგი სსრკ ნაკრების წევრებთან ერთად ჯგუფურ ვარჯიშში ოქროს მედალს დაეუფლა. ეს ასპარეზობა ჩატარდა თბილისში, რაც საქართველოს, როგორც სპორტის ამ სახეობაში ერთ-ერთი ცენტრის აღიარებას ნიშნავდა. საკავშირო ნაკრებმა დასავლეთ ბერლინში ჯგუფურ ვარჯიშში ევროპის ახალგაზრდული პირველობა მოიგო. ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა ქრისტინემ. ქართული დუეტი - **დეილა მამიაური** და **ნინო გელაშვილი** სსრკ თასს დაეუფლა ქ. სვერდლოვსკში, ხოლო კიევში სსრკ ჩემპიონატში მესამე პრიზიორი გახდა ასევე წყვილთა ვრაჯიშში. საერთო გუნდურ ჩათვლაშიც ჩვენებს მესამე ადგილი ხვდათ წილად (**იანა ალავიძე, ანჟელა ვოზნიუკი, ნინო გელაშვილი, ოლგა დიაკოვა, ნინო მაისურაძე, ლელა მამიაური, ელისო მარგველაშვილი, ქრისტინე ფალასანიდი**). ამავე შემადგენლობით საქართევლოს ნაკრებმა იმ წელს სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ბრინჯაოს მედალიც შემატა მონაგარს.

**ნიჩბოსნობა.** აკადემიურ ნიჩბოსნობაში სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე, მოსკოვში, მეორე ადგილზე გავიდნენ **მამუკა მიქაუტაძე** და **გიორგი სირბილაძე** (ორადგილიანი, გასაშლელი-უმესაჭეო). ჭაბუკთა საკავშირო პირველობა 500 და 1000 მეტრზე ერთადგილიანი ბაიდარით ასპარეზობაში (ქ. სამარყანდი) ფოთელმა **ედუარდ ქაშაკაშვილმა** მოიგო.

**აფროსნობა. გურამ ბიგნიშვილი** იმარჯვებს იტალიაში გამართულ ორ საერთაშორისო რეგატაში, "ვარსკვლავის" კლასში. ამავე პროგრამაში უძლიერესი იყო საკავშირო თასის გათამაშებაში (ქ. კლაიპედა). ქ. ტალინში, საკავშირო სპატაკიადაზე "ვინგლაიდერის" კლასში მეორე ადგილი დაიკავა საქართველოს ქალთა გუნდმა.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი



საქართველო-ირლანდია. რატი ურუშაძე დონჩა ოკალაჰანის წინააღმდეგ

ინტერვიუ რატი ურუშაძესთან

# ფრანგული ცოდნა ქართულ სამსახურში

**საქართველოს ნაკრების ფლანკერი რატი ურუშაძე ქართული სარაგბო დინასტიების ერთ-ერთი წარმომადგენელია. ბავშვობაში ცურვით სერიოზულად გატაცებულმა, არჩევანი საბოლოოდ რაგბის სასარგებლოდ სწორედ მამის, თბილისის "დინამოს" პირველხაზელის გიზო ურუშაძის გავლენით გააკეთა. ვარჯიშიც "ლელოში", მამასთან დაიწყო. მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. მიზანმიმართულ შრომასა და რაგბისადმი ერთგულებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. რატი საფრანგეთში გამართულ მსოფლიო თასზე გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, რასაც ფრანგული სპორტული გაზეთის "ლეკიპის" მიერ ირლანდიასთან გამართულ მატჩში ჩვენი მორაგბეების შეფასებაც მოწმობს.**

- "ლეკიპმა" ყველაზე მაღალი შეფასება მამუკა გორგოძეს მისცა - 8 ბალი. შვიდიანები მივიღეთ მე, გოდერძი შველიძემ და ბიძინა სამხარაძემ. ეს სერიოზული ფრანგული გამოცემაა და საკმაოდ კრიტიკულიც. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ გიორგი შკინინი დასახელდა. ცხადია, ეკუთვნოდა, ლელო მთლიანად გოშას დამსახურება იყო, მაგრამ "ლეკიპის" ექსპერტები მერე, ყოველგვარი ემოციების გარეშე სხდებიან და თამაშს აანალიზებენ. ამის შემდეგ წერენ შეფასებებსაც. თავად განსაჯეთ, ირლანდიელებში ყველაზე მაღალი შეფასება ბრაიან ოდრისკოლმა დაიმსახურა, სულ რაღაც 5.5.

**- გასული სეზონი ფედერალ 2-ის "ნიცაში" გაატარეთ. მსოფლიო თასზე გამოსვლის შედეგად კი ერთი დივიზიონით მაღლა აიწიეთ.**

- დიახ, მართალია ჯერ კონტრაქტზე ხელი ოფიციალურად მოწერილი არ მაქვს, მაგრამ ამ სეზონის ბოლომდე ფედერალ 1-ის "ლონსში" ვითამაშებ. ამ გუნდის ხელმძღვანელები ჩემს თაობაზე მახო ურჯუკაშვილის მენეჯერს სწორედ ირლანდიასთან თამაშის შემდეგ დაუკავშირდნენ. მოლაპარაკებაც შედგა და რამდენიმე დღეში ისევ საფრანგეთში გავემგზავრები. ჯერჯერობით, წარმოდგენა არ მაქვს, რა დონის გუნდია და რა მიზნები აქვს. ის კი ვიცი, რომ ამ გუნდის ღირსებას სხვადასხვა დროს დავით სორდია, ოთარ ელოშვილი და სერგო გუჯარაიძე იცავდნენ.

**- ირლანდიასთან ჩვენი ნაკრების თამაში ერთ-ერთ საუკეთესოდაა მიჩნეული. სათამაშოდ რომ გადიოდით, რა განწყობა გქონდათ, რას ფიქრობდით?**

- დასაკარგი არაფერი გვქონდა. რაც შეგვეძლო, უნდა გვეთამაშა. თანაც ძალიან გამაღიზიანებელი იყო ის პესიმისტური განწყობა რაც ქომაგებში სუფევდა. ამბობდნენ, მეორე შემადგენლობა ითამაშებს და 60-70 ქულა თუ წავაგეთ, კარგი იქნებაო. გვინდოდა დაგვემტკიცებინა, რომ ეს ასე არ იყო. გავედით და დავამტკიცეთ, რომ არავიზე ნაკლები არ ვართ.

**- პირველ შეხვედრას, არგენტინასთან ტრიბუნიდან ადევნებდით თვალს. როგორი თამაში იყო?**

- არგენტინასთან შეხვედრა ძალიან დაძაბული იყო. გარდა იმისა, რომ ძლიერ მოწინააღმდეგეს ვეთამაშებოდით, სასტარტო მღელვარებამაც იჩინა თავი. თუმცა, პირველი ტაიმი ისე წარიმართა, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ არგენტინელები ოთხ ლელოს გაგვიტანდნენ. ბოლო ლელო მაინც არ უნდა გაგვეშვა. შედეგიც ბევრად უკეთესი იქნებოდა.

**- ნამიბიასთან მოგებული მატჩის შემდეგ ემოციები ნაკლებად მძაფრი იყო, ვიდრე ირლანდიასთან წაგების შემდეგ.**

- ეს გასაკვირი არცაა. ირლანდიასთან შეხვედრაში გამოჩნდა ჩვენი ნამდვილი შესაძლებლობები. ნამიბიას სუსტ მეტოქედ არ მივიჩნევდით, მაგრამ დარწმუნებული ვიყავით, რომ მოვუგებდით. რაც შეეხება ემოციებს, ირლანდიის შემდეგ იმდენად დახარჯული ვიყავით, რომ ნუ გაგიკვირდებათ. თამაშის მერე ერთმა ირლანდიელმა ქომაგმა მკითხა, ინტერნეტში ვნახე, ასე ეწერა, საქართველო სათამაშოდ მეორე შემადგენლობით გამოვიდაო. მართლა ასე იყოო? ჰო, მეთქი - ვუპასუხე. აუჰო, თქვა, კიდევ კარგი, პირველი გუნდი არ გამოიყვანეთ, რა დღეს გვაყრიდითო? ჩვენთვის პირველი გამარჯვება მსოფლიო თასებზე სწორედ ირლანდიასთან 10:14 წაგება იყო.

**- ყველაზე სასიამოვნოდ რამ გააკვირვათ მსოფლიო თასზე?**

- ფრანგების ქომაგობამ. გარწმუნებთ, ყველაზე მეტი გულშემატკივარი მსოფლიო თასზე სწორედ საქართველოს ნაკრებს ჰყავდა. ცხადია, ფრანგების შემდეგ. ერთი წამითაც არ გვიგრძვნია, რომ უცხო ქვეყანაში ვასპარეზობდით. ჩვენს მორაგბეებს თავიანთი კლუბის წევრები და ქომაგები აკითხავდნენ. თამაშებზე დადიოდნენ, ზედმეტ ბილეთებს ეძებდნენ. ერთი სიტყვით, ყურადღება ნამდვილად არ გვაკლდა და ეს, ცხადია, ძალზედ სასიამოვნო იყო.

**- როგორ ფიქრობთ, საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო თასზე მაქსიმუმს მიღწია თუ მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა?**

- ჩვენი მიზანი, მოვუგოთ ნამიბიას და ღირსეულად ვეთამაშოთ დანარჩენ მეტოქეებს, შესრულებულია, თუმცა პირველმა ორმა თამაშმა გვანახა, რომ ჩვენისთანა პატარა გუნდებს მეტის მიღწევაც შეუძლიათ. აქ უნდა გამოვრიცხოთ ფრანგებთან მატჩი. ამ შეხვედრისთვის პრობლემები მოგვეძალა. ტრავმები, დაღლილობა, ყველაფერმა ერთად იმოქმედა. თანაც, ფრანგებიც მაქსიმალურად იყვნენ მობილიზებულნი. მათმა ათმა ნომერმა ლიონელ ბოსიმ ისე კარგად ითამაშა, რომ აგერ მეოთხედფინალში ზელანდიასთანაც ანდეს მწვრთნელებმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი.

**- საქართველოს ნაკრებმა უკვე რაღაც გარკვეულ, საკმარისად მაღალ დონეს მიაღწია და სათანადო ავტორიტეტიც მოიპოვა. ამის შენარჩუნება ალბათ, გაცილებით რთული იქნება, ვიდრე მიღწევა იყო.**

- დიახ, ასეა. მაგრამ როგორც ვიცი, რეგიონებში უკვე ტერიტორიებიც გამოყვეს სარაგბო სტადიონების მოსაწყობად. ეს ძალიან კარგია. ვერც ჩვენი მამები, ვერც ჩვენი თაობა ვერ მოესწრო ბალახიან მოედნებზე ვარჯიშს და იქნებ, ჩვენ მომავალ თაობას მაინც ეღირსოს ნორმალური პირობები. მერწმუნეთ, სულ ელემენტარული პირობებია საჭირო, რომ სტაგნაცია არ მოხდეს. თორემ ასფალტზე მორაგბე არ იზრდება. არა, როგორ არა, კი გავიზარდეთ, მაგრამ როდემდე?

რაც ყველაზე მთავარია, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ის ბიჭები, ვინც დიდი ხანია საფრანგეთში თამაშობენ და უკვე ასრულებენ კარიერას, საქართველოში დავაბრუნოთ. მათ იქ ძალიან დიდი ცოდნა და გამოცდილება დაუგროვდათ. რამდენიმე მათგანი სამწვრთნელო კურსებსაც გადის. საჭიროა, ეს ინტელექტუალური პოტენციალი ისევ ქართული რაგბის სამსახურში ჩადგეს...

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი

iRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

# ქეთი ჯონის გვერდით

მეოთხედფინალების დღეებიც დადგა. პირველ ყოვლისა, წინა მსოფლიო თასის ფინალის გამეორება მეოთხედფინალში. ინგლისელთა შუამარბი **ოლი ბარკლი** ვერ მოკეთდა და **ჯონი ვილკონსონის** გვერდით, 12 ნომრის ადგილი **მაიკ ქეთმა** დაიკავა. საღამოს კი გამოცხადდა, რომ ბარკლიმ სკამზეც დაკარგა ადგილი - მის ნაცვლად მარქაფში **ტობი ფლუდმა** მიიღო ადგილი. ფავორიტი ამჯერად ავსტრალიაა, თუმცა, ინგლისს ჰყავს ხალხი, ვისაც თამაშის მოგება შეუძლია - ჯონი ვილკინსონი და **ჯეისონ რობინსონი**.

საფრანგეთი-ზელანდია. ამ წყვილში ყველას გაახსენდება მსოფლიო თასების საუკეთესო თამაში - 1999 წლის ნახევარფინალი. ზელანდია აბსოლუტური ფავორიტია და პირველ ტაიმს დამაჯერებლადაც იგებს 24:10, მაგრამ... ფრანგების აფეთქება მეორე ტაიმის საწყის 20 წუთში და ზედიზედ მოპოვებული 33 ქულა! ორი არეკნი და ოთხი ლელო, ზელანდიელების სასოწარკვეთილი გაფაფხურება და 43:31 ფრანგების სასარგებლოდ. იმ თამაშის მონაწილეთაგან დღეს მოედანზე იქნებიან **იბანესი, პელუ, დომინისი, კელეჰერი და ოლივერი**.

თუმცა, ისიც გაითვალისწინეთ, რომ ახლა სხვა დროებაა. ზელანდიას მოგებული აქვს ფრანგებისთვის ბოლო 7 მატჩი, ფრანგებმა უკანასკნელად 2000 წელს დაამარცხეს დღევანდელი მეტოქე და მას შემდეგ მხოლოდ ერთი ფრე აქვთ აქტივში.

ხვალინდელ დღეს სამხრეთი აფრიკა და ფიჯი გახსნიან. აფრიკელებს უძლიერესი შემადგენლობა ჰყავთ, მხოლოდ თავშებორკილი ბურჯი **ბრენდონ ბოთაა** დაშავებული და მას **ცეხა ფანდერლინდე** ცვლის. ფიჯის ნაკრებში ტრავმირებული 10 ნომრის ნიკი ლითლის ადგილს პირველი შუამარბი, **სერემაია ბაი** იკავებს.

შოტლანდიასაც და არგენტინასაც უცვლელი შემადგენლობა ჰყავთ ბოლო მატჩების შემდეგ. არგენტინელი **ფელიპე კონტეპომიმ**, რა თქმა უნდა, მოირჩინა გრიპი და მოედანზე იქნება. ამ მატჩში შესაძლოა, კონტეპომისა და მეორე დიდი დამრტყმელის, **ქრის პატერსონის** დუელი გამოდგეს მთავარი.

შაბათის მატჩის გამარჯვებულები ნახევარფინალში ერთმანეთს 13 ოქტომბერს შეხვდებიან, კვირას მოგებულები - 14 ოქტომბერს.

**ნიკოლოზ აბაშიძე**



ზელანდიელთა მწვრთნელი გრეემ ჰენრი და კაპიტანი რიჩი მაკქოუ

## მეოთხედფინალი

### 6 ოქტ. 17:00. მარსელი
### ავსტრალია-ინგლისი

ავს: 15. ქრის ლეითემი 14. ადამ ეშლი-კუპერი 13. სტირლინგ მორტლოკი (კაპ) 12. მეტ გიტო 11. ლოტე ტუკირი 10. ბერიკ ბარნსი 9. ჯორჯ გრეგანი; 1. მეტ დანინგი 2. სტივენ მური 3. გაი შეპერდსონი 4. ნეითან შარპი 5. დან ვიკერმანი 6. როკი ელსომი 7. ჯორჯ სმითი 8. ვაიკლიფ პალუ / 16. ადამ ფრეიერი 17. ალ ბაქსტერი 18. ჰიუ მაკმენიმენი 19. სტივენ ჰოილზი 20. ფილ ვოო; 21. ჯულიან ჰაქსლი 22. დრიუ მიჩელი

ინგ: 15. ჯეისონ რობინსონი 14. პოლ საკი 13. მეთიუ ტეიტი 12. მაიკ ქეთი 11. ჯოშ ლუსი 10. ჯონი ვილკინსონი 9. ენდი გომერსოლი; 1. ენდი შერიდანი 2. მარკ რიგანი 3. ფილ ვიკერი (კაპ) 4. საიმონ შოუ 5. ბენ ქეი 6. მარტინ ქორი 7. ლუის მუდი 8. ნიკ ისტერი / 16. ჯორჯ ჩატერი 17. მეტ სტივენსი 18. ლოურენს დალალიო 19. ჯო ვორსლი; 20. პიტერ რიჩარდსი 21. ტობი ფლუდი 22. დან ჰიპკისი

მსაჯი: ალენ როლანი (ირლ)

### 6 ოქტ. 23:00. კარდიფი
### ზელანდია-საფრანგეთი

საფ: 15. დამიენ ტრაი 14. ვენსან კლერი 13. დავიდ მარტი 12. იანიკ ჟოზიონი 11. სედრიკ ემონსი 10. ლიონელ ბოსი 9. ჟან-ბატისტ ელისალდი; 1. ოლივიე მილუ 2. რაფაელ იბანესი (კაპ) 3. პიერ დევილიე 4. ფაბიენ პელუ 5. ჟერომ თიონი 6. სერჟ ბეტსენი 7. ტიერი დუზოტუარი 8. ჟულიენ ბონერი / *16. დიმიტრი შარჟევსკი 17. ჟან-ბატისტ პუ 18. სებასტიან შაბალი 19. იმანოლ არინორდოკი; 20. ფრედერიკ მიშალაკი 21. ქრისტოფ დომინისი 22. კლემან პუატრენო*

ზელ: 15. ლიონ მაკდონალდი 14. ჯო როკოთოკო 13. მალილი მულიაინა 12. ლუკ მაკალისტერი 11. სიტივენი სივივატუ 10. დანიელ კარტერი 9. ბაირონ კელეჰერი; 1. ტონი ვუდკოკი 2. ანტონ ოლივერი 3. კარლ ჰეიმენი 4. ქრის რობინსონი 5. ალი ვილიამსი 6. ჯერი კოლინზი 7. რიჩი მაკქოუ (კაპ) 8. როდნი სოოიალო / *16. კევენ მეალამუ 17. ნეემია ტიალატა 18. ქრის ჯეკი 19. ქრის მასოი; 20. ბრენდონ ლეონარდი 21. ნიკ ევანსი 22. ისაია ტოეავა*

მსაჯი: ვეინ ბარნსი (ინგ)

### 7 ოქტ. 17:00. მარსელი
### სამხ.აფრიკა-ფიჯი

აფრ: 15. პერსი მონტგომერი 14. ჯეიპი პიტერსენი 13. ჟაკ ფური 12. ფრანსუა შტაინი 11. ბრაიან ჰაბანა 10. ბუჩ ჯეიმზი 9. ფური დიუპრე; 1. ოზ დიურანი 2. ჯონ სმითი (კაპ) 3. ცეხა ფანდერლინდე 4. ბაკის ბოთა 5. ვიქტორ მეტფილდი 6. სხალკ ბურხერი 7. ჟუან სმითი 8. დანი როსუ / 16. ხარი ბოთა 17. ხურტრო სტენკამპი 18. იანი დუპლესი 19. იოჰან მულერი 20. ვიკუს ფანჰირდენი; 21. რუან პინარი 22. ანდრე პრეტორიუსი ან ვინანდ ოლიფიე

ფიჯ: 15. ნორმან ლიგაირი 14. ვილიმონი დელასაუ 13. კამელი რატუვოუ 12. სერუ რაბენი 11. სირელი ბობო 10. სერემაია ბაი 9. მოსესე რაულუნი (კაპ); 1. გრეემ დიუისი 2. სუნია კოტო 3. ჰენრი ქიოდრავუ 4. კელე ლეავერე 5. იფერეიმი რაუაკა 6. სემისი ნაევო 7. აკაპუსი ქერა 8. სისა კოიამაიბოლე / 16. ბილ გადოლო 17. ჯონე რაილომო 18. აკა რატუვა 19. ვამე ლევარავუ; 20. ჯონე დაუნივუკუ 21. ვაისეა ლუვენიიალი 22. გაბრიელე ლოვობალავუ

მსაჯი: ალან ლუისი (ირლ)

### 7 ოქტ. 23:00. სენ დენი
### არგენტინა-შოტლანდია

არგ: 15. იგნასიო კორლეტო 14. ლუკას ბორხესი 13. მანუელ კონტეპომი 12. ფელიპე კონტეპომი 11. ორასიო აგულა 10. ხუან მარტინ ერნანდესი 9. აგუსტინ პიშო (კაპ); 1. როდრიგო რონსერო 2. მარიო ლედესმა 3. მარტინ სკელსო 4. იგნასიო ფერნანდეს-ლობე 5. პატრისიო ალბასეტე 6. ლუკას ოსტილია 7. ხუან მარტინ ფერნანდეს-ლობე 8. გონსალო ლონგო / 16. ალბერტო ვერნეტი 17. ომარ ჰასანი 18. რიმას ალვარესი 19. ხუან-მანუელ ლეგისამონი; 20. ნიკოლას ფერნანდეს-მირანდა 21. ფედერიკო ტოდესკინი 22. ერნან სენილოსა

შოტ: 15. რორი ლემონი 14. შონ ლემონი 13. საიმონ ვებსტერი 12. რობ დიუი 11. ქრის პატერსონი 10. დან პარქსი 9. მაიკ ბლერი; 1. გევინ ქერი 2. როს ფორდი 3. იუან მარი 4. ნეითან ჰაინსი 5. ჯიმ ჰემილტონი 6. ჯეისონ ვაითი (კაპ) 7. ალისტერ ჰოგი 8. საიმონ ტეილორი / 16. სკოტ ლოუსონი 17. კრეიგ სმითი 18. სკოტ მაკლიოდი 19. კელი ბრაუნი; 20. ქრის კაზიტერი 21. ენდრიუ ჰენდერსონი 22. ჰუგო საუსველი

მსაჯი: ჟოელ ჟუტჟი (საფ)

# NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი–ფლორიდა 5:2**

1:0, 0:2, 4:0

**გოლები:** 1:0 როჟსივალი-1 (დრური-1, იაგრი-1), 1:1 მაკლინი-1 (გ. კემპბელი-1, დვორაკი-1), 1:2 ჰორტონი-1 (სალეი-1, ოლეში-1), 2:2 პრუხა-1 (მალიკი-1), 3:2 იაგრი-1, 3:2 დრური-1 (იაგრი-2, მალიკი-2), 4:2 კელეჰანი-1, 5:2 სტრაკა-1 (მალიკი-3, დრური-2).

**ოტავა–ტორონტო 3:2**

1:0, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ალფრედსონი-2 (ჰიტლი-2, რედენი-1), 2:0 ჰიტლი-3 (სპეცა-2, ივსი-1), 2:1 სუნდინი-1 (ჯ. ბლეიკი-2, გილი-2), 2:2 სტაიანი-2 (სტინი-1), 3:2 ალფრედსონი-3 (სპეცა-3, რედენი-2).

**ტამპა ბეი–ნიუ ჯერსი 3:1**

0:1, 1:0, 2:0

**გოლები:** 0:1 ჯონტა-1 (პარიზე-1, ზაიაცი-1), 1:1 ლეკავალიე-1 (სენტ ლუისი-1, კუბა-1), 2:1 ლეკავალიე-2 (პროსპალი-1, სენტ ლუისი-2), 3:1 პროსპალი-1 (სენტ ლუისი-3, რეინჯერი-1).

**ნეშვილი–კოლორადო 4:0**

2:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 არნოტი-1 (ჟიდლიცკი-1, რ. სატერი-1), 2:0 არნოტი-2 (დუმონი-1, ფიდლერი-1), 3:0 ჰამჰუისი-1 (ერატი-1, ლეგვანდი-1), 4:0 დუმონი-1 (დე ვრისი-1, არნოტი-1).

**მინესოტა–ჩიკაგო 1:0**

0:0, 1:0, 0:0

**გოლი:** 1:0 ბუშარი-1 (ბელანჟე-1, როლსტონი-1).

**კალგარი–ფილადელფია 2:3**

0:2, 1:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ბრიერი-1 (ნუბლი-1, რ. ჯონსი-1), 0:2 ნუბლი-1 (ს. განიე-1, მ. რიჩარდსი-1), 1:2 ლენგკოუ-1 (ფანოფი-1, იგინლა-1), 2:2 ლენგკოუ-2 (ტანგეი-1, ფანოფი-2), 2:3 ბრიერი-2 (განიე-2).

**ედმონტონი–სან ხოსე 3:2 (ბ)**

0:0, 0:0, 2:2, 0:0

**გოლები:** 0:1 მარლო-1 (ჯ. ტორნტონი-1, რივე-1), 1:1 გილბერტი-1 (კოლიანო-1, განე-1), 2:1 ბროძიაკი-1 (სურეი-1, რისონერი-1), 2:2 ჯ. ტორნტონი-1 (რივე-2, ვლასიჩი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ნილსონი (ედმონტონი), პაველსკი (სან ხოსე), სტოლი (ედმონტონი).

**ფინიქსი–სენტ ლუისი 3:2**

0:0, 1:0, 2:2

**გოლები:** 1:0 ბალარდი-1 (დოუნი-1, ვრბატა-1), 2:0 იორკი-1 (რაინპრეხტი-1, კარჩილო-1), 3:0 ვინიკი-1 (ჰანჟალი-1), 3:1 ტკაჩუკი-1 (ე. ჯონსონი-1, ბეკსი-1), 3:2 ბოიესი-1 (კარია-1, ტკაჩუკი-1).

### ტურის მოვლენები

- "ბაფალოდან" "რეინჯერსში" გადასულმა **კრის დრურიმ** წარმატებით დაიწყო ნიუიორკული კარიერა. ფორვარდმა გოლი და ორი შედეგიანი პასი მიითვალა.

- ნიუიორკელი **იარომირ იაგრი,** გახსნის მატჩებში ყველა დროის საუკეთესო მექულეს, **რეი ბურკს** გაუტოლდა. ჩეხი ფორვარდის ანგარიშზე 9 გოლი და 21 პასი (30 ქულა) მოდის.

■ ■ ■

- **მატს სუნდინმა** "ტორონტოს" მაისურით 389-ე გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით საკლუბო რეკორდის მფლობელს, **დენის სიტლერს** გაუთანაბრდა. სულ შვედ თავდამსხმელს NHL-ში 524 შაიბა აქვს გატანილი.

- "ოტავას" მეკარემ **მარტინ გერბერმა** 41 დარტყმა მოიგერია.

■ ■ ■

- "ნიუ ჯერსის" ფორვარდმა **ბრაიან ჯონტამ** კარიერაში მე-200 ქულა დააგროვა.

■ ■ ■

- "ნეშვილის" მეკარემ **კრის მეისონმა** 35 დარტყმა მოიგერია და სეზონში პირველი შათაუტი შეასრულა.

- ნეშვილელ **ჯეისონ არნოტს** კარიერაში 700 ქულა დაუგროვდა.

■ ■ ■

- შვედმა **ნიკლას ბექსტრიომმა** "მინესოტას" კარში მშრალად შეინახა. მეკარემ ჩიკაგოელთა 27 დარტყმა მოიგერია.

■ ■ ■

- კრის დრურის მსგავსად, ახალ კლუბში შესანიშნავი დებიუტი ჰქონდა "ბაფალოს" კიდევ ერთ ყოფილ ფორვარდს, **დანიელ ბრიერს**. ჰოკეისტმა, რომელმაც ამ ზაფხულს 52-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა "ფილადელფიასთან", დუბლი შეასრულა.

■ ■ ■

- "ედმონტონმა" ზედიზედ მერვედ არ წააგო სეზონის გახსნის მატჩი (ექვსი მოგება, ორი ფრე).

■ ■ ■

- "ფინიქსის" შემადგენლობაში ერთი გოლი დებიუტანტმა **დანიელ ვინიკმა** გაიტანა.

- "სენტ ლუისის" რიგებში სადებიუტო მატჩი ჩაატარა 2006 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა **ერიკ ჯონსონმა**. მის ანგარიშზე ერთი საგოლე პასია.



კრის დრური

## სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ფორმულა 1

## ჰემილტონს იაპონიის გრანპრის ართმევენ?

ჩინეთის გრან-პრის წინ, საინტერესო განცხადება გააკეთა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) პრეს-ატაშემ. FIA გამოძიებას ატარებს იმის დასადგენად, რამდენად სამართლიანი იყო იაპონიის გრან-პრიზე **ლუის ჰემილტონის** გამარჯვება. "მაკლარენის" პილოტს, რომელიც ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ეტაპით ადრე სოლიდური სხვაობით ლიდერობს საერთო ჩათვლას, ავსტრალიელი **მარკ უებერისა** ("რედ ბული") და გერმანელი **სებასტიან ფეტელის** ("ტორო როსო") ავარიის პროვოცირებაში ადანაშაულებენ. შეგახსენებთ, რომ ინციდენტი იმ დროს მოხდა, როცა ტრასაზე პეისკარი იმყოფებოდა და უებერი, რომელსაც საპრიზო ადგილზე გასვლის კარგი შანსი ჰქონდა, იძულებული გახდა დისტანციას ჩამოშორებულიყო.

რბოლის შემდეგ, დაზარალებულმა პილოტებმა ჰემილტონის მოქმედებას ქაოტური და არაპროგნოზირებადი უწოდეს. *"პრესკონფერენციებზე ლუისი ხშირად აცხადებს, თუ რა ზუსტად მოქმედებს ტრასაზე, მაგრამ სინამდვილეში, ყველაფერი პირიქითაა. პეისკარის უკან მიმავალი ჰემილტონი ისეთ ტრიუკებს აკეთებდა, რომ მის უკან მყოფებმა არ ვიცოდით, რას მოიმოქმედებდა შემდეგ წამს. ის, რომ ფეტელი უკნიდან შემეჯახა, სწორედ ჰემილტონის პროვოცირებული იყო"*, - აცხადებს უებერი.

### ოლიმპიზმი

## გაერთიანებული კორეა

დიდია ალბათობა იმისა, რომ ჩრდილოეთ კორეის სახალხო რესპუბლიკა და სამხრეთ კორეა პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ერთ გუნდს გაიყვანენ. ამ გადაწყვეტილების საბოლოოდ მიღებისთვის, დამატებითი სამუშაო კონსულტაციებია ჩასატარებელი.

შეგახსენებთ, რომ 2004 წელს, ჩრდილო და სამხრეთ კორეამ ერთობლივი ოლიმპიური გუნდის შექმნის შესახებ პრინციპულ შეთანხმებას მიაღწიეს, მაგრამ მოგვიანებით, სხვადასხვა საკითხებში უთანხმოების გამო, ჩანაფიქრი ვერ შეასრულეს.

1991 წელს, ამ ქვეყნებმა ერთიანი გუნდები გამოიყვანეს ფეხბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ტურნირებზე, მაგრამ ოლიმპიადებსა და აზიის თამაშებზე, მათ ერთად არასოდეს უასპარეზიათ. თუმცა 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადის გახსნაზე, ორივე კორეის დელეგაციებმა ერთად გაიარეს სარბენ ბილიკზე.

### მძლეოსნობა

## ჯონსმა დოპინგი აღიარა

ცნობილმა ამერიკელმა მძლეოსანმა **მერიონ ჯონსმა** ოფიციალურად აღიარა, რომ სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ციკლში, ის რეგულარულად იღებდა დოპინგს. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ოჯახის წევრებსა და ახლო მეგობრებს წერილის მეშვეობით უყვება იმის შესახებ, რომ ის, 1999 წლიდან მოყოლებული, ორი წლის განმავლობაში იყენებდა აკრძალულ პრეპარატებს. ჯონსმა ისიც განაცხადა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა მას ყოფილმა მწვრთნელმა, **ტრევორ გრემმა** აიძულა.

## ვლასიჩი ევროპის საუკეთესო მძლეოსანია

ევროპის მძლეოსნობის ფედერაციამ წლის საუკეთესო ათლეტად ხორვატი **ბლანკა ვლასიჩი** დაასახელა, რომელმაც წლეულს, ოსაკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე სიმაღლეზე ხტომაში ოქროს მედალი მოიპოვა.

გამოკითხვაში ვლასიჩმა მსოფლიო პირველობის კიდევ ორი ტრიუმფატორი - შვედი **კაროლინა კლუფტი** (შვიდჭიდი) და რუსი **ელენა ისინბაევა** (ჭოკით ხტომა) ჩამოიტოვა უკან.

## კალათბურთი

### ინტერვიუ შაკილ ონილთან

# ვიცი, რომ პირველი ვარ

**ნელ-ნელა უახლოვდება კარიერის დასასრულს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშე - შაკილ ონილი. "მაიამი ჰიტთან" კონტრაქტის დასრულების შემდეგ, შებერებულ დევკაცს დიდი კალათბურთიდან წასვლა აქვს გადაწყვეტილი. ამის შესახებ, ფლორიდელთა მეგავარსკვლავმა ორი კვირის წინ კანადელ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა. შაკის გუნდი კი თავის ლიდერთან ერთად გამალებით ემზადება დამდეგი რეგულარულისთვის. ფლორიდელები ყველანაირად ეცდებიან, წინა პლეიოფში განცდილი ფიასკო (0:4 "ჩიკაგოსთან") ტრიუმფით ჩაანაცვლონ და ონილს წინასაპენსიო საჩუქარი გაუკეთონ.**



შაკილ ონილი

**- "მაიამი" იმატებს ასაკს, გამოცდილებას, სხვები კი გაცილებით ათლეტურები და სწრაფები ხდებიან. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია შემადგენლობის ვეტერანებით გადატვირთვა?**

- ჩემი ნება რომ იყოს, გარისაც (პეიტონი) შევინარჩუნებდი, მაგრამ გუნდის პოლიტიკას სხვა ხალხი განაგებს. პრინციპში, მათი გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო არ ვარ, რადგან "მაიამის" ოთხი-ხუთი მოთამაშის შენარჩუნების შემთხვევაში, ისედაც საჩემპიონო შემადგენლობა ეყოლება. ყველა გუნდში არის ორი-სამი კაცი და კაცუნები. ჩვენ გუნდშიც ასეა და ყველამ იცის, რომ ამით არავის ვაყენებ შეურაცხყოფას.

**- დუეინ უეიდი სეზონს კვლავ ტრავმირებული შეხვდება.**

- და ჯანმრთელად, ჩემპიონად დაასრულებს. ჩემი პატარა ძმა დღესაც მსოფლიოს უძლიერეს მოთამაშედ მიმაჩნია. დუეინმა "დალასს" ორი თამაში ფინალში პირადად მოუგო. იმ სერიაში თავიდან ვლლაბუცობდით, უამრავ შეცდომას ვუშვებდით, მაგრამ როდესაც ყველაფერი დასრულდება, მეც კარიერას დავასრულებ და დუეინიც სადმე, რომელიმე პატარა კუნძულს იყიდის, ყველას გაახსენდება, რომ 2006-ში მსოფლიოს ჩემპიონი "მაიამი ჰიტი" გახდა.

**- რამდენად ეთანხმებით იმას, რომ NBA-ს უძლიერეს გუნდს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული უნდა ჰქონდეს?**

- არც ვეთანხმები და არც ვეწინააღმდეგები. რახან, ლიგის კომისარმა, დევიდ სტერნმა ასე ჩათვალა საჭიროდ, ე.ი. ასეა საჭირო. აღნიშნული ტიტული სეზონის შედეგების მიხედვით უძლიერეს კლუბს უნდა მიენიჭოს და ძალიან მეეჭვება, რომ ჩვენი ლიგის ჩემპიონს რომელიმე არაამერიკულმა გუნდმა მოუგოს. თუნდაც, ერთი თამაში მოგვიგოს 4-მდე სერიაში.

**- სულ სხვა აზრზეა გრეგ პოპოვიჩი. დევიდ ლეტერმანის შოუში "სპურსის" მთავარმა მწვრთნელმა სარკაზმით აღნიშნა, სტერნს NBA იმდენად უყვარს, რომ მის იქეთ ვერ იხედებაო.**

- მისტერ პოპოვიჩი ჩემთვის სამაგალითო, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი სამაგალითო პიროვნებაა და მის აზრს პატივს ვცემ, იგივეს თქმა შემიძლია დევიდ სტერნზეც.

**- "მაიამიმ" ვერ შეინარჩუნა ჯეიმს პოუსი, რომელიც კარიერას "ბოსტონში" გააგრძელებს.**

- მან თავისი გზა აირჩია და მის გადაწყვეტილებას ჯეიმსის ოჯახის წევრები გახარებული შეხვდნენ. ჯეიმსს სურს კევინ გარნეტთან ერთად თამაში, მაგრამ მინდა შევახსენო, რომ იქ, სადაც შაკია, ვერც გარნეტი და ვერც რომელიმე სხვა ვერ გაიჯეჯილებს.

**- ცოტა უცნაური ხომ არ არის, რომ შაკი "ყველა ვარსკვლავის" მატჩის გამოკითხვაში პირველ ათეულშიც კი ვერ ხვდება?**

- უცნაური ნამდვილად არ არის, რადგან მე თავად ვთქვი უარი მეფობაზე. ყველაფერი დამღლელია. ადრე თუ გვიან, ინტერესები გეცვლება და ცდილობ, სხვა სფეროში მოიპოვო აღიარება.

**- ანუ?**

- ანუ "ყველა ვარსკვლავის" მატჩში სასტარტოში სხვებმა რომ დაიწყონ შეხვედრა, ამასთან არანაირი პრობლემა არ მაქვს. წლის ბოლოს ჩემი მეხუთე ალბომი გამოდის და ყველანაირად ვცდილობ, შემდეგი არდადეგებისთვის რაც შეიძლება მეტი დრო გამოვნახო კონცენტრირებისთვის. ჯერჯერობით, მხოლოდ ნევადა დავითანხმეთ. მიმდინარეობს მოლაპარაკება ილინოისის ტურზეც. ვნახოთ.

**- ჩვენმა კოლეგებმა ცოტა ხნის წინ დაასრულეს გამოკითხვა, რომელშიც ყველა დროის უდიდესი მოთამაშეების სიმბოლური ხუთეულები დაასახელეს. თქვენ მეორე ხუთეულში აღმოჩნდით.**

- საწყენია, როდესაც პირველ ადგილზე არ გაყენებენ, მაგრამ ჩემთვის ისიც მისაღებია, რომ უილტ ჩემბერლენის გარდა, ჟურნალისტებმა ყველა დროის უდიდეს ცენტრებს მამჯობინეს. გამოდის, რომ შაკი დღესაც საუკეთესოა და ყველა დროის უდიდესია. ჩემბერლენი ჩემგან დიდი პატივისცემით სარგებლობს, მაგრამ მის დროს კალათბურთი კალათბურთი არ იყო. შაკი დღესაც პირველია.

**ზურაბ თალაკვაძე**



ივო კარლოვიჩი

ტურნირების მიმოხილვა

# კარლოვიჩის ათასიანი

ხორვატი გოლიათი **ივო კარლოვიჩი** პირველი ათეულის ხალხისთვის სასლემო საშიშროებას ნაღდად არ წარმოადგენს, მაგრამ ხანდახან, ასე, 3-4 ტურნირში ერთხელ, ორმეტრიან ივოსაც შეუძლია სტაბილური, მაღალი დონის ჩოგბურთის დემონსტრირება.

ტოკიოში კარლოვიჩი ჩემპიონობის ფავორიტი არ ყოფილა, თუმცა ერთეულთა ბადეში დარჩენილებს თუ გადავხედავთ, სწრაფი ჰარდიდან გამომდინარე, ხორვატს ნებისმიერის დასტატისტება შეუძლია.

კარლოვიჩი პრო-ტურის ყველა დროის რეკორდს დაამყარებს. მეოთხედფინალში მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის, ოზი **ლეიტონ ჰიუიტის** ორ სეტში დაეისებით (სულ 25 ეისი) მას მიმდინარე სეზონში უკვე 1019 ეისი მოუგროვდა, რაც 2004-ში **ენდი როდიკის** მიერ ნაჩვენები შედეგის გამეორებაა. ივო ახალ რეკორდს მომდევნო მატჩშივე, საკუთარ მოწოდებაზე, ალბათ, პირველივე გეიმშივე დაამყარებს.

კარლოვიჩი მომდევნო წრეში არაჩვეულებრივ ფორმაში მყოფ **დავიდ ფერერს** დაეჯახება, რომელსაც თანამემამულე ფელიციანო ლოპესის 80 წუთში ტურნირიდან გაპანღურება არ გასჭირვებია. 25 წლის ფერერი მიმდინარე სეზონში თავის მეხუთე ნახევარფინალში გავიდა და ამ დროისთვის ოკლენდისა და ბაშტადის ტურნირების ჩემპიონობითაც იწონებს თავს. ესპანელს 72 ერთეულთა მატჩიდან 53 აქვს მოგებული.

კარლოვიჩს დავუბრუნდეთ, რომელიც გახდა მეოთხე მოთამაშე, ვისაც ერთ სეზონში მინიმუმ 1000 აუღებელი მოწოდება დაუგროვდა. ივო, ვისაც 2007-ში 33 მოგება და 17 წაგება აქვს, ერთ მატჩში საშუალოდ 20.4 (!) ეისს ანვდის. ფენომენალური შედეგი, რომელსაც ძნელად თუ ვინმე გააუმჯობესებს.

ამერიკელი **პიტ სამპრასი** იყო პირველი, რომელმაც ათასეისიანი ზღვარი (19993-ში) გადალახა, ხოლო ყველა დროის რეკორდსმენი თანამემამულე **გორან ივანიშევიჩია**. 1996-ში უიმბლდონის ექსჩემპიონს 1477 ეისი დაუგროვდა.

*"ფერერი ძალიან სწრაფი და მებრძოლი მოთამაშეა, მაგრამ თავს მშვენივრად ვგრძნობ და ვეცდები, ფინალში გავიდე"*, - განაცხადა კარლოვიჩმა, რომელსაც წლეულს ნოტინჰემისა და ჰიუსტონის საერთეულო ტიტულები აქვს მოგებული.

კარლოვიჩმა ჰიუიტთან შეხვედრაში ზედიზედ ოთხჯერ 217 კმ/სთ-ით მოაწოდა ბურთი, რაც წლევანდელი სეზონის რეკორდია. 215 კმ/სთ-ში ზედიზედ მოწოდებებით პირველ ადგილზე **გრეგ რუზეცკია**, რომელმაც 1998-ში ამერიკის ღია პირველობაზე ზედიზედ 6-ჯერ გადააცილა ამ ზღვარს.

## ATP

### მეცი

ჰარდი. საპრიზო ფონდი
353 450 ევრო

II წრე: ტომი რობრედო (1)-ანდრეას სეპი 6:4, 6:2; სებასტიან გროჟანი-შტეფან კუბეკი 7:5, 6:7 (4), 2:4 (კუბეკის ტრავმა; ნიკოლა მაიუ-ჟულიენ ბენეტო 6:3, 3:6, 6:3; იგორ ანდრეევი (8)-ნიკოლას ლაპენტი 6:3, 6:3; გილერმო კანიასი (2)-იურგენ მელცერი (კვ) 7:6 (3), 7:6 (6); ევგენი კოროლიოვი (კვ)-მარკ ჟიგელი 6:4, 7:6 (3); ჟო-ვილფრედ სონგა-ფილიპ კოლშრაიბერი (7) 5:7, 7:6 (5), 6:3; ენდი მიურეი (3)-მიშელ ლოდრა 6:4, 6:3.

### ტოკიო

ჰარდი. საპრიზო ფონდი
832 000 დოლარი

III წრე: დავიდ ფერერი (1)-ვინსენტ სპადეა 6:1, 7:6 (0); ფელიციანო ლოპესი (10)-დმიტრი ტურსუნოვი (6) 7:6 (8), 6:4; ლეიტონ ჰიუიტი (4)-ივან ნავარო 7:5, 6:3; ივო კარლოვიჩი (7)-ჰიუნ-ტაიკ ლი (9) 7:6 (6), 6:7 (8), 7:6 (8); რიშარ გასკე (3)-რაინერ შუტლერი 6:2, 6:2; ტომაშ ბერდიხი (2)-მაიკლ რასელი (16) 6:4, 6:2; ფერნანდო ვერდასკო (8)-ტომას იოჰანსონი (12) 7:6 (4), 5:7, 6:3; დუდი სელა-ბორის პაშანსკი 6:2, 4:0 (პაშანსკის ტრავმა).

1/4 ფინალი: დავიდ ფერერი (1)-ფელიციანო ლოპესი (10) 6:4, 6:4; ივო კარლოვიჩი (7)-ლეიტონ ჰიუიტი (4) 7:6 (5), 7:6 (6).

## WTA

### შტუტგარტი

ჰარდი. საპრიზო ფონდი
650 000 დოლარი

II წრე: ჟუსტინ ანენი (1)-დინარა საფინა 6:4, 6:1; ელენა იანკოვიჩი (3)-შაჰარ პეერი 4:6, 6:1, 6:3; კატერინა ბონდარენკო (კვ)-ანა ივანოვიჩი (5) 6:2, 1:6, 6:3; ნადია პეტროვა (7)-მიხაელა კრაიჩეკი (კვ) 6:1, 6:3; ელენა დემენტიევა-დანიელა ჰანტუხოვა (8) 6:4, 6:4.

### ტოკიო

ჰარდი. საპრიზო ფონდი
175 000 დოლარი

1/2 ფინალი: ვენუს უილიამსი (1)-კაროლინ ვოზნიაცკი 6:3, 7:5; ვირჯინი რაცანო (5)-ფლავია პენეტა (8) 4:6, 7:5, 6:3.

### ტაშკენტი

ხალიჩა. საპრიზო ფონდი
145 000 დოლარი

II წრე: ვიქტორია აზარენკა (1)-ევგენია როდინა (კვ) 6:4, 6:3; ოლგა გოვორცოვა (3)-ენ კრემერი 2:6, 6:3, 6:2; კეტი ობრაიენი-ანასტასია იაკიმოვა 6:3, 7:6 (1), პოლინ პარმენტიე-ვესნა მანასიევა 6:2, 6:1.

# TV სპორტი

## 6 ოქტომბერი. შაბათი

### I არხი

15:05 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ამერი-დინამო (LIVE).
17:00 რაგბი. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. ავსტრალია-ინგლისი (LIVE).
23:00 რაგბი. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. ახალი ზელანდია-საფრანგეთი (LIVE).

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

10:30 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-ნანსი.
14:10 საფეხბურთო კლუბი.
14:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ვიგანი (LIVE).
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ვესტ ჰემი (LIVE).
19:50 შოტლანდიის ჩემპიონატი. რეინჯერსი-ჰიბერნიანი.
21:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ჰილემი (LIVE).
23:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ესპანიოლი (LIVE).

### SPORT 1 (უკრაინა)

08:01 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ტორონტო-ნიუ იორკი.
09:49 სპორტკლუბი.
10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. იაპონიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი.
14:04 სპორტის სამყარო.
14:33 ათასიდან ერთი.
14:58 სპორტული ისტორია.
15:14 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
15:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ვიგანი (LIVE).
17:44 მინი-მოედანი.
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ვესტ ჰემი (LIVE).
18:54 სპორტული ისტორია.
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-უდინეზე (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ნაპოლი (LIVE).
00:30 ჩემი სპორტი.
00:56 ფეხბურთი. Barca TV.
01:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-სანტოსი (LIVE).
03:07 სპორტის სამყარო.
03:33 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-ფილადელფია (LIVE).
06:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
07:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბოხუმი.

### EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
11:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ჰამბურგი-ლიტექსი.
12:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ბელენენსეში-ბაიერნი.
13:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:45 მოტოსპორტი. ტესტ-რაიდი.
14:00 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
18:30 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო თასი. ქალები. 1/2 ფინალი. მაგდებურგი. გერმანია (LIVE).
21:00 მულტისპორტი.
21:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ლიტვის გრან-პრი.
22:30 ცხენოსნობა. საერთაშორისო თამაშები. კონკური. ათენი. საბერძნეთი (LIVE).
00:00 სნუკერი.
02:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
02:45 ბრძოლა წესების გარეშე.
03:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 მულტისპორტი.
14:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 ახალი ამბები.
14:15 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ერჩიესი-ატლეტიკო.
14:45 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ჰამბურგი-ლიტექსი.
15:15 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ბელენენსეში-ბაიერნი.
16:00 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. მონცა. იტალია.
17:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. მონცა. იტალია (LIVE).
17:45 მულტისპორტი.
18:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
19:00 არმ-რესტლინგი.
19:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი.
20:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. დრამენი (ნორვეგია)-ფლენსბურგი (გერმანია) (LIVE).
21:30 ახალი ამბები.
22:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი)-ჰამბურგი (გერმანია) (LIVE).
23:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი.
23:30 პროფესიული კრივი. სუპერმძიმე წონა. დ. ტუა (აშშ)-ს. მონტანა (მექსიკა). აშშ.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. დრამენი (ნორვეგია)-ფლენსბურგი (გერმანია).
02:15 ახალი ამბები.

## 7 ოქტომბერი. კვირა

### I არხი

17:00 რაგბი. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. სამხრეთ აფრიკა-ფიჯი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ატლეტიკო.
23:00 რაგბი. მსოფლიო თასი. 1/4 ფინალი. არგენტინა-შოტლანდია (LIVE).

### რუსთავი 2

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

10:15 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ვიგანი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ესპანიოლი.
14:15 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
14:55 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-სანდერლენდი (LIVE).
16:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:10 ტოქ-შოუ - 2:1.
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ტოტენჰემი (LIVE).
19:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლიონი (LIVE).
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ჩელსი.
23:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ევერტონი.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:48 ფეხბურთი. Barca TV.
08:55 სპორტის სამყარო.
09:26 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
09:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. იაპონიის ღია პირველობა. ფინალი.
12:00 სპორტული ისტორია.
12:09 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
12:35 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-გიმარაეში.
14:20 სპორტკლუბი.
14:30 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-სანდერლენდი (LIVE).
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-იუვენტუსი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. [illegible]-ნიურნბერგი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
22:20 ფეხბურთი. Barca TV.
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-მილანი (LIVE).
00:30 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. აკადემიკა-პორტუ (LIVE).
02:20 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
02:50 სპორტკლუბი.
03:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ვიგანი.
05:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-გიმარაეში.

### EUROSPORT

10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
11:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. მონცა. იტალია (LIVE).
11:30 სნუკერი.
13:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
14:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
17:00 მულტისპორტი.
17:15 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
18:15 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი.
18:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. საფრანგეთი.
19:15 ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. სანკტ-პეტერბურგი. რუსეთი (LIVE).
20:00 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო თასი. გუნდები. მაგდებურგი. გერმანია (LIVE).
21:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
22:00 სნუკერი.
00:00 პროფესიული კრივი. მჩატე წონა. პ. მოზესი (ნამიბია)-ა. კუდრიავცევი (უკრაინა). დონეცკი. უკრაინა.
02:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
02:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. მონცა. იტალია.
12:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი (LIVE).
13:45 ახალი ამბები.
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
15:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი (LIVE).
16:00 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
16:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. მონცა. იტალია.
17:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
18:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. როტერდამი. ჰოლანდია.
19:30 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი)-ჰამბურგი (გერმანია).
20:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. მონცა. იტალია.
21:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. საფრანგეთი.
22:15 ახალი ამბები.
22:30 კალათბურთი.
00:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. გუმერსბახი (გერმანია)-ვეჟსპრემი (უნგრეთი).
01:00 ახალი ამბები.
01:15 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. როტერდამი. ჰოლანდია.
02:00 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ინგლისი

| II ლიგა | |
|---|---|
| აკრინგტონი-რექსჰემი | 0:2 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| დორტმუნდი-ბოხუმი | 2:1 |

| II ბუნდესლიგა | |
|---|---|
| კიოლნი-ოფენბახი | 4:1 |
| კარლ ცაისი-მიუნხენი | 0:2 |
| ფიურტი-ვეენი | 1:1 |

| რეგიონალლიგა (სამ) | |
|---|---|
| ოგერსჰაიმი-ინგოლშტადტი | 0:1 |
| როიტლინგენი-უნტერჰახინგი | 2:2 |

### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| მონაკო-ნანსი | 1:3 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| აიაჩო-კლერმონი | 3:1 |
| ამიენი-სედანი | 2:1 |
| ანჟერსი-რეიმსი | 1:0 |
| გინგამპი-ბასტია | 0:1 |
| მონპელიე-შატორუ | 1:0 |
| ნიორი-ბრესტი | 0:1 |
| ბულონი-ავრი | 0:3 |

### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| ვენლო-უტრეხტი | 1:2 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| აპელდოორნი-მაასტრიხტი | 4:1 |
| დენ ჰააგი-ცვოლე | 3:1 |
| დენ ბოში-ეინდჰოვენი II | 2:0 |
| ომნივორლდი-როსენდალი | 2:3 |
| ფორტუნა-ტოპ ოსი | 0:1 |
| იგლზი-დორდრეხტი | 1:2 |
| ჰელმონდი-ვოლენდამი | 2:1 |
| ვაალვეიკი-ემენი | 3:1 |
| ტელსტარი-კამბური | 1:2 |
| ვეენდამი-ჰაარლემი | 1:1 |

### ბელგია

| | |
|---|---|
| შარლერუა-მუსკრონი | 1:3 |

### ავსტრია

| | |
|---|---|
| შტურმი-ზალცბურგი | 0:0 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ავსტრია II-შვადორფი | 2:1 |
| ლუსტენაუ-კაპფენბერგი | 1:1 |
| პარნდორფი-ბად ოსი | 2:0 |
| ზალცბურგი II-გრატკორნი | 3:0 |
| შვანენშტადტი-კერნტენი | 4:2 |

### შვეიცარია

| ჩელენჯლიგა | |
|---|---|
| კონკორდია-ვადუცი | 1:2 |

### თურქეთი

| | |
|---|---|
| ქასიმფაშა-ტრაბზონი | 1:2 |

### ირლანდია

| | |
|---|---|
| კორკი-შემროკი | 1:0 |
| დროგედა-სლიგო | 1:0 |
| გალვეი-ლონგფორდი | 2:1 |
| დუბლინი-ბრეი | 1:1 |
| უოტერფორდი-დერი | 2:1 |
| სტ. პატსი-ბოჰემიანსი | 0:1 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| შენეცი-კოშიცე | 1:1 |

### უკრაინა

| | |
|---|---|
| ვორსკლა-ხარკოვი | 1:1 |

### პოლონეთი

| | |
|---|---|
| ოდრა-რუხი | 2:0 |
| ვიძევი-ლკს | 0:0 |

### უნგრეთი

| | |
|---|---|
| ფეჰერვარი-უიპეშტი | 1:2 |

## კალათბურთი

### მსოფლიო ჩემპიონატი

| ქალები | |
|---|---|
| რუსეთი-ლიტვა | 75:58 |
| ესპანეთი-ბელგია | 72:53 |

### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ლე მანი-ტულონი | 75:81 |
| ვილერბანი-დიჟონი | 91:74 |
| შოლე-შალონი (ს) | 74:68 |

## ჰოკეი

### რუსეთი

| | |
|---|---|
| ტრაქტორი-ამური | 3:1 |
| მეტალურგი (მ)-ვიტიაზი | 3:1 |
| ს. იულაევი-სიბირი | 7:3 |
| ლადა-მეტალურგი (ნ) | 4:1 |
| ტორპედო-სევერსტალი | 5:3 |
| ცსკა-ლოკომოტივი | 1:1 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1:4 |
| დუისბურგი-ფრანკფურტი | 3:4 |
| დიუსელდორფი-აუგსბურგი | 3:1 |
| ინგოლშტადტი-ჰანოვერი | 3:3 |
| იზერლონი-კიოლნი | 3:3 |
| კრეფელდი-მანჰაიმი | 4:0 |
| შტრაუბინგი-ვოლფსბურგი | 3:1 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| კეჟმაროკი-მარტინი | 4:2 |
| ნიტრა-მიკულაში | 10:1 |
| სკალიცა-პოპრადი | 5:1 |
| სლოვაკეთი (ახ)-ჟილინა | 1:5 |
| სლოვანი-ზვოლენი | 4:1 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| იოკერიტი-საიპა | 7:2 |
| ტაპარა-კაიპა | 4:4 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-პლზენი | 4:1 |
| ლიტვინოვი-სლავია | 2:3 |
| სლოვანი-სპარტა | 3:3 |
| ბუდეიოვიცე-კლადნო | 3:2 |
| კარლოვი ვარი-ვიტკოვიცე | 2:1 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბერნი-ფრიბურგი | 3:3 |
| დავოსი-რაპერსვილი | 3:2 |
| კლოტენი-სერვეტი | 1:3 |
| ლანგნაუ-ბაზელი | 4:2 |
| ციურიხი-ცუგი | 5:6 |
| ამბრი-ლუგანო | 2:2 |

## ჩოგბურთი

| ATP. ტოკიო | |
|---|---|
| ფერერი-ფ. ლოპესი | 6:4, 6:4 |
| ჰიუიტი-კარლოვიჩი | 6:7, 6:7 |
| გასკე-სელა | 6:4, 6:1 |
| ბერდიჩი-ვერდასკო | 7:6, 4:6, 7:5 |

| ATP. მეცი | |
|---|---|
| ანდრეევი-მაუ | 6:3, 5:7, 6:7 |
| კანიასი-კოროლიოვი | 6:1, 6:4 |
| მარეი-ცონგა | 6:3, 6:3 |
| რობრედო-გროსჟანი | 6:4, 6:4 |

| WTA. ტოკიო | |
|---|---|
| ვ. უილიამსი-ვოზნიაჩკი | 6:3, 7:5 |
| რაზანო-პენეტა | 4:6, 7:5, 6:3 |

| WTA. შტუტგარტი | |
|---|---|
| გოლოვინი-ე. ბონდარენკო | 6:3, 6:4 |
| იანკოვიჩი-პეტროვა | 6:7, 6:1, 6:0 |
| ანენი-დემენტიევა | 6:4, 6:4 |
| ს. უილიამსი-კუზნეცოვა | 3:6, 3:6 |

| WTA. ტაშკენტი | |
|---|---|
| ამანმურადოვა-პარმენტიე | 4:6, 3:6 |
| ო'ბრაიენი-გოვორცოვა | 2:6, 3:6 |
| ვესნინა-ოლარუ | 2:6, 7:6, 6:4 |
| აზარენკა-პალკინა | 6:2, 6:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ერთი საქმის ისტორია

# გამოძიება დასრულებულია, დაივიწყეთ სენა...

*გაგრძელება. დასაწყისი №235*

ჩაებღაუჭა რა ამ ძაფს, პროკურორი ტექნიკური სამსახურის კიდევ რამდენიმე თანამშრომელს გამოელაპარაკა. ყველანი სიამოვნებით ჰყვებოდნენ **სენაზე** და მომენტალურად კარგავდნენ მეტყველების უნარს, როცა საქმე მანქანების მომზადებას, ტრასის მდგომარეობასა და მისთანებს შეეხებოდა. კითხვაზე, რა მოუვიდა სენას, ყველა საკუთარ ვარაუდს გამოთქვამდა. ვილაც ამბობდა, რომ ბრაზილიელს რისკი უყვარდა და პრინციპში, ამით აღწევდა წარმატებებს: იქნებ, მან უბრალოდ ვერ გათვალა? ერთმა შტატიანმა ექიმმა სენას ჩვევა გაიხსენა: სტარტის წინ სუნთქვის შეკავება და ტრასის ყოველ მონაკვეთსა და ვირაჟზე არჩეული ტაქტიკის გონებაში გააზრება.

- როცა ბოლიდი სიჩქარეს უმატებს, პილოტი სერიოზულ გადატვირთვას განიცდის - დაახლოებით 4.5g, - უხსნიდა პასარინის გუნდის ექიმი. - როგორც წესი, ტამბურელოს მოსახვევს არანორმალური სიჩქარით გადიან და ამიტომაც იქ დატვირთვა განსაკუთრებულად ძლიერია. თუ სენამ იმ მომენტში ღრმად ჩაისუნთქა და დროულად არ ამოისუნთქა, შესაძლოა მას წამით გონება დაეკარგა. ეს კი, სიკვდილს ნიშნავს.

ფრანგული სპორტული ყოველკვირეულის ჟურნალისტმა პროკურორს შეახსენა, რომ ტრაგედიამდე ერთი წლით ადრე, ტრასაზე კიდევ ერთი ავარია მოხდა: ერთმანეთს ორი ბოლიდი შეეჯახა, ნამსხვრევები ტრიბუნებზე გაფრინდა. სერიოზულად დაიჭრა პოლიციელი და რამდენიმე მაყურებელი. ერთ-ერთი გულშემატკივარი კი, რომელსაც ბორბალი მოხვდა, კომაში ჩავარდა. ავარიის შემდეგ ტრასა გაწმინდეს, მაგრამ შესაძლოა არც ისე მონდომებით. ამიტომაც, შეიძლება ნამსხვრევი სენას მანქანის ბორბლის ქვეშ მოხვდა და ეს საკმარისი აღმოჩნდა.

ბოლოს და ბოლოს, პასარინიმ "უილიამსის" გუნდის მეპატრონემდეც მიაღწია. **ფრენკ უილიამსი** ყველა სიტყვაზე დიდხანს ფიქრობდა, თითქოს ამაზე იყო დამოკიდებული მისი სიცოცხლე. იგი არც ჰოს ამბობდა და არც არას. მუდმივად თავისი გუნდის იურისტებს ახსენებდა - ყველა კითხვით მათ უნდა მიმართოთო. და საერთოდ, უილიამსმა ცხადად მიანიშნა პროკურორს - მომხდარის შესახებ დაწვრილებით საუბარს არ ვაპირებო:

- აირტონი დაიღუპა, არსებობს სამედიცინო დასკვნა. ფორმულა 1-ის ნებისმიერმა პილოტმა იცის, რომ რბოლები სასიკვდილო რისკის ტოლფასია. დანარჩენ პასუხებს "უილიამსის" ოფიციალურ დოკუმენტებსა და გრან-პრის პასუხისმგებელი პირებისგან გაეცნობით.

თვითმხილველთა ჩვენებების შეგროვებით, პასარინიმ ნაბიჯ-ნაბიჯ აღადგინა ავარიის სრული სურათი. უფრო მეტიც, რაღაც ახალი შეიტყო თავად პილოტის მდგომარეობაზე. ამან სერიოზულად ჩააფიქრა პროკურორი.

ყველა, ვინც სენა ფინალური რბოლის დღეს ან კვალიფიკაციაზე იხილა, აცხადებდნენ, რომ ბრაზილიელი თავის თავს არ ჰგავდა. როგორც წესი, კორექტული და ჩუმი აირტონი, ჩვეულებისამებრ დააბიჯებდა ბოლიდებს შორის, მაგრამ მის სახეს არ სცილდებოდა რაღაც უცნაური გამომეტყველება. უფრო სწორად, სენას სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდით. რამდენიმე მოწმემ პასარინის უთხრეს, რომ მათ ისეთი შთაბეჭდილება დარჩათ, თითქოს ბრაზილიელი იმ დღეს ყველა ძველი ვალის დაბრუნებას აპირებდა: მაგალითად, სტარტამდე ნახევარი საათით ადრე, თავისი პირადი თვითმფრინავის პილოტს თავისი ფოტოსურათი აჩუქა სამახსოვრო წარწერით, რასაც დიდი ხნის წინ ჰპირდებოდა მას.

- არადა, ასეთ დროს იგი თითქმის არ ლაპარაკობდა, პრაქტიკულად, ვერავის ამჩნევდა, - გაკვირვებული იხსენებდა მფრინავი.

მთელმა მსოფლიომ იხილა, რბოლის დაწყების წინ, როგორ გაუგზავნა სენამ ტელეკამერების წინ მოკითხვა **ალან პროსტს** - თავის მრავალწლიან მოწინააღმდეგესა და დაუძინებელ მტერს; ხანდახან ისინი არც კი ესალმებოდნენ ერთმანეთს. *"ჩვენ ძალიან გვაკლიხარ, ალან,* - მოულოდნელი სითბოთი განაცხადა სენამ. - *შენს გარეშე აქ მოწყენილობაა"*, კოკპიტში ჩაჯდომისას სენამ რამდენიმე ზედმეტი და არასაჭირო მოძრაობა გააკეთა: რატომღაც, თავისი ბოლიდის ბორბლები შეამოწმა, შემდეგ მუზარადი მოიხსნა, დააკვირდა და ისევ დაიხურა - ამას ადრე არასოდეს აკეთებდა, კონცენტრირებაში უშლიდა ხელს. და ბოლოს, ერთმა რეპორტიორმა პასარინის ამცნო, რომ რბოლის წინა ღამეს, სენას სასტუმროში შეეჩეხა - ბრაზილიელი თავისი ნომრის კართან იდგა და ერთ წერტილს მიშტერებოდა. ის ძალიან უცნაურად იყო ჩაცმული: ხალათზე გუნდის მაისური ჰქონდა გადაცმული.

- აირტონ, ძალიან სასაცილოდ გამოიყურები, - მხოლოდ ამის წარმოთქმა მოახერხა გაკვირვებულმა ჟურნალისტმა.

- დიახ, დიახ, შეიძლება... - ჩაფიქრებულმა წარმოსთქვა ჩემპიონმა და კარის უკან მიიმალა.

და ეს სენა იყო, რომელიც მკაცრად იცავდა რეჟიმს - იგი უკვე კარგა ხნის დაძინებული უნდა ყოფილიყო!

რამდენიმე დღის შემდეგ, პროკურორმა კიდევ ერთი მოწმე დაკითხა, ამჯერად ქალი, რომელმაც სხვებზე უკეთ იცოდა, რას გრძნობდა ლეგენდარული მრბოლელი იმ ღამეს.

... როცა ეს ყველაფერი მოხდა, ეს ქალბატონი აეროპორტში იმყოფებოდა. პორტუგალიაში, ქალაქ ფარუსთან ახლოს, მათ საკუთარი ვილა ჰქონდათ. აქ ის თვალს ადევნებდა გრან-პრის მსვლელობას, აქ სენა გვიან ღამით რეკავდა ხოლმე. აირტონს უყვარდა ეს წყნარი ადგილი: ბევრი მზე, ცოტა ტურისტები... თანაც აქ იმავე ენაზე საუბრობდნენ, როგორც სამშობლოში. ქალი უკვე თვითმფრინავში იჯდა და სიმართლე ითქვას, გული ცუდს არ უგრძნობდა: ცნობა იმის შესახებ, რომ აირტონი ავარიაში მოყვა, ნიშნავდა იმას, რომ ის შინ დაგეგმილზე ადრე მივიდოდა. მან ნახა ტელევიზორში, თუ როგორ შეასკდა კედელს სენას ბოლიდი, მაგრამ ასეთი რამ მის გულისსწორს ადრეც დამართნია. აირტონს არაერთხელ უთქვამს მისთვის, რომ ფორმულა 1-ში შეუძლებელია სერიოზული ტრავმის მიღება, რადგან პილოტის ადგილი იმაზე უკეთაა დაცული, ვიდრე კოსმოსურ ხომალდში. და რომ, პილოტი უძლებს 400 კმ/სთ სიჩქარეზე დარტყმასაც კი. ყველაზე საშინელი, რაც შეიძლება მოხდეს, ეს არის მცირე დაზიანებები სხეულზე. ქალი აფრენას ელოდებოდა, როცა მან აირტონის სიკვდილის ამბავი შეიტყო. თვითმფრინავი ასაფრენ ბილიკზე დარჩა, ის მოსაცდელ დარბაზში შევიდა და იქ ძალიან დიდხანს უმოძრაოდ იჯდა...

ბრაზილიელი ფოტომოდელი **ადრიან გალისტეუ** და აირტონ სენა რამდენიმე წელიწადია ერთად ცხოვრობდნენ. მათ ბრაზილიაში გაიცნეს ერთმანეთი - ადრიანი პილოტისთვის პრესკონფერენციას აწყობდა. როცა სახელგანთქმულმა მრბოლელმა მისი მისამართით ყურადღების გამოვლენა დაიწყო, გალისტეუმ თავიდან არ დაიჯერა, რომ ეს შესაძლებელი იყო: აირტონი ხომ მსოფლიო სექს-სიმბოლოდ იყო აღიარებული, გოგონები მას ყველგან ჯგროდ დასდევდნენ, მაგრამ აირტონი აგრძელებდა ფლირტს - თანაც საკმაოდ მორცხვად და მოკრძალებულად, რაც ყველაზე ძალიან ანცვიფრებდა ადრიანს: სენა იმ ჭაბუკივით იქცეოდა, რომელიც ცხოვრებაში პირველად უნიშნავდა ქალს პაემანს. ქალმა სენა ფულისა და ტიტულების გამო კი არ შეიყვარა, არამედ სწორედ ამ მორცხვი თვალებისა და არადამაჯერებელი მოძრაობებისთვის.

ავტომრბოლთან ცხოვრება იოლი სულაც არ ყოფილა. ძნელი იყო სენას მომთაბარე ცხოვრებასთან შეგუება, იმასთან, რომ მათ სახლთან ყოველთვის თაყვანისმცემელი გოგონები მორიგეობდნენ. არც ის იყო სასიამოვნო, რომ აირტონის ცხოვრებაში მთავარი ადგილი რკინის ნივთს ეჭირა და რომ სენა სახლშიც, ფიქრებში ტრასაზე იმყოფებოდა. იმ ფაქტს, რომ აირტონი ცოლიანი იყო, ადრიანი ადვილად შეურიგდა. ბოლოს და ბოლოს, სენა მასთან ცხოვრობს და არა ვილაც, მისთვის უცნობ ქალთან. ადრიანთან ცხოვრება იმიტომ იყო კარგი, რომ ის არასდროს აბეზრებდა თავს მუდმივ სიყვარულზე გაუთავებელი საუბრით - უბრალოდ, აირტონს ის სულიერ სიმშვიდესა და კომფორტს ანიჭებდა, რაც ასე აკლდა სენას ფორმულა 1-ის ასპარეზობების დროს. ადრიანი ბედნიერი იყო მის გვერდით: კარგი გაგებით უხეში და რისკიანი პილოტი, შინ ძალიან ლმობიერ და მოსიყვარულე მამაკაცად იქცეოდა. ის ყოველთვის გულჩათხრობილი იყო, როცა საქმე მის პირად ცხოვრებას ეხებოდა. კოლეგებიდან ცოტა ვინმემ თუ იცოდა, როგორი იყო სენა ტრასის მიღმა - ის ძალიან იშვიათად ხვდებოდა ადამიანებს.

ადრიანმა დიდი გაჭირვებით შეისწავლა ის რთული ენა, რომლითაც სენა თავის მეგობრებს ესაუბრებოდა. მას უკვე აღარ ერეოდა ერთმანეთში პიტ-სტოპი და პიტ-ლეინი, იცოდა, რაზე იყო დამოკიდებული ბორბლების მოჭიდება ტრასასთან... მოკლედ, ტექნიკურ საკითხებში ის სპორტულ ჟურნალისტებზე ცუდად ნამდვილად არ ერკვეოდა. შეჯიბრიდან შინ დაბრუნებული აირტონი უყვებოდა მას, თუ როგორ ჩაიარა რბოლამ, წუხდა იმაზე, რომ ფორმულა 1-ში გამოჩნდა ძალიან სწრაფი გერმანელი, გვარად შუმახერი - ჯერ კიდევ ბავშვი, მაგრამ უკვე სერიოზული მოწინააღმდეგე. ადრიანი ყურადღებით უსმენდა შეყვარებულს, გულში კი ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი ძალიან მალე დამთავრდებოდა - ერთი, სამი, მაქსიმუმ ხუთი წელიწადი და სენა სპორტიდან წავიდოდა, ბიზნესით დაკავდებოდა და მაშინ ბედნიერად იცხოვრებდნენ. იქნებ, შვილებზეც ეფიქრათ.

თავად აირტონიც ბევრს ფიქრობდა მომავალზე. დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ გაურკვევლობაში ყოფნა ან მწვრთნელის კარიერის დაწყება მის გეგმებში არ შედიოდა: მას უფრო ბევრი სურდა და თავისი იმჟამინდელი დიდებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას შეეცდებოდა. ჩანაფიქრი სერიოზული და მასშტაბური გახლდათ და აირტონმა მათი განხორციელება თავისი ბოლიდის მართვის სტილში, თანმიმდევრულად და სწრაფად დაიწყო: შეხვედრები, პარტნიორობა, სპონსორები, საქმიანი წინადადებები... აირტონ სენას ბიზნეს-იმპერია სწრაფად იზრდებოდა: მას უკვე ჰქონდა საკუთარი კომიქსების ჟურნალი "სენინია", პარტნიორობა კონცერნ "აუდისთან", საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელი ერთობლივი საწარმო ერთ-ერთ იტალიურ ფირმასთან, "ლუქსის" კლასის იახტების მწარმოებელი ფაბრიკა; და ბოლოს, კომპანია, რომელსაც ეკუთვნოდა უფლებები მის სახელზე - "სენა" და ლოგოტიპზე - S, რომელსაც კარგად იცნობდნენ მთელ მსოფლიოში. მანამ, სანამ იმოლაში გაემგზავრებოდა, სენამ პადუაში შეიარა, სადაც იტალიური კომპანია, "კარარო" ველოსიპედების გამოშვებას იწყებდა - ისევ და ისევ, წითელი S ლოგოთი.

ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობისა და კონტრაქტების გაფორმებისას, სენა კარგად ხვდებოდა ამ საქმიანობის აუცილებლობას. მაგრამ ამასთან, მისი სული კვლავაც ბობოქრობდა და მეამბოხე ხასიათს ამჟღავნებდა: მისი ადგილი არა კონფერენცდარბაზებში, არამედ ტრასაზე იყო, სადაც აირტონს ნებისმიერის გასწრება შეეძლო. აქ ის პირველი იყო და ამ წუთებში მას მხოლოდ ერთი რამ აღელვებდა: გამარჯვება. მეორე და მით უმეტეს, მესამე ადგილი, მისთვის მიუღებელი იყო.

ასე იყო ბავშვობაშიც: მას არ უყვარდა ნაგება. თავიდან თავის სისუსტეს ებრძოდა: ბიჭს კოორდინაციის უნარი ჰქონდა დარღვეული. ის რეგულარულად ვარდებოდა კიბიდან, დედამისი, როცა შვილისთვის ნაყინის ყიდვას აპირებდა, პატარა აირტონს ერთბაშად ორ პორციას აწვდიდა, რადგან პირველი ყოველთვის ძირს უვარდებოდა. ამ ნაკლთან საბრძოლველად, აირტონი კარტინგის სექციაში ჩაეწერა და მაშინვე გუნდის ყველაზე პერსპექტიული წევრი გახდა. სკოლის ეზოში ის ყოველთვის დიდ ბიჭებთან ჩხუბობდა, იმ მიზეზით, რომ მათ არ ეფიქრათ - აირტონი მშიშარაა და პასუხის გაცემა არ შეუძლიაო. მოგვიანებით, ამგვარი სითამამე მას სპორტშიც დაეხმარა - სენა ბრაზილიაში ჩატარებული ყველანაირი რბოლების ჩემპიონი გახდა, ბრწყინავდა ევროპაში... ყველაფერი ამის ლოგიკური დასასრული იყო ფორმულა 1-ში მისვლა.

*დასასრული შემდეგ ნომერში*



სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა